Механизм действия сходен с механизмом действия стероидных гормонов. Установлено, что женьшень может вызывать гипогликемию, влиять на процессы коагуляции тромбина, может угнетать процессы коагуляции, но зарегистрированы случаи значительного снижения под его влиянием антикоагуляционного эффекта варфарина. В связи со способностью женьшеня угнетать функцию тромбоцитов, рекомендовано прекращать его применение за 7 дней до операции.

Кава-кава применяется в качестве анксиолитика и седативного средства. Действующее начало кавы-кавы – кавалакторны, которые оказывают дозозависимое влияние на ЦНС. Она может действовать как седативное и снотворное средство. Длительное использование кавы-кавы может приводить к привыканию. С целью профилактики нежелательных последствий рекомендуется прекращать прием препаратов кавы-кавы за 24 ч до операции.

Зверобой. Установлено, что зверобой неэффективен при больших депрессиях. Основными действующими веществами в зверобое являются гиперцин и гиперфорин. Зверобой вступает во взаимодействие со многими лекарственными средствами, что необходимо учитывать при планировании операций. Не рекомендуется совместное применение мидазола, варфарина, лидокаина со зверобоем, а больным, которым предстоит хирургическое вмешательство, следует прекратить лечение препаратами, содержащими зверобой за 5 дней до операции. Особенно для



пациентов, которым требуются трансплантация органов и лечение антикоагулянтами.

Валериана –седативное и снотворное средство. Следует соблюдать осторожность при резкой отмене валерианы из-за риска развития синдрома отмены. За несколько недель до операции целесообразно свести на нет употребление валерианы. Если это невыполнимо, можно рекомендовать её прием до оперативного вмешательства, а в послеоперационном периоде назначать бензодиазепины для лечения синдрома отмены.

Перечисленные лекарственные травы являются компонентами многочисленных БАД. Только зверобой входит в состав более чем 50 БАД и нигде нет указаний на возможность его взаимодействия с другими препаратами. Например, экстракт корня солодки противопоказан больным с артериальной гипертензией, циррозом и холестатическими нарушениями печени, гипокальемией, почечной недостаточностью, в период беременности.

Многие лекарственные травы содержат соединения, оказывающие отрицательное воздействие на различные органы и системы. В последнее время внимание медиков привлечено к лекарственным травам, содержащим алкалоиды пиролизидина, обладающие потенциальными мутагенными и канцерогенными свойствами. Они оказывают токсическое воздействие на многие органы и системы, но печень является их основной мишенью.

Растительные яды, применявшиеся с давних пор в качестве лечебных и профилактических средств, могут вызывать многочисленные побочные эффекты. Необходима тщательная оценка лечебных свойств компонентов лекарственных растений.

Фармацевтический рынок в настоящее время предлагает средства не только для больных, но и все чаще для здоровых людей, не только для лечения некоторых заболеваний, но и с целью профилактики. Все эти средства создаются на основе химического синтеза, биотехнологии, вырабатываются из натурального растительного и животного сырья, или продуктов их переработки. Отсюда на растительные лечебно-профилактические продукты и их галеноидные формы приходится не менее 50%. Как показывает медицинская практика БАД в виде медицинских препаратов обладают целым рядом преимуществ перед синтетическими и монокомпонентными средствами. Следует отметить, что они не накапливаются в организме.

Ценность получения биологически активных веществ из исходного сырья заключается в том, что наряду с известным действующим веществом, из лекарственного сырья извлекаются и другие полезные вещества (витамины, минеральные соли с повышенной биологической активностью и многие другие компоненты. Хотя роль отдельных веществ не всегда ясна и понятна.

Литература

1. Тутельян В.А., Суханов Б.Н. и др. Биологически активные добавки в питании человека Томск. 1999г.
2. Виноградова Т.А., Гажев Б.Н. Практическая фитотерапия. М. . Олима-Пресса. 1998 г.
3. Токсикологическая химия. Под ред. проф. Т.В. Плетеневый и др. М. ГЭОТАР 2008г.
4. Рыгов И. Дунченко И. Безопасность продовольственного сырья и пищевых продуктов. М. 2006 г.
5. გამყრელიძე ე. ტოქსიკური ნივთიერებები გამომც. საქართველო. 2002 წ.

SIDE EFFECTS ASSOCIATED WITH THE USE OF DIETARY SUPPLEMENTS

Gamkrelidze E.

Akaki.Tsereteli State University

Summary

Food products provide physical and mental operability and health. Contamination of food with toxic substances deteriorated during last years. A lot of solid matter of vegetable origin used in the form of dietary supplements. . Found that some herbal remedies cause complications - side effects. . At the post surgery period registered myocardial infarction, stroke, bleeding, adverse side effects with other medication.



მცენარეულ კვების პროდუქტებში კალიუმის იზოტოპის შემცველობის რადიობიოლოგიური ასპექტი

გოგებაშვილი მ., ივანიშვილი ნ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი

ნაშრომში განხილულია მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში კალიუმის რადიოაქტიური იზოტოპის შემცველობის რადიობიოლოგიური ასპექტები. გაკეთებულია დასკვნა, რომ კალიუმის მაღალი შემცველობის დროსაც კი, ^{40}K არ ხასიათდება ტოქსიკურობით, ვინაიდან სხვა იზოტოპებისაგან განსხვავებით, ამ იზოტოპის დაგროვება არ ხდება ადამიანის ორგანიზმში და საფრთხეს არ უქმნის მის ჯანმრთელობას.

საქართველო აქტიურად არის რა ჩართული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაში, დიდ მნიშვნელობას იძენს ექსპორტისა და იმპორტისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქციის ხარისხის კონტროლის საკითხი. ბუნებრივია, რომ აღნიშნული საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის აუცილებელია არა მარტო თანამედროვე ანალიზების მეთოდოლოგიის დახვეწა, არამედ მიღებული შედეგების სათანადო დონეზე ინტერპრეტაცია. ამ მიმართებაში რადიობიოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენს პროდუქტებში იზოტოპ ^{40}K -ის შემცველობა; სახელდობრ, თუ ისეთი მანერე იზოტოპების აღმოჩენისას, როგორცაა ^{137}Cs და ^{90}Sr , არსებობს განსაზღვრული ნორმები, რომლის მიხედვითაც შეიძლება გაკეთდეს პროდუქციის ვარგისიანობის ზუსტი შეფასება, ^{40}K -ის შემთხვევაში ეს საკითხი ნაკლებად არის დაკონკრეტებული. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივი რადიოაქტიურობის ძირითად ელემენტს ^{40}K წარმოადგენს [1], მაშინ ცხადი გახდება, რომ აღნიშნული იზოტოპის საკვებ პროდუქტებში მოხვედრის ალბათობაც უფრო მაღალია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის რადიობიოლოგიური ასპექტების განხილვას აქვს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული ღირებულება.

ცხრილი 1.

კალიუმის (^{40}K) რადიოაქტიური იზოტოპის შემცველობა მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში

მცენარეული წარმოშობის პროდუქტი	^{40}K -ს რაოდენობა მგ/100 გ	მცენარეული წარმოშობის პროდუქტი	^{40}K -ს რაოდენობა მგ/100 გ
კიტრი	0,016	ბადრიჯანი	0,027
ნესვი	0,014	ბოლოკი	0,029
საზამთრო	0,0075	ყურძენი	0,029
მსხალი	0,018	ხახვი	0,030
მარწყვი	0,018	ნორი	0,030
წიწკა	0,019	სოკო (თეთრი)	0,055
კომბოსტო	0,022	კაკალი	0,078
ფორთოხალი	0,023	გარგარი	0,036
სტაფილო	0,023	ატამი	0,042
გოგრა	0,024	პომიდორი	0,034
სალათი	0,025	ისპანახი	0,091
ვაშლი	0,033	ბარდა	0,090
ჭარხალი	0,034	ყავა	0,19
		ჩაი	0,29



ცნობილია, რომ ბუნებრივი კალიუმი შედგება სამი იზოტოპისგან: ორი მათგანი სტაბილურია - ^{39}K (იზოტოპური გავრცელება 93,258%) და ^{41}K (6,730%); მესამე იზოტოპი - ^{40}K (0,0117%) გვევლინება ბეტა-აქტიურობის მატარებელ იზოტოპად, რომლის ნახევარდაშლის პერიოდი უტოლდება $1,248 \cdot 10^9$ წელს. ბუნებრივი კალიუმის ყოველ გრამში წამში საშუალოდ იშლება ^{40}K -ის 32 ბირთვი, რის გამოც, მაგალითად, 70 კილოგრამი წონის მქონე ადამიანის ორგანიზმში ყოველ წამს ხორციელდება დაახლოებით 4000 რადიოაქტიური დაშლა.

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, ^{40}K ფართოდ არის გავრცელებული მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში, თუმცა მისი კონცენტრაცია ვარირებს სხვადასხვა კულტურასთან მიმართებაში. კალიუმის საერთო შემცველობა ადამიანის ორგანიზმში შეადგენს დაახლოებით 250 გრამს, დღეღამური მოხმარება კი-1,5-2 გრამს. კალიუმის სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, მისი ნაკლებობის ძირითადი გამოვლენა გამოხატულებას პოვებს ორგანიზმის ზრდის შენელებასა და სქესობრივი ფუნქციების მოშლაში. კალიუმის დიდი დოზებით გამოყენების დროსაც კი, თირკმლის უკმარისობის შემთხვევების გარდა, მისი ტოქსიკური მოქმედება არ აღინიშნება.

კალიუმის, კერძოდ, მისი იზოტოპის ^{40}K -ის შესახებ არსებობს უამრავი ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები [2,3,4]. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამ იზოტოპის შემცველობას უარყოფითად აფასებს და განიხილავს მას, როგორც დაბინძურების საშიშ ფაქტორს, ხოლო გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მას მცენარეში დამცავი ფუნქცია აკისრია [5]. რადიონუკლიდური შემადგენლობის შესწავლისას გარკვეულ მოდელურ კრიტერიუმად ხშირად იყენებენ რადიოაქტიური ნაერთების “ფიზიოლოგიურად კონკურენტუნარიან” წყვილებს, მათ შორის კალიუმსა და ცეზიუმს. ამ წყვილის ექსპერიმენტული სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ელემენტის, მაგალითად, კალიუმის დიდი რაოდენობით შეღწევა გარკვეულწილად ხელს უშლის მეორე ელემენტის (ცეზიუმის) მცენარეში მოხვედრას. სწორედ ამ დებულებაზეა დაფუძნებული ცნობილი რადიოდამცავი აგროხეჩი, რომელიც ითვალისწინებს კალიუმიანი სასუქების გამოყენებას ეკოსისტემების ^{137}Cs -ით დაბინძურების შემთხვევაში. ამასთანავე დადგენილია, რომ ნიადაგში ამ ორი ელემენტის მცირე კონცენტრაციის დროს, ანტაგონისტური დამოკიდებულება ნაკლებად არის გამოხატული, ანუ მცენარეში კალიუმისა და ცეზიუმის შეღწევადობა პარალელურ ხასიათს ატარებს [5].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ^{40}K -ის საკვებ პროდუქტებში აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა დაფიქსირდეს, რომ ერთი მხრივ, ის ბუნებრივი რადიოაქტიურობის ძირითადი შემადგენელი კომპონენტია და მეორე მხრივ, კალიუმის მაღალი შემცველობის დროსაც კი, იგი არ ხასიათდება ტოქსიკურობით, ვინაიდან სხვა იზოტოპებისაგან განსხვავებით, ამ იზოტოპის დაგროვება არ ხდება ადამიანის ორგანიზმში და საფრთხეს არ უქმნის მის ჯანმრთელობას.

ლიტერატურა

1. Цицкишвили М.С. и др. Основные результаты радиогеоэкологического мониторинга Закавказья. Радиационные исследования, Тбилиси 1986, т.VII, с.197-220.
2. Москалев Ю.И. Радиобиология инкорпорированных радионуклидов. М.: Энергоатомиздат, 1989, 264с.
3. T. Jabbar, P. Akhter, K. Khan, A. Jabbar, K. Saleem Radiological Impact Of Composite Served At Pinstech Food and Chemical Toxicology Volume 47, Issue 6, June 2009, p. 1205-1208.
4. A.H. Kukoč, I.V. Aničín, P.R. Adžić The gamma contamination food factor International Journal of Radiation Applications and Instrumentation. Part A. Applied Radiation and Isotopes, Volume 43, 1992, p. 83-85
5. კობლაძე მ, რაზმაძე ი, გოგებაშვილი მ. მრავალწლიანი მცენარეების ორგანოებში ^{40}K -ისა და ^{137}Cs -ის შემცველობა (ჩაის მაგალითზე). რადიოეკოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები. თბილისი 2007, 2, გვ41-43.



RADIOBIOLOGICAL ASPECTS OF THE CONTENT THE ISOTOPE OF POTASSIUM IN PLANT PRODUCTION

Gogebashvili M., Ivanishvili N

The Institute of Radiology and Ecology of the Georgian Agrarian University

Summary

In work the question of the maintenance of a radioisotope of potassium (^{40}K) in plant production and possible risk is considered at its hit in an organism. The conclusion, that, despite rather high maintenance of this isotope in plant production is drawn, it does not represent radiobiological danger as does not possess cumulative effect.

ЖИРНОКИСЛОТНЫЙ СОСТАВ СЕЛЕНОСОДЕРЖАЩИХ РАСТИТЕЛЬНЫХ МАСЕЛ

Грищенко И.М., Романенко Р.П., Неиленко С.М.

Киевский национальный университет культуры и искусств, Киевский национальный
торгово-экономический университет

В статье исследованы физико-химические показатели льняного масла с селеном и масла расторопши с селеном. Приведен их жирнокислотный состав, полученный методом газожидкостной хроматографии. Определены основные параметры исследуемых масел и рассчитан коэффициент эффективности липидов.

В условиях насыщенности продовольственного рынка Украины вопрос качества продукции обретает особенного значения. Одним из методов повышения потребительского качества изделий является внесение в рецептуру традиционных блюд эссенциальных веществ. Одним из таких продуктов является льняное масло. Оно является источником незаменимых полиненасыщенных жирных кислот ω -3 и ω -6.

Важным критерием биологической ценности является содержание полиненасыщенных жирных кислот (ПНЖК). Наиболее важные из жирных кислот -линолевая (ω -3) и α -линоленовая (ω -6). Физиологическое значение ПНЖК обеспечивается их возможностью обеспечивать синтез арахидоновой кислоты, а также, влиянием ПНЖК на липидный состав и атерогенный потенциал крови, что связанный с отношением ПНЖК/НЖК. Оптимальным соотношением ω -6/ ω -3 для каждодневного питания является 10:1, для лечебно-профилактического питания – от 3:1 до 5:1.

Льняное масло используют при производстве маргаринов, разработано широкий ассортимент салатных заправок на основе льняного масла, предлагается ввести семена льна в рацион школьного питания [1].

Многочисленные медицинские исследования подтвердили, что льняное масло, влияя на холестерин и триглицериды - основные виновники склероза, уменьшает опасность возникновения тромбов. Например, употребление на протяжении месяца хлеба с добавкой льняных семян на 8% снижает уровень холестерина и тем самым - риск сердечнососудистых заболеваний. Побитных действий при этом не выявлено [2].

Исходя из вышесказанного, цель работы состоит в том, чтобы исследовать жирнокислотный состав растительных масел с повышенным содержанием селена.

Объектом исследования выбрали масла из расторопши и льна с селеном.

Для исследования использовались диетические добавки “Масло льна с селеном” и “Масло расторопши с селеном” производства П.П.Мирослав согласно ТУ У 15,8-32157903-002:2006 и ТУ У 15,8-32157903-004:2006. Масла получены из семян льна и расторопши методом дезодорации.



Количественный состав добавок: нерафинированное масло - 99,9958 %, органический селен - 0,0042 %. Селеносодержащую добавку – селенопиран ввели в состав масла в качестве антиоксиданта. Селенопиран имеет меньшую токсичность, чем неорганические селеносодержащие добавки, характеризуется выраженным антиоксидантным действием, имеет способность активировать деятельность иммунной и детоксикационной систем, а также накапливать микроэлемент селен в печени и мышцах человека.

Органолептические и физико-химические показатели исследованных масел приведены в таблице 1.

Исследования проводились методом газожидкостной хроматографии. Хроматограммы льняного масла и масла расторопши приведены на рис. 1 и рис. 2 соответственно.

Таблица 1

Органолептические и физико-химические показатели льняного масла с селеном и масла расторопши с селеном

Органолептические показатели	Льняное масло с селеном	Масло расторопши с селеном
Прозрачность	прозрачное без осадка	прозрачное без осадка
Цвет	золотисто-желтый	светло-жёлтый
Вкус и запах	приятный запах льна, с привкусом легкой горькости	слабо выраженный привкус расторопши, без запаха
Физико-химические показатели		
Коэффициент преломления	1,4746±0,0018	1,473±0,004
Цветное число (мг I ₂)	8,6±0,8	4,4±0,3
Йодное число (мг I ₂ на 10г воды)	244,3±4,3	146,4±3,2
Кислотное число (мг, КОН)	0,46±0,12	0,38±0,08
Перекисное число (ммоль/кг ½ O)	3,84±0,26	3,06±0,19
Влажность (%)	0,12±0,03	0,10±0,02




Рис. 1. Хроматограмма масла льняного с селеном



Как видно из таблицы 2, льняное масло содержит на 13,5% больше линоленовой кислоты ($\omega 3$), но на 7,94% меньше линолевой ($\omega 6$), также у масла расторопши обнаружено приблизительно 3% изомеров линоленовой кислоты ($\omega 4$).

По полученным данным определены основные параметры исследуемых масел, рассчитан коэффициент эффективности липидов [3].




Рис. 2. Хроматограмма масла расторопши з селеном

Таблица 2

Жирнокислотный состав исследуемых растительных масел с селеном

Наименование кислот	Массовая доля жирных кислот %	
	Льняное масло з селеном	Масло расторопши з селеном
1. Насыщенные	179,3	178,8
Миристиновая (C _{14:0})	0,09	0,10
Пентадекановая (C _{15:0})	0,02	0,02
Пальмитиновая (C _{16:0})	9,99	10,92
Маргариновая (C _{17:0})	0,06	0,08
Стеариновая (C _{18:0})	7,09	6,30
Арахиновая (C _{20:0})	1,06	1,61
Генеикозановая (C _{21:0})	1,10	0,06
Бегеновая (C _{22:0})	0,89	1,71
2. Мононенасыщенная	26,40	29,72
Пальметоолеиновая (C _{16:1})	0,41	0,52
Кептадеценная (C _{17:1})	-	0,04
Олеиновая (C _{18:1})	25,43	28,57
Гондовая (C _{20:1})	0,56	0,59
3. Полиненасыщенная	53,30	49,57
Линолевая (C _{18:2}) $\omega 6$	30,04	37,98
Линолевая (C _{18:2}) $\omega 4$	1,04	2,7
Линоленовая (C _{18:3})	21,34	7,84
Арахидоновая (C _{20:4})	0,52	0,51
Докозациеновая (C _{22:2})	0,09	-
Докозапентаеновая (C _{22:5})	0,27	0,54



Таким образом, можно сделать выводы, что упомянутые масла обеспечивают потребность организма человека в полиненасыщенных жирных кислотах $\omega 3$ и $\omega 6$ и могут рекомендоваться для использования в производстве кулинарной продукции.

Таблица 3

Параметры растительных масел

Параметры	Льняное масло з селеном	Масло расторопши з селеном
Соотношение Н:М:П (идеальное 1:1:1)	1:1:2	1:1:2
Соотношение $\omega 6/\omega 9$ (идеальное $>0,25$)	1,18	2,38
Соотношение $\omega 6:\omega 3$ (идеальное 4:1)	1,4:1	5:1
Коэффициент эффективности липидов (идеальный 1)	0,61	0,62
Количество изомеров жирных кислот, %	1,04	2,70

ЛИТЕРАТУРА

1. Шематонов Д.В. Разработка рецептур салатных заправок на основе льняного пищевого масла для функционального питания//Масложировая промышленность.-2001.-№3.-С.26-27.
2. Печерская Н.В., Байков В.Г., и др. Сравнительная характеристика антиоксидантов растительного происхождения в составе жировых эмульсионных продуктов//Вопросы питания.-2006.- №4.-С.20-22.
3. Тищенко С.В., П.Х. Пономарьев Харчові жири: підручник друге видання доп. и переробл. К.: КНТЕУ 2005. -227с.

FATTY ACID COMPOSITION OF SELENIUM CONTAINING OILS

Gryshchenko I., Romanenko R., Neilenko S.

Kyiv National University of Culture and Arts, KYIV NATIONAL UNIVERSITY OF TRADE AND ECONOMICS
Summary

The article presents investigation of the physical and chemical properties of flaxseed oil with selenium and milk thistle oil with selenium. Fatty acid composition which obtained by gas-liquid chromatography is shown. The basic parameters of the oils is determined and lipid efficiency ratio is calculated.

სტევიას - უსაფრთხო დამატკობელი

დავითაძე რ., კალანდია ა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დახასიათებულია საქართველოში გავრცელებული სტევიას (*Stevia rebaudiana*) ფოთლის ტკბილი გლიკოზიდები. დომინირებადი ნაერთი სტევიოზიდია, რომელიც 6-7 %-მდე გროვდება ფოთლებში. ზრდასრული ფოთლები ტკბილ ნაერთებს მეტი რაოდენობით აგროვებენ.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ჯანსაღი კვების პრობლემა. მოსახლეობის დიდ ნაწილს ნახშირწყლების ჭარბი რაოდენობით გამოყენების გამო აწუხებს ჭარბწონიანობა და შაქრიანი დიაბეტი. ასეთი ადამიანები ვერღებულობენ შაქარსა და სხვა კალორილ დამატკობებებს, ამიტომ აუცილებელია მათთვის უსაფრთხო ტკბილი პროდუქტების შექმნა და გამოყენება.

დღეისათვის საქართველოში არსებული დაბალკალორიული დამატკობლების 95% პროცენტს წარმოადგენს ხელოვნური გზით მიღებული დამატკობლები როგორცაა ასპარტამი, საქარინი და სხვა. ასეთი ნაერთების გამოყენების დოზები მკაცრად შეზღუდულია რიგი რისკ-ფაქტორების გამო. ხოლო ბუნებრივი დამატკობლები როგორ-



რიცაა სტევიას ფოთლისაგან მიღებული პროდუქტები სამწუხაროდ ნაკლებადაა ცნობილი.

მცენარე სტევია (*Stevia rebaudiana*) მრავალწლოვანი ბალახია რომელის სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. მას გამოყენების 1500 წლოვანი ისტორია გააჩნია. სტევიას პირველი აღმომჩენები და მომხმარებლები ინდოელი ტომები იყვნენ, ისინი მას ტკბილ ან თაფლოვან ბალახს უწოდებდნენ. ის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ხანია გამოიყენება როგორც ბუნებრივი დამატკბობელი. 1995 წლიდან ნებადართულია აშშ-ში, ხოლო ევროკავშირის მიერ ნებადართულია 2007 წლიდან.

სტევიას საქართველოში გავრცელებული ჯიშის (სამწუხაროდ ჯიში უცნობია) ფოთოლი შეაქარხე 10-15 ჯერ ტკბილია, მას ამ სიტკბოს ანიჭებს მასში შემავალი ტკბილი ნაერთები დიტერპენოიდული გლიკოზიდები (სტევიოზიდი, რებაუდიოზიდის რამდენიმე ფორმა და სხვა) რომელთა სიტკბო შეაქარხე 300-450- ჯერ მეტია.

სტევიას უპირატესობას სხვა ბუნებრივ თუ სინტეზურ დამატკბობლებთან შედარებით წარმოაგენს ის, რომ არ გააჩნია უკუჩვენება (დღემდე რამდენადმე მნიშვნელოვანი უკუჩვენება დადგენილი არ არის) და დადებითად აისახება მისი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ის თერმომედეგია და იძლევა საშუალებას დამატკბობელი გამოყენებული იქნას ჯემების, მურაბების, წვენებისა და საკონდიტრო ნაწარმის მისაღებად.

მრავალი წლების კვლევებმა აჩვენეს რომ სტევიას გააჩნია არა მარტო დამატკბობელი თვისება არამედ მრავალი სხვა უნიკალური სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებებიც, როგორცაა:

-ჰიპოგლიკემიური მოქმედება, ის დიაბეტით დაავადებულ ადამიანების სისხლში ამცირებს შაქრების რაოდენობას და ასტიმულირებს ინსულინის სეკრეციას.

-სიმსუქნესთან ბრძოლის დადებითი ეფექტი. სტევიას ტკბილი გემოს მიუხედავად წარმოადგენს დაბალ კალორიულ საშუალებას და არ უმატებს გლუკოზის რაოდენობას სისხლში.

-სისხლძარღვთა სისტემაზე დადებით გავლენას ახდენს. სტევიას ტკბილ გლიკოზიდებს გააჩნიათ უნიკალური თვისება - შეამცირონ სისტემური არტერიული წნევა. ხანგრძლივი მიღებისას აქვს კარდიოტონული ეფექტი, დადებით გავლენას ახდენს გულსისხლძარღვთა სისტემაზე.

-ანტიმიკრობული თვისებება: მცენარე აფერხებს მრავალი მიკრობის რეპროდუქციისა და ზრდის მაჩვენებელს. ამავე დროს, მინერალებსა და ვიტამინებს, რომლებიც შედიან ფოთლის შემადგენლობაში, შეუცვლელია იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

-კანის დაავადებები, ფოთლები არის ძალიან კარგი კოსმეტიკური საშუალება პრობლემური კანისთვის.

-დეტოქსიკაციის თვისებები. მცენარე შეიცავს ვიტამინ ჩ, კაროტინს, მინერალებს, შე, ძნ, და აქვს ანტიოქსიდანტური თვისება. სტევიას მსუბუქი შარდმდენი ეფექტი ეხმარება გამოდევნოს ორგანიზმიდან ტოქსინები, მძიმე მეტალების მარილები და სხვა მეტაბოლიზმის პროდუქტები.

მცენარისადმი ინტერესმა გააძლიერა სელექციური სამუშაოები, რომლებიც მიმართული იყო მცენარეში ტკბილი გლიკოზიდების შემცველობის გასაზრდელად. ლიტერატურაში ცნობილია რამდენიმე ათეული ასეთი ჯიშის შესახებ. პროექტის გრანტი

/124/6-470/13 ფარგლებში შექმნილი იქნა სტევიას რამდენიმე ჯიშის თესლი, რომლებიც დათესილია სათბურში ჩითილების გამოსაყვანად.



ლიტერატურა

<http://www.likar.info/obsledovanie-i-lechenie/article-58266-poleznyie-svoystva-stevii-medovoy/http://elementy.ru/lib/25597>
<http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D1%82%D0%B5%D0%B2%D0%B8%D1%8F>

STEVIA - THE SAFETY SWEETENERS

R. Davitadze, A. Kalandia

Batumi Shota Rustaveli State University

Summary

Characterized spread in Georgia Stevia (*Stevia rebaudiana*) leaf's sweet glycosides. Steviozide – is the dominant compound, which accumulates up to 6-7% in leaves. Old leaves accumulate sweet compounds in the largest amount.

საქართველოში კვებითი ძვევის ძირითადი ასპექტები

დარსანია თ., ყურაშვილი ბ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

არაადეკვატური კვება არის მრავალი დაავადების გამწვავების მექანიზმი აქედან გამომდინარე, დასავლური ქვეყნების მთავრობები იღვწიან შექმნან ეფექტური პოლიტიკა ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს მრავალი სამეცნიერო კვლევის მონაცემი. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით პროდუქტის მარკირება, ფასიც და ის კვებითი გარემო, რომელიც თან სდევს ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე და ქმნის სოციალურ გრადიენტს ქრონიკული დაავადებებისა და რისკ-ფაქტორებისადმი.

მსოფლიოში კვების მრეწველობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლები სერიოზულად ჩართული არიან საკვები პროდუქტების მარკირების ნორმატიული პირობების დადგენაში. ითვლება, რომ სიმსუქნის პრობლემა დამალულია “პირად პასუხისმგებლობაში”, თუ ეს ასეა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არ იქნება მიღწეული კონსენსუსი საკვები პროდუქტების მარკირების აუცილებლობის საკითხში, რაც იმის მანიშნებელია, რომ პოლიტიკოსები და მეწარმეები დაინტერესებული არიან გასაყიდად გამოტანილი პროდუქტი სრულად გაიყიდოს. პერსონალური პასუხისმგებლობის როლი ჯანმრთელობის სახელმწიფო რეგულირებაში უმნიშვნელო იქნება კვებითი დარღვევების პროფილაქტიკისათვის.

“პირადი პასუხისმგებლობის” გავლენა სიმსუქნის პროფილაქტიკაზე დასავლური დემოკრატიის ერთ-ერთი დომინანტი იდეოლოგიაა. მრავალი უცხოელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ხაზს უსვამს, რომ სიმსუქნე, მოწვევა, ალკოჰოლიზმი, დიაბეტი, ვენერიული დაავადებები - ინდივიდუალური ცხოვრების წესის საკითხებია და არ წარმოადგენს მსოფლიო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემას. ტ. ბლერის აზრით, სახელმწიფოს როლი იყო ინდივიდუალური გადაწყვეტილებების უფლებებისა და საშუალებების “ჩართვა” და “გაფართოება”. ეს აიძულებს სახელმწიფოს, ჩაერიოს; მისცეს საშუალება ადამიანებს “აირჩიონ პასუხისმგებლობით”. სხვათა აზრით, “ბოლოს და ბოლოს, ჩვენი წონა არის ჩვენ მიერ შესრულებული ვარჯიშების ოდენობის პროდუქტი და იმ საკვების რაოდენობაზე დამოკიდებული, რომელსაც ჩვენ მივირთმევთ”(3,6,7). ადამიანებისთვის, რომლებიც იღებენ პერსონალურ პასუხისმგებლობას საკვების რაციონზე და ფიზიკურ აქტივობაზე, არის ერთადერთი საშუალება მივადვიოთ ენერგეტიკულ ბალანსს (5,9).

თუ ჩვენი მიზანია შევცვალოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლები,



მნიშვნელოვანია, გავმიჯნოთ საზოგადო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. აღსანიშნავია, რომ პერსონალური პასუხისმგებლობის სტრატეგია წარმატებულია პოპულაციის დონეზე და დამოკიდებულია ყოველი ადამიანის მოტივაციასა და შესაძლებლობებზე “იცხოვროს სწორად”, მკვეთრად შეცვალოს საკუთარი ჩვევები და ცხოვრების წესი. შედეგად, წარმოიქმნება მრავალი ფაქტორი ამ პოლიტიკის ჩასაგარდნად, რადგან პოპულაცია შედგება ინდივიდებისაგან. წონის შემცირების ინდუსტრია კი, სადაც მუშაობენ დამოუკიდებლად შერჩეულ ადამიანთა ჯგუფთან, რომელთაც ყველაზე მეტად სურთ ცვლილებები, აქვს ძალიან ცუდი შედეგი. ასევე დიეტების უმრავლესობა ვერ მუშაობს ადამიანთა უმრავლესობაში (8,11). მიუხედავად პასუხისმგებლობის და პირადი მოტივაციისა, თუ არ არსებობს ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი გარემო და პრივილეგია, ის შედეგს არ იძლევა. პრობლემა იმაშია, რომ პოპულაციის ქცევა ადაპტაციას განიცდის და ვითარდება გარემოს საპასუხოდ. მაგალითად, დასაქმება, დროის უკმარისობა, ურბანიზაცია, ქალები როგორც სამუშაო ძალა, სწრაფი კვების ობიექტები და სხვ. დღევანდელი კვებითი ქცევა განსხვავდება გასული საუკუნის კვებისაგან. სატელივიზიო რეკლამებში განსაზღვრული პროდუქტები დომინირებენ, რომლებიც არ პასუხობენ სრულფასოვანი კვების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რეკლამის გავლენას ნაკლებად განიხილავს, ეს არ არის სწორი. მეწარმეები აგრძელებენ ფულის ჩადებას საკვები პროდუქტების რეკლამაში, რადგანაც პოპულაციურ დონეზე ის მუშაობს. 2004 წელს PEPSI-მ და COCA-COLA-მ დახარჯეს რეკლამაზე შესაბამისად 1.7 და 2.2 მლრდ. აშშ დოლარი, რაც ჯანმოს ორი წლის ბიუჯეტის ტოლია(10). რომც დავარწმუნოთ და რეგულირებას დაუქვემდებაროთ ჯანსაღი პროდუქტების რეკლამირება, პროდუქციის გაუმჯობესება, სავარაუდოდ, არაფერი შეიცვლება. პირადი პასუხისმგებლობის ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში ადვილი ასახსნელია. ინდივიდების ქცევის მარკეტინგული ცვლილება თავიდან აცილებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საკვებ პროდუქტებზე, ალკოჰოლზე, სიგარეტზე. ის, აგრეთვე, არ მოითხოვს სახელმწიფოსაგან გარემოს გაუმჯობესებას და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან წინააღმდეგობას, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში უთანასწორობას. ცხოვრების წესის რეცეპტები ადამიანებისათვის ცვლილებათა მნიშვნელოვანი სტრატეგიაა. ისინი წახალისებული უნდა იყოს სამთავრობო პოლიტიკის, როგორც კომპლექსური ღონისძიებების ნაწილი. მაგრამ ღონისძიება არ იქნება წარმატებული, თუ მთავრობა არ გაითვალისწინებს გარემოს დრმა ზეგავლენას, რომელიც აკეთებინებს არაჯანსაღ არჩევანს და ქცევას პოპულაციაში.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვანი სტრატეგია. ლიბერალურ ეკონომიკაში არის განსაკუთრებული შეზღუდვები, რომლებიც კვებითი ქცევის ამ ცვლილებებს დააკანონებდნენ(4). სიმსუქნე არ არის გადაძვლები დაავადება და, აქედან გამომდინარე, აკრძალვებს ვერ გავავრცელებთ დაავადებულ თუ რისკის ქვეშ მყოფ ადამიანზე. ანუ ეს არ გამოვადგება ჯანსაღი საზოგადოებრივი კვების შეფასებისას, სადაც რეგულირება გულისხმობს მოსახლეობის კვებითი უპირატესობების წინასწარმეტყველებას. წონის შემცირების სტრატეგია, “პირად პასუხისმგებლობაზე” დაყრდნობით, არ არის ეფექტური მათ შორის, ვინც სამედიცინო დახმარების მიღების მხრივ უთანასწორობაშია და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წელს დამტკიცებულ იქნა “სტრატეგიული ამოცანა. ჯანსაღი კვების ხელშეწყობა”(2), 2001წ კანონები: “საკვები პროდუქტების ხა-



რისი და უსაფრთხოება”, “საკვებდინამატების ჰიგიენა”, საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ადამიანის მოთხოვნილების ფიზიოლოგიური ნორმები”, ‘სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ”(1). ამ კანონების მიხედვით კანონმდებლობა აკანონებს შემადგენლობას, სტანდარტს, მიკრობიოლოგიურ, რადიაციულ უსაფრთხოებას, მანე ნივთიერებების ზღვ.ს. მაგრამ არ არის ცნება “ჯანსაღი საკვები”. კანონებით არ არის რეგლამენტირებული საკვები პროდუქტების რეკლამირება, შეფუთვა, მარკირება, ტრანსცხიმების შემცველობა, გენმოდულირებული პროდუქტის მარკირება. აუცილებელია ისეთი მარკირების შემოღება, რომელიც გამოამზეურებს ენერგეტიკული ღირებულების, ცილების, ნახშირწყლების, ცხიმების, მათ შორის ნაჯერი და უჯერი ცხიმების, შაქრის და მარილის რეკომენდებულ რაოდენობას 100 გრ-ში თუ მლ-ში.

დასკვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საკვების მარკირება, სადაც მითითებულია პროდუქტის რეკომენდებული და არსებული შემადგენლობა, დიდ გავლენას ახდენს მიღებული კალორიების შემცირებაზე. მაგრამ ეს ვერ იქნება პანაცეა. ამასთან, მნიშვნელოვანია ფასიც და ის კვებითი გარემო, რომელიც თან გვლევს ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე და ქმნის სოციალ გრადიენტს ქრონიკული დაავადებებისა და რისკ-ფაქტორებისადმი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის არგუმენტიც, რომ პირადი პასუხისმგებლობის სტრატეგია, სავარაუდოდ, ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება იმისთვის, ვისი სოციალური მდგომარეობა წარმატებული არ არის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო www.moh.gov.ge
2. I. სტრატეგიული ამოცანა. 2. ჯანსაღი კვების ხელშეწყობა. თბ., 2009
3. Blair Tony. Speech on healthy living. 2006. (last accessed 11 October 2010)
4. Calman K. Beyond the 'Nanny State': Stewardship and Public Health. Public Health.2009;**123**:e6–e10. doi: 10.1016/j.puhe.2008.10.025
5. Department of Health (UK) Choosing Health: Making Healthy Choices Easier. Public Health White Paper. 2004. <http://webarchive.nationalarchives.gov.uk/+ /www.dh.gov.uk> (last accessed 11 October 2010)
6. The Honourable Tony Abbott MHR. Pandemic Flu and Obesity Issues. 2005 [http:// www. health.gov.au / internet/ministers/ publishing. nsf/ Content/ health-mediarel-yr2005-ta-abbsp140905. htm](http://www.health.gov.au / internet/ministers/ publishing. nsf/ Content/ health-mediarel-yr2005-ta-abbsp140905. htm) (last accessed 11 October 2010)
7. The Honourable Tony Abott. A Plan to Win the Battle of the Bulge. Sydney Morning Herald.2006.
8. Katan M. Weight-Loss Diets for the Prevention and Treatment of Obesity. New England Journal of Medicine. 2009;**360**:923–925.
9. McKee M. Choosing Health? First Choose Your Philosophy. Lancet. 2005;**365**:369–371.
10. McNally M, Downie J. The Ethics of Water Fluoridation. Journal of the Canadian Dental Association. 2000;**66**:592–593
11. World Health Organisation. Obesity: Preventing and Managing the Global Epidemic. WHO Technical Report Series 894. Geneva, WHO; 2000. pp. 179–194.

BASIC ASPETS OF FOOD BEHAVIOR IN GEORGIA

Darsania T., Kurashvili B.

TSMU, Nutritional and age medicine

Summary

Inadequate feeding is a trigger mechanism of many diseases. Hence, governments of industrial countries struggle for elaboration of effective policies for avoiding it. If the state does not take in consideration data of science research, there are no other methods to overpower this problem. Today authorities appeal to population to regulate weight and, correspondingly health, under their own liability. Though, it is not enough for solving the problem.



On the assumption of above, labeling foodstuffs – indicating existing and recommended composition of a product – can influence towards the reduction of calories. But it would not be a miracle cure. Significant are also price and feeding environment accompanying individual during his life span and creating his social gradient to chronic diseases and risk factors as well as the argument, that the strategy of personal responsibility, most likely, will be less important to the people who have not successful social stand.

РАЗРАБОТКА РЕЦЕПТУР ПОЛУФАБРИКАТОВ МУЧНЫХ СМЕСЕЙ ФУНКЦИОНАЛЬНОЙ НАПРАВЛЕННОСТИ

Евдохова Л.Н.

Могилевский государственный университет продовольствия

Работа посвящена использованию ячменной муки в рецептурах кондитерских изделий. Предложено использование муки ячменной в рецептурах концентратов мучных кондитерских изделий (кексов) в качестве функционального ингредиента. Разработаны рецептуры мучных смесей с использованием ячменной муки. Получены данные об органолептических показателях качества кексов функциональной направленности выпеченных с использованием концентратов мучных смесей.

В последние годы особым спросом в общественном питании стали пользоваться готовые сухие мучные смеси для выпечки – это полуфабрикаты для быстрого изготовления прекрасных и свежих кондитерских изделий. Такие мучные смеси содержат высококачественные ингредиенты, позволяющие быстро и без труда готовить вкусные и полезные мучные кондитерские изделия. Состав мучных смесей для выпечки зависит от их целевого назначения.

На белорусском рынке доминируют следующие производители: ОАО «Минский комбинат хлебопродуктов», ОАО «Барановичхлебопродукт» и ОАО «Лидахлебопродукт». При этом порядка 75% производства мучных смесей приходится на смеси для выпечки блинов и оладий. Что касается других видов смесей, то доля в общем объеме производства их невелика.

В последние годы все более популярным становится обогащение мучных изделий функциональными ингредиентами. ОАО «Лидахлебопродукт» выпустила линейку муки высшего сорта обогащенную различными фитодобавками (Садко, Здравушка, Вавиловская и др.). Однако на потребительской упаковке такой муки отсутствуют рекомендации по приготовлению изделий из такой муки. ОАО «Минский комбинат хлебопродуктов» запустил в производство муку пшеничную высшего сорта, обогащенную смесями комплексными обогатительными «Долголетие» - 3 рецептуры. Они представляют собой смеси зерновых продуктов, овощей, фруктов, с добавлением аминокислот, витаминно-минерального премикса, витаминов в чистом виде, янтарной кислоты, цветочной пыльцы и другого сырья. Данный вид продукции предназначается для выпечки хлебобулочных изделий и мучных сладостей (печенье, кексы и др.), имеющих диетические, в том числе и геродиетические свойства (активное долголетие).

В настоящее время большинство потребителей ориентируются на здоровое питание и предпочитают в домашних условиях приготавливать здоровые продукты. Однако ни один из белорусских производителей не вводит обогащенную пшеничную муку в мучные смеси.

Кроме того, белорусские производители на рынке мучных смесей не производят смесей адаптированных для производства мучных кондитерских изделий для кондитерских цехов общественного питания и школьного питания. Зачастую в рецептуру мучных изделий приготовленных в кондитерских цехах предприятий общественного питания и торговли вводят



мучные смеси для выпечки бисквитов и кексов производства Германии, России и др. В связи с принятой политикой государства в области импортозамещения такое положение на рынке мучных смесей не допустимо. Поэтому, целью нашей работы является разработка рецептуры концентрата мучных смесей для приготовления кексов функциональной направленности.

В качестве ингредиента функциональной направленности вводили в рецептуру кекса ячменную муку. По данным медицинского центра при Университете Baylor в Далласе /США/ ячмень занимает второе место по содержанию защитных свойств у продуктов растительного и животного происхождения в чистом виде (на первом месте списка из 27 анализируемых продуктов оказался киви, а на третьем месте – клюква).

В настоящее время накоплены данные, свидетельствующие о том, что по многим своим полезным (лечебным) свойствам продукты из ячменя (и сам ячмень) просто уникальны. Ячмень содержит достаточно ценные по аминокислотному составу белки (не сбалансированы только по лизину и треонину), слизи, богат активными ферментами (амилаза, протеаза, пероксидаза), имеет более высокое, чем в овсе, содержание пищевых волокон. Пищевые волокна ячменя состоят преимущественно из группы уникальных водорастворимых пищевых волокон, называемых β -глюканы. Практически весь β -глюкан ячменя находится в эндосперме, где он входит в состав стенок крахмальных зерен и выполняет функцию целлюлозы. Клеточные стенки ячменя содержат до 70 % β -глюкана, а клеточные стенки алейронового слоя – только 20%.

Исследования последних лет показали, что β -глюканы играют важную роль в иммунологии. β -глюкан оказывает мощное воздействие на иммунную систему с нарушенным балансом по нескольким направлениям. β -глюкан активизирует иммунную реакцию организма, создавая защитную систему от вирусов, бактерий, грибов, паразитов и канцерогенов. Это, также, сильнодействующий антиоксидант – нейтрализатор свободных радикалов.

Помол зерна ячменя проводили на лабораторной мельничной установке типа МЛУ-202. Качество ячменной муки полученной в ходе помола представлено в таблице 1.

Таблица 1

Показатели качества ячменной муки

Наименование показателя	Особая ячменная
Влажность, % не более	15,0
Зольность в пересчете на сухое вещество, % не более	0,90
Крупность, %:	
- остаток на сите из шелковой ткани №27, не более	2
- проход через сито из шелковой ткани №38, не менее	75

Таблица 2

Варианты рецептур мучных смесей для приготовления кексов

	Вариант 1	Вариант 2	Вариант 3
Сухие компоненты	Ячменная мука Пшеничная мука Соль Сода	Ячменная мука Пшеничная мука Сахар Соль Сода	Ячменная мука Пшеничная мука Сахар Яичный порошок Какао-порошок Соль Сода
Компоненты, вносимые непосредственно перед приготовлением	Масло сливочное Сахар Яйца куриные Изюм	Масло сливочное Яйца куриные Изюм	Масло сливочное Изюм



В качестве базовой рецептуры кексов использовали рецептуру популярного кекса «Столичный». Данный кекс широко производится предприятиями общественного питания и предприятиями кондитерской промышленности.

Были проведены опыты с различными вариантами сочетания сухих компонентов. В таблице 2 приведены варианты рецептур мучных смесей для приготовления кексов.

Ячменную муку вводили в рецептуру в соотношении с пшеничной мукой высшего сорта 50 : 50.

Удовлетворительные органолептические показатели были получены при приготовлении кексов с использованием рецептур №2 и №3. В рецептуру №3 внесли дополнительно какао, так как использование ячменной муки несколько меняет цвет изделия на более темный.

Таким образом, нами были разработаны рецептуры концентратов мучных смесей для приготовления кексов функциональной направленности с использованием ячменной муки. Использование ячменной муки в рецептуре кексов позволило увеличить содержание в них пищевых волокон и в частности ценного пищевого волокна β -глюкана.

ლიტერატურა

1. Изделия кондитерские. Методы определения органолептических показателей качества, размеров, массы нетто и составных частей: ГОСТ 5897-90. – Введ. 01.01.92. - Государственный комитет СССР, 1992. – 6 с.
2. Изделия кондитерские. Методы определения влаги и сухих веществ ГОСТ 5900-73. – Введ. 01.01.74. - Государственный комитет СССР, 1974. – 16 с.
3. Изделия кондитерские. Методы определения кислотности и щелочности: ГОСТ 5898 – 87. – Введ. 01.01.1989. – Государственный комитет СССР, 1989. – 10 с.
4. Кексы. Общие технические условия: ГОСТ 15052-96. – Введ. 01.09.1998. – Минск: Госстандарт РБ, 1998. – 16 с.
5. Сборник рецептур кондитерских и булочных изделий – Мн.: ООО «НИЦ-БАК». 2007. – 736 с.
6. Способ получения ячменной муки: пат. 16079 Респ. Беларусь / Л.В. Рукшан, Л.Н. Евдохова; заявитель Могилевск. гос. ун-т. продовольствия// Афіцыйны бюл. / Нац. цэнтр інтэлектуал. уласнасці. – 2012. – № 2. – С. 174.

DEVELOPMENT OF FORMULATIONS OF FLOUR MIXES FUNCTIONAL ORIENTATION

Evdohova L.

Mogilev State Foodstuffs University

Summary

The work is devoted to the use of barley flour in recipes confectionery. The use of barley flour proposed in recipes concentrates confectionery (cakes) as a functional ingredient. Recipes flour mixtures with barley flour is developed. The data on the organoleptic quality indicators functional orientation cupcakes baked with flour mixtures of concentrates.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კრიტერიუმები და მარკინგები

ვანიშვილი მ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემისადმი კონცეპტუალური მიდგომის შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხდება კრიტერიუმების საშუალებით, რომლებიც ასახავენ უსაფრთხოების არსს და გარკვეული პირობების სახით მის განსაზღვრაშია ჩადებული. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და, შესაბამისად, მის კომპლექსურ მონიტორინგსა და მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების მარკინგებელთა (ინდიკატორთა)



სისტემის ზღვრულ პარამეტრებს), რამდენადაც სწორედ მათ ქვემოთ იწეება ნეგატიური პროცესები და საფრთხის ქვეშ დგება უსაფრთხოების სუბიექტების ნორმალური არსებობა და განვითარება. უმაღლესი ხარისხის სასურსათო უსაფრთხოება მიიღწევა მაშინ, როდესაც ყველა მანქანებელი (ინდიკატორი) დასაშვებ საზღვრებშია. თუ მანქანებელი (ინდიკატორი) ზღვარს აჭარბებს, საფრთხე იზრდება. საშიშროება მით მეტია, რაც უფრო იზრდება დასაშვებ ზღვარს მიღმა არსებულ მანქანებელთა (ინდიკატორთა) რაოდენობა.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შესაფასებლად აუცილებელია კონკრეტულ მანქანებელთა სისტემის გამოყენება, რომელიც, სასურსათო უსაფრთხოების კლების ან ზრდის ტენდენციების გამოვლენასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს დავსახოთ სასურსათო პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონკრეტულ მანქანებელთა სისტემის შემუშავებისადმი ჩვენეულ მეთოდურ მიდგომას საფუძვლად უდევს სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი პირობები (კრიტერიუმები) და ამ მანქანებლების ფორმულირების ბაზადა გამოყენებული სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ელემენტების მოთხოვნები.

ერთ-ერთი ასეთი მთავარი მოთხოვნაა სურსათის მოხმარების საკმარისობა, რომელიც განისაზღვრება საკმარისობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების დახმარებით. საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება გამოვიანგარიშოთ ღირებულებითი (K_{საკმ.1}) და ნატურალური (K_{საკმ.2}) გამოსახულებით. საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი ღირებულებითი გამოსახულებით (K_{საკმ.1}) გაიანგარიშება, როგორც კვების ფაქტიური დღე-ღამური (თვიური) რაციონის ღირებულების შეფარდება სამედიცინო ნორმების მიხედვით კვების დღე-ღამური (თვიური) რაციონის ღირებულებასთან, ხოლო ნატურალური გამოსახულებით (K_{საკმ.2}), - როგორც კვების დღე-ღამურ (თვიურ) რაციონში შემავალი ფაქტიური კკალორიების რაოდენობის შეფარდება კვების დღე-ღამურ (თვიურ) რაციონში სამედიცინო ნორმების მიხედვით შემავალი კკალორიების რაოდენობასთან. მაშასადამე:

$$K_{საკმ.1} = \frac{\text{კვების ფაქტიური დღე - ღამური (თვიური) რაციონის ღირებულება}}{\text{კვების დღე - ღამური (თვიური) რაციონის ღირებულება სამედიცინო ნორმების მიხედვით}}$$

$$K_{საკმ.2} = \frac{\text{ფაქტიური კკალორიების რაოდენობა კვების დღე - ღამურ (თვიურ) რაციონში}}{\text{კკალორიების რაოდენობა კვების დღე - ღამურ (თვიურ) რაციონში სამედიცინო ნორმების მიხედვით}}$$

საკმარისობის კერძო კოეფიციენტები უნდა გაანგარიშდეს საკვები პროდუქტების ცალკეული სახეობების მიხედვით, ცალ-ცალკე - ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ არა მხოლოდ სურსათის ძირითადი სახეობის მოხმარების საკმარისობა, არამედ მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხიც, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ნორმალური ცხოველქმედებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა სურსათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა. ხელმისაწვდომობის დონე შეიძლება შეფასდეს ხელმისაწვდომობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების საშუალებით. ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი (K_{ხელ.}) იანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება სასურსათო კალათის გასაშუალებულ ღირებულებასთან. მაშასადამე:



$$K_{\text{ხელ.}} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (თვეში)}}{\text{სასურსათო კალათის გასაშუალებული ღირებულება}}$$

აღნიშნული მაჩვენებელი, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის შემოსავლების დიფერენციაციის გამო, შეივსება ხელმისაწვდომობის რიგი კერძო კოეფიციენტებით, რომლებიც გაიანგარიშება შემოსავლის სხვადასხვა დონიანი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უფრო სრული სურათის შესაქმნელად შემოაქვთ ზემოთ მოტანილ მაჩვენებელთა ზღვრული მნიშვნელობები. ამასთან, გამოყოფენ მათ ზედა და ქვედა (კრიზისულ) საზღვრებს. ზედა საზღვარს სურსათის საკმარისობის კოეფიციენტისათვის წარმოადგენს სამედიცინო ნორმებით გათვალისწინებული კვების რაციონი, ხოლო სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტისათვის – სასურსათო კალათის ღირებულება, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების მოთხოვნებს. საკმარისობის კოეფიციენტის ქვედა (კრიზისულ) ზღვრულ მნიშვნელობას წარმოადგენს შიმშილობის საზღვარი, ანუ საერთაშორისო ნორმებით 2150 კკალორიის შემცველობის სურსათის მოხმარების დონე. ამ უკანასკნელის ღირებულებითი ექვივალენტი კი მიჩნეულია ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის ქვედა (კრიზისულ) ზღვრულ მნიშვნელობად [1, გვ. 57].

საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის კოეფიციენტთა ფორმულები, შესაბამისი მაჩვენებლების კრიზისული (ზღვრული) მნიშვნელობების შემოდების გათვალისწინებით, ნაწილობრივ შეიცვლება. კერძოდ, საკმარისობის კრიზისული კოეფიციენტი (K_{საკმ.2}) გაიანგარიშება კვების ფაქტიურ დღე-ღამურ რაციონში შემავალი კკალორიების რაოდენობის შეფარდებით კვების კრიზისულ (ზღვრულ) დღე-ღამურ რაციონში შემავალი კკალორიების რაოდენობასთან (2150); ხელმისაწვდომობის კრიზისული კოეფიციენტი (K_{ხელ.}) კი გაიანგარიშება, როგორც თვეში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული შემოსავლის შეფარდება კვების თვიური რაციონის ღირებულებასთან (დღე-ღამეში 2150 კკალორიის მოხმარების გათვალისწინებით). მაშასადამე:

$$K_{\text{საკმ.2}} = \frac{\text{კკალორიების რაოდენობა კვების ფაქტიურ დღე - ღამურ რაციონში}}{\text{კკალორიების რაოდენობა კვების კრიზისულ (ზღვრულ) დღე - ღამურ რაციონში - 2150 კკალორია}}$$

$$K_{\text{ხელ.}} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (თვეში)}}{\text{კვების თვიური რაციონის ღირებულება (დღე - ღამეში 2150 კკალორიის მოხმარების გათვალისწინებით)}}$$

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ასევე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა თვითუზრუნველყოფა - კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებათა უდიდესი ნაწილის საკუთარი წარმოების ხარჯზე დაკმაყოფილება. სურსათით თვითუზრუნველყოფის მაღალი დონის მიღწევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამამულო სურსათის მწარმოებელთა დაცვას.

სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის გასაზომად იყენებენ თვითუზრუნველყოფის ზოგად და კერძო კოეფიციენტებს. თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი (K_{თ.ჯ.}) გაიანგარიშება, როგორც საკუთარი წარმოების მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულების შეფარდება მთლიანად მოხმარებულ კვების პროდუქტთა ღირებულებასთან [1, გვ. 59]. მაშასადამე:

$$K_{\text{თ.ჯ.}} = \frac{\text{საკუთარი წარმოების მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება}}{\text{მთლიანად მოხმარებული კვების პროდუქტების ღირებულება}}$$

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტები იანგარიშება ცალკეული სახეობის პროდუქტთა მიხედვით ნატურალური და ღირებულებითი გამოხატულებით. აღნიშნულ მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები განისაზღვრება კონკრეტულად ცალკეული სახეო-



ბის ძირითადი კვების პროდუქტებისათვის.

ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების უფრო სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია განისაზღვროს იმ პროდუქტთა ჩამონათვალი, რომლებიც ყველაზე უფრო სარწმუნოდ ასახავენ მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების კვების რაციონის სტრუქტურას. კვების რაციონში პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ ყველაზე მაღალი რეიტინგი და, ამასთან, ისინი არ უნდა იყოს ურთიერთშემცველი. პროდუქტთა რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, მაგრამ უნდა უზრუნველყოფდეს კალორიებზე და ძირითად საკვებ ნივთიერებებზე მოთხოვნილების 80%-ზე მეტს. ჩვენი ქვეყნის პირობებისათვის ასეთია 9 სახის პროდუქტი: პური და პურპროდუქტები, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და კენკრა, შაქარი, მცენარეული ზეთი, ხორცი, რძე და კვერცხი. ეს პროდუქტები უზრუნველყოფს მოსახლეობის კვების რაციონის კალორიულობის 90%-ს და ძირითადი საკვები ნივთიერებების 85%-ს.

ამრიგად, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კრიტერიუმებს წარმოადგენენ: ენერგეტიკული და სხვა კომპონენტებით გაჯერებულ კვების რაციონზე ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი; სურსათზე მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის, სპეციალური მომხმარებლებისათვის და ცალკეული რეგიონებისათვის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დონე; სურსათით თვითუზრუნველყოფისა და კვების პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავის ხარისხი. ეს კრიტერიუმები კი, როგორც ვნახეთ, აისახებიან კონკრეტულ მაჩვენებლებსა და პარამეტრებში.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების პირდაპირი მაჩვენებლები. თუმცა, ქვეყანაში მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაზე არაპირდაპირ მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამიტომ ვითარების სრული ანალიზისათვის აუცილებელია ქვეყნის განვითარების საერთო ეკონომიკური დონის შეფასება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მიერ გატარებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ასევე მნიშვნელოვანი პირობაა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების შესახებ მსჯელობისას უთუოდ უნდა იქნეს შეფასებული მისი ბიოგეოკლიმატური პოტენციალისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველ მაჩვენებელთა სრული სპექტრი.

საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასება უნდა განხორციელდეს ზემოთ განხილული კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა მთელი სისტემის გამოყენებით. ეს საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ გაირკვეს და დაფიქსირდეს სასურსათო უსაფრთხოების დონის შემცირება ან გადიდება, არამედ უშუალოდ საგნობრივად დამუშავდეს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია და განისაზღვროს მისი რეალიზაციის კონკრეტული გზები.

ლიტერატურა

1. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.
2. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004, 280 გვ.
3. გაგნიძე ნ., ქოქაშვილი ნ., როსტიაშვილი მ. სასურსათო უზრუნველყოფის და უსაფრთხოების გლობალური პრობლემები საქართველოში. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებული



- ბადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალურიეკონომიკა (XXI საუკუნისაქტუალურიპრობლემები)“, 2010, №4 (10), გვ. 86-88.
4. გეგენავა ლ., ლაჭყევიანი თ., შოშიაშვილი ლ. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. – რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010, №6, გვ. 59-60.
 5. სილაგაძე ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიოეკონომიკურიკრიზისი და საქართველო“ მასალები, თბილისი, 25 მარტი, 2011 წ. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალურიეკონომიკა (XXI საუკუნისაქტუალურიპრობლემები)“, 2011, სპეციალური ნომერი 1 (13), გვ. 69-71.

EVALUATION CRITERIA AND INDICATORS OF FOOD SECURITY

decline of porosity was observed. At the given level of additive concentration the degree and time of dough inflation is acceptable since an increase in protein concentration level and a decrease of level of carbohydrates content leads to worsening of yeast fermentation. In addition the products had a strong, distinct taste, typical for chosen type of flour. There were two goals at the beginning: find the best way to preserve consumption characteristics of the product at the level of a standard wheat flour product and maximize the protein level. If the protein concentration exceeds 40% of the whole mass the consumption characteristics worsen significantly. Therefore the optimum of high protein content is at the level of 35%.

The elaboration of set of products with 35% content of pumpkin, sesame and wheat germ flours has shown indicators of finished products of an optimal quality.

The product number 1, containing 35% of wheat germ flour is characterized with presence of large and small porosity. When baking the blank the crust of cream color forms according to the technological process.

The unclear nuts aftertaste is present.

The dough blank properties: structure – elastic, light, easily reshaped. The color is light yellow.

The product number 2: 35% of sesame flour, 65% of wheat flour.

The dough blank properties: the structure is elastic, light, timely filed fermentation reaction (according to technological card), product is easily reshaped, has clear sesame aroma, light mustard color.

The finished product properties: melanoidin reaction occurs in a good time (according to the production technology).

The structure differs from the previous sample – large porosity in big amounts.

The product number 3: 35% of pumpkin flour, 65% wheat flour.

The description of the product is unnecessary since its taste and smell do not correspond to the consumption requirements. The influence of the flour characteristics appeared to be too strong. There is clear smell and taste of pumpkin in the product.

All the products with high protein flour appeared to be less porous, denser and more sodden, had smaller volume comparing to product 100% consisting of wheat flour. Both crust and crumb were darker. In such way the product with pumpkin flour gave worrying results even at the stage of forming the dough blank: the dough was spreading, inflating very badly. The finished product had unattractive marsh color and typical spoiled pumpkin taste and smell. The products of sesame and wheat germ flours have shown the best results. Moreover these samples were the closest to the original of organoleptic indicators. Thus sesame flour was taken as a base for further research.

Since there is some difference between functional bakery and regular wheat products, the usage of mentioned earlier additives is required for improvement of appearance, smell, consistence and taste of the functional bakery. The basic functions of additives used in the product with sesame flour are: brightening of crumb and crust, canceling or blocking of bitterness of sesame oil, saturation with healthy microelements and improvements of dough inflation. During the experimental research of bakery manufacture it was established that adding up to 5% of seaweed powder and 0.5-1% of cinnamon makes the organoleptic indicators of functional bakery product closer to standard wheat flour product. The cinnamon plays the role of suppressor of the bitterness coming from sesame oil in sesame flour. The seaweed powder brightens the color of the product.

As a result of bringing in mentioned types of flour the nutritional value has increased:

Macronutrients: Potassium, Calcium, Magnesium, Sodium, Phosphorus;

Trace: Iron, Manganese, Copper;

Vitamins: B₁, B₅, PP ;



Saturated fatty acids: Palmitic, Stearic;

Monounsaturated fatty acids: Oleic;

Polyunsaturated fatty acids: linoleic, linolenic.

During the research the conclusion was made that for the purpose of protein concentration increase in bakery products leading to its growing functionality, the non-traditional feedstock can be used. The sesame flour was shown to be the best for preservation of organoleptic indicators. Adding the given flour type, nevertheless, changes some indicators. To stabilize those changes the decision to use seaweed powder and cinnamon as extra natural improving additives was made during the research. The composition of a functional product with closest organoleptic indicators consists of the next variety of food stocks: 65% of wheat flour and 35% of sesame flour. The protein concentration of such product is about 21.1% from the whole mass, which is doubled indicator of standard wheat product. An introduction of such product in the mass production will allow health improvement of the citizens on national level.

References

1. Golovacheva O.V. Food enrichment with micronutrients. Herald NGIEI, 2013, no. 8, pp.23-26

ОРГАНИЧЕСКИЕ ФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ПРОДУКТЫ ДЛЯ ОБОГАЩЕНИЯ МУЧНЫХ ИЗДЕЛИЙ.

Липатова Л.П., Кузьмин М.И., Смелянский Ф.Ф.

Российский Экономический Университет имени Г.В. Плеханова

Резюме

Рассмотрена возможность улучшения функциональных свойств мучных изделий за счет использования различных видов муки из растительных семян. В процессе исследований изучалось качество изделий с разным содержанием кунжутной, тыквенной муки и муки из проросшей пшеницы, выбирались оптимальные соотношения. Рассчитаны изменения в содержании различных нутриентов в составе функционального продукта.

ТЕХНОЛОГИЯ ПРОДУКТОВ ИЗ КОМПОЗИЦИЙ НАТУРАЛЬНОГО РАСТИТЕЛЬНОГО СЫРЬЯ

Липатова Л. П., Надеева А. А

Российский экономический университет имени Г. В. Плеханова

Рассмотрена возможность создания крекеров на основе композиций нескольких видов муки и овощного пюре. Готовые крекеры имеют терракотовый цвет, хрупкую структуру, хорошую пористость. При дегустации отчетливо чувствуются злаковые компоненты. Изделия имеют 2,2 раза меньшую калорийность, чем крекеры из пшеничной муки. Изменение рецептуры позволило обогатить изделия пищевыми волокнами, аминокислотами, пектинами, витаминами и минералами.

Анализ питания населения в России отражает кризисное положение в отношении обеспеченности витаминами, пищевыми волокнами, полиненасыщенными жирными кислотами, минеральными и биологически активными веществами. Институт питания РАМН проводит массовое обследование населения страны в различных ее регионах и доказывает наличие существенных отклонений от установленных норм в рационе питания населения, это сказывается на здоровье людей, снижает выносливость организма и устойчивость к различным заболеваниям. Проведенная диагностика ассортимента хлебобулочных изделий в стране свидетельствует о ее низком качестве и как следствие необходимости и перспективности разработки новых



хлебобулочных изделий функционального назначения путем введения в рецептуру обогатителей, способных повышать биологическую ценность.

Функциональные пищевые продукты – это специальные пищевые продукты, которые предназначаются для систематического употребления в составе пищевых рационов всеми возрастными группами населения, обладают научно обоснованными и подтвержденными свойствами, снижают риск развития заболеваний ЖКТ, предотвращают дефицит и восполняют имеющийся в организме дефицит питательных веществ, сохраняют и улучшают здоровье за счет наличия в их составе физиологически функциональных пищевых ингредиентов.

К функциональным пищевым ингредиентам относят физиологически активные ценные и безопасные для здоровья ингредиенты с известными физико-химическими характеристиками, для которых выявлены и научно обоснованы полезные для сохранения и улучшения здоровья свойства, установлена суточная физиологическая потребность. К ним относятся растворимые и нерастворимые пищевые волокна (пектины и др.), витамины (витамин Е, токотриенолы, фолиевая кислота и др.), минеральные вещества (кальций, магний, железо, селен и др.), жиры и вещества, сопутствующие жирам. полисахариды, вторичные растительные соединения (флавоноиды/полифенолы, каротиноиды, ликопин и др.), пробиотики, пребиотики и синбиотики.

Основными функциональными добавками, применяемыми для улучшения качества хлеба являются:

- высокобелковые продукты: люпиновая мука, белковые концентраты из семян сои и гороха, специальные белковосодержащие добавки на основе грибов и амаранта;
- новые сахарозаменители: высокосахаренная патока, концентраты молочной сыворотки (КМС), сахаросодержащий свекольный порошок (ССП);
- нетрадиционные виды сырья: сухая клейковина из пшеничной муки, порошок из яблочных выжимок, яблочное повидло, водоросли, пшеничная мука, обогащенная отрубями с мицелием гриба «вешенки», крахмалопродукты, микрокристаллическая кукуруза, концентрат квасного суслу, картофелепродукты, ферментные препараты – цитроземин, амилорезин, глюкоаваморин;
- новые виды зернового сырья: ржаная обойная мука, ячменная мука, кукурузная мука, ячменная мука;
- использование муки новых помолов: грубодисперсные продукты целого и дробленого зерна, зерновые хлопья, взорванное зерно, плющенное зерно.

Целью данного исследования является разработка рецептуры функционального продукта из нетрадиционного сочетания натурального растительного сырья.

Несмотря на большое количество созданных хлебобулочных изделий функционального назначения, на рынке почти отсутствуют изделия с комплексным набором функциональных ингредиентов, включающих в себя разные виды зернового и овощного сырья.

По результатам проведенных исследований по возможности создания нового обогащенного продукта с длительным сроком хранения преимущество получило кондитерское изделие под названием крекер.

Крекерное тесто отличается меньшим содержанием влаги, готовится с использованием жира, муки, всевозможных специй, любимых ингредиентов, быстро приготавливается. Кроме того готовые изделия долго хранятся и не теряют своих вкусовых качеств, имеет пористую и хрупкую структуру, а также хорошо транспортируются. Поэтому калорийные и сытные крекеры способны заменить хлеб.

На сегодняшний момент существуют множество рецептов крекеров, где основным влагосодержащим компонентом является молоко, вода, растительные масла. В разработанной



рецептуре крекеров, получивших свое название «Значки», в роли влагосодержащего компонента применялось пюре свекольное, морковное и яблочное. Такой набор овощей и фруктов позволяет обогатить изделие пектинами, витаминами и микроэлементами.

Свекольное пюре богато витамином В₉, необходимым человеку для профилактики болезней сердца. Помимо этого свекла содержит большое количество йода, железа, цинк, аминокислоты, органические кислоты, биофлаваноиды, пектины, глюкозу, фруктозу, является диетическим продуктом, улучшает перистальтику кишечника, регулирует жировой обмен, обладает другими мощными лечебными свойствами.

Морковь известна и ценится за наличие бета-каротина, предшественника витамина А, является мощным антиоксидантом и природным иммуностимулятором, широко используется в диетическом питании детей, помогает при заболеваниях печени и ЖКТ, содержит целый комплекс витаминов В, витамин С, D, Е, К, медь, железо, фосфор, калий, серу и др. Лучше всего усваивается организмом человека с жиром, так как витамин А является жирорастворимым витамином.

Яблоки способствуют нормализации работы ЖКТ, содержат в себе калий, железо, витамины А, С, Е, Р, группы В, марганец, медь, а также растительные антибиотики - фитонциды, повышают иммунитет и укрепляют защитные силы организма.

В разработанную рецептуру также вошли овсяные и льняные отруби, и следующие виды муки: пшеничная цельнозерновая, пшеничная высший сорт, льняная, гречневая, кукурузная, нутовая, гороховая, овсяная.

Такая комбинация муки выбрана неслучайно. В связи с большим количеством хлебобулочных изделий, обогащенных функциональными ингредиентами (мукой разных видов, сортов и характеристик), их вкус уже широко известен потребителю. По этой причине были созданы обогащенные крекеры с новым вкусом и сочетанием нерафинированной муки разных зерновых культур, полученной по уникальной технологии, когда ее размол происходит при температуре не выше 40 С, поэтому она содержит в себе большое количество полезных веществ и дольше хранится.

Овсяные и льняные отруби выступают в роли природных «щеток», содержат в себе большое количество пищевых волокон - клетчатки, впитывают в себя лишнюю влагу, токсины, выводят из организма холестерин, соединения тяжелых металлов, нормализуют работу пищеварительной системы организма человека, уровень сахара в крови, тем самым укрепляя его иммунитет. Помимо вышеперечисленного выступают в роли источника витамина А, В, Е, а также многих минеральных веществ (калий, кальций, цинк, магний, медь, селен).

При создании крекера были разработаны 5 рецептов отличных друг от друга по содержанию муки и влаги: образец №1 – 50:50, образец №2 - 55:45, образец №3 - 70:30, образец №4 - 65:35, образец № 5 - 60:40.

Все образцы формировались в виде окружности диаметром 35 мм, толщиной 3 мм, выпекались при температуре 130⁰С.

Тесто образца №1 бурого цвета, с явно выраженным гречневым запахом, имел эластичную структуру, при предварительном охлаждении в холодильной камере из него легко формировался полуфабрикат. Готовое изделие данного образца коричнево-малинового цвета на поверхности, с характерной для готового изделия корочкой, при надломе не имело свойственного для крекера потрескивания, пористой хрупкой структуры, было мягкое и влажное. Вкус готового изделия содержал ноты сырых ядер подсолнечника.

Таковыми же свойствами, не характерными для хрустящего и рассыпчатого крекера, обладал образец №2, время выпекания изделия данного образца относительно предыдущего было меньше на 7 минут. Вкус крекеров, приготовленных по рецептуре образца №2, имел вкус поджаренного



хлеба и легкую горчинку.

Из теста образца №3 полуфабрикат сформировать не удалось из-за недостаточного количества влаги, предусмотренной рецептурой. При замешивании ингредиентов однородная масса не формировалась.

Структура теста образца №4 была эластичная, полуфабрикат формировался легко, имел яркий вишневый окрас. Готовые крекеры имели терракотовый цвет, хрупкую структуру, при надломе хрустели, в толще присутствовала пористость, при дегустации отчетливо чувствовались злаковые компоненты, но ярче всего выделялся гречневый вкус.

Несмотря на полученные положительные результаты образца №4, экспертная группа особенно отметила образец №5. По своей структуре он не имел отличий от образца №4, цвет полуфабриката и готового изделия был идентичен, однако вкусовые характеристики готового крекера существенно отличались от всех предыдущих образцов. На вкус изделие не имело аналогов, в нем сочетались несколько вкусовых гамм: ржаного хлеба, злаковых культур, поджаренных орехов и хлебной корочки; было ароматным, сохранило вкусовые качества за весь период хранения в течение месяца в сухом месте при влажности, не превышающей 50% и температуре не выше 20⁰С. Калорийность такого крекера составляет 185 ккал. (белки – 4,2 г, жиры – 11 г., углеводы – 17,8 г), что в 2,2 раза меньше калорийности крекеров из пшеничной муки.

Таблица 1

Характеристика органолептической оценки разработанных рецептов

Показатели		Образец №1 50:50	Образец №2 55:45	Образец №3 70:30	Образец №4 65:35	Образец №5 60:40
Полуфабрикат	Цвет	Бурый	Бурый	Коричневый	Вишневый	Вишневый
	Запах	Гречневый	Гречневый	Гречневый	Гречневый и сырой льняной семечки	Гречневый и сырой льняной семечки
	Текстура	Эластичная, легко формирующаяся	Эластичная, легко формирующаяся	Полуфабрикат сформировать не удалось, однородная масса не формировалась	Эластичная, легко формирующаяся	Эластичная, легко формирующаяся
Готовый продукт	Цвет	Коричнево-малиновый	Коричнево-малиновый	–	Терракотовый	Терракотовый
	Запах	Поджаренного хлеба	Поджаренного хлеба	–	Поджаренного хлеба, злаковый, гречневый	Поджаренного хлеба, злаковый, гречневый, поджаренного ореха, кисловатый, напоминающий ржаной хлеб
	Вкус	Сырые ядра подсолнечника	Поджаренного хлеба, присутствует горчинка	–	Поджаренного хлеба, злаковый, гречневый	Поджаренного хлеба, злаковый, гречневый, поджаренного ореха, кисловатый, напоминающий ржаной хлеб
	Структура	Мягкая, сырая	Мягкая, сырая	–	Пористая, рассыпчатая, хрустящая	Пористая, рассыпчатая, хрустящая



Таким образом, исследования по разработке функционального продукта из композиций натурального растительного сырья позволили создать рецептуру диетических крекеров, обогащенных пищевыми волокнами, аминокислотами, пектинами, витаминами и минералами.

Литература

1. Strizhenko A.V. Theoretical bases of expansion of range of flour confectionery of the functional appointments. Fundamental and applied research cooperative sector of economics. 2013, no 1, pp 168-171

TECHNOLOGY PRODUCTS FROM NATURAL RAW MATERIALS COMPOSITIONS

Lipatova L.P. Nadeeva A. A.

Plekhanov Russian University of Economics

Summary

The possibility was of the creation of the crackers on the basis of the compositions of several types of flour and vegetable puree. Ready crackers have terracotta color, delicate structure and good porosity. Clearly felt when tasting cereal components. Products are 2.2 times less calories than crackers made from wheat flour recipes. Change allowed to enrich products dietary fiber, amino acids, pectin, vitamins and minerals.

**ორგანული-მინერალური სასუქების სხვადასხვა შემადგენლის
 ბავშვის სტრუქტურის პროდუქტიულობაზე**

მამულაიშვილი ი., მდინარაძე თ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

შესწავლილი იქნა ორგანულ-მინერალური სასუქების სხვადასხვა შეფარდების გავლენა სტრუქტურის ბიოპროდუქტიულობაზე; ნიადაგსა და მცენარეში საკვები ელემენტების შემცველობაზე; განისაზღვრა ბუნებრივი სასუქების სხვადასხვა შეფარდების გავლენა სტრუქტურის დაფესვიანების ხარისხზე. დადგენილი იქნა ნიადაგსა და მცენარეში საკვები ელემენტების ოპტიმალური შემცველობა, ასევე ოპტიმალური კონცენტრაციები, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც მაღალ მოსავალს, ასევე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღებას.

უკანასკნელი წლებების განმავლობაში თითქმის ყველა კულტურათა მოსავლიანობა მინიმუმამდე დაეცა, განადგურდა მაღალი პოტენციალის მქონე ჯიშები, დეგრადორ-და ნიადაგი, შემცირდა ნაყოფიერების ძირითადი მაჩვენებელი - ჰუმუსი. დღის წესრიგში დადგა საკითხი მინერალური სასუქები ჩაგვენაცვლებინა ჰუმინურ, ორგანულ-მინერალურ



რი სასუქებით, რომელიც წარმოადგენს კულტურულ მცენარეთა საკვები ელემენტებით უზრუნველყოფის ძირითად, ხოლო ზოგჯერ ერთადერთ წყაროს.

ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენებით შესაძლებლობა იქმნება, მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რომელიც არ შეიცავს პათოგენურ მიკროფლორას, მძიმე მეტალებს, არ გააჩნია ადაპტაციის პერიოდი, არ ირეცხება ნიადაგიდან და ამ დიდრებს ნიადაგს ყველა საჭირო მიკროელემენტებით (1, 2, 3, 4).

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ორგანულ-მინერალური სასუქების სხვადასხვა შეფარდების გავლენა სტევიის პროდუქტიულობასა და დაფესვიანების ხარისხზე - სავეგეტაციო ცდის პირობებში. ბუნებრივი ადგილობრივი სასუქებიდან ცდაში გამოვიყენეთ ტორფი, ნაკელი, ცეოლითი, ფილიფნატი, საპროპელი. აღნიშნული სასუქები გარკვეული შეფარდებით აურიეთ ტყის ნიადაგსა და მოვამზადეთ ნარევეები - კომპოზიციები. ცდა დაყენებული იქნა 5 კგ-იან ტევადობის ჭურჭელში - 4 ჯერადი განმეორებით. ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა, როგორც ტყის ნიადაგის, ასევე ცდაში გამოყენებული ბუნებრივი აგრომადნების შემადგენლობაც. ტყის ნიადაგი ხასიათდება შემდეგი აგროქიმიური მაჩვენებლებით: pHKCl-ის სუსპენზიაში ტოლია - 4,4, გაცვლითი მუავიანობა - 8,5 მგ.ეკვ. 100 გ ნიადაგში, მოძრავი ფოსფორისა და მაგნიუმის შემცველობა ოპტიმალურ ზღვრებია, კალიუმის და კალციუმის შემცველობა დაბალია. (K₂O-15, CaO-42 მგ-ია) საერთო ჰუმუსი - 5,2, საერთო აზოტი 0,335 %-ია. აღნიშნული ნიადაგი საუკეთესო ფონია ცდის წარმოებისათვის. ცდის სქემა მოცემულია ცხრილ-1-ში.

ცდაში ისწავლებოდა შემდეგი საკითხები: ა) ორგანულ-მინერალური სასუქების სხვადასხვა შეფარდების გავლენა სტევიის ბიოპროდუქტიულობაზე, ბ) ნიადაგსა და მცენარეში საკვები ელემენტების შეფარდება, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს. გ) ორგანულ-მინერალური სასუქების სხვადასხვა სუბსტრატის გავლენა სტევიის დაფესვიანების ხარისხზე ფენოლოგიური დაკვირვების შედეგებმა გვიჩვენა, რომ როგორც მცენარის სიმაღლე, ფოთლის რაოდენობა და ღეროს დიამეტრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება ნიადაგს+ნაკელის+ცეოლითის ვარიანტზე (შეფარდება 50:30:20), სადაც საკონტროლო ვარიანტთან შედარებით ღნიშნული მაჩვენებლები იზრდება 10,2, 30,2 და 19%-ით. ასეთივე კანონზომიერება აღინიშნება მცენარის ბიოპროდუქტიულობის მაჩვენებლების განსაზღვრისას, როგორც მიწისზედა ნაწილის ბიომასა, ასევე მთლიანი ბიომასა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით იზრდება 55,4-61 %-ით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ბუნებრივი აგრომადნები და მისი გავლენა სტევიას პროდუქტიულობაზე

№	ვარიანტი	ფოთლის წონა, გრ	ღეროს წონა, გრ	ყვავილის წონა, გრ	მიწისზედა ნაწილის წონა, გრ	%	ფესვის წონა, გრ	მცენარის მთლიანი წონა, გრ	%
1	ნიადაგი+ტორფი+ცეოლითი (შეფარდება 50:30:20)	9,8	8,4	1,7	19,97	100	3,6	23,6	100
2	ნიადაგი+ტორფი+ფილიფნატი (შეფარდება 50:30:20)	6,5	7,7	2,9	17,1	86,63	2,2	19,3	81,8
3	ნიადაგი+ტორფი+ცეოლითი (შეფარდება 50:30:20)	13	13,7	4,3	31	155,24	7,33	38,33	161,0
4	ნიადაგი+საპროპელი+ცეოლითი (შეფარდება 50:30:20)	18,83	11,5	4,83	25,17	126,0	2,37	27,54	116,7



ნიადაგში განისაზღვრა, როგორც საერთო აზოტი და ჰუმუსი, ასევე საკვები ელემენტების მოძრავი ფორმები (P_2O_5 , K_2O , CaO , MgO) ნიადაგის აქტუალური და პოტენციური მუავიანობა. მეორე ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ნიადაგის არეს რეაქციის მაჩვენებელი pH_{KCl} -ის გამონაწერში თითქოს ყველა ვარიანტზე ერთნაირია, უმნიშვნელოდ ცვალებადობას ის 6,4-6,8 ფარგლებშია. მოძრავი P_2O_5 -ის შემცველობა 20,7-60,2 მგ-ის ტოლია. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება მეორე და მესამე ვარიანტზე, რაც მიუთითებს ნიადაგის მაღალუზრუნველყოფილ ფონზე. შედარებით დაბალი მაჩვენებელია მიღებული კალიუმის შემცველობის მხრივ. მაღალია კალიუმის და მაგნიუმის შემცველობა. გაიზარდა ნიადაგის ნაყოფიერების დონე, საერთო ჰუმუსი მერყეობს 5,17-5,96 %-ის ფარგლებში, ხოლო საერთო აზოტი 0,342-0,392 %-ის ფარგლებშია.

სტვეიის ფოთლებში საერთო აზოტის შემცველობა (ცხრილი 2) 2,05-2,68 %-ის ფარგლებშია, ფოსფორი 0,60-0,80 %-ის, კალიუმი ორჯერ მაღალია ვიდრე ფოსფორი და მერყეობს 2,2-2,5 %-ის ფარგლებში. ვარიანტებს შორის მკვეთრი ცვლილება არ აღინიშნება. კალიუმის შემცველობა 1,35-1,38 %-ის ფარგლებში, მაგნიუმი 0,168-0,60 %-ის ფარგლებში. ე.ი. კალიუმის შემცველობა 2-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მაგნიუმის.

ცხრილი 2

ბუნებრივი აგრომადნების გავლენა ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებსა და მცენარის ქიმიურ შემცველობაზე

№	ვარიანტი	pH გამონაწერში		მგ.ეკვ. 100 გრ. ნიადაგში	მგ.ეკვ. 100 გრ. ნიადაგში				%		მცენარე-ფოთლი				
		H ₂ O	KCL		გაცვლითი მუავიანობა	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO	ჰუმუსი	აზოტი	N	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO
1	ნიადაგი+ტორფი+ფილიფსიტი (შეფარდება 50:30:20)	7,3	6,8	2,0	25,7	10	535	85	5,17	0,342	2,12	0,60	2,4	1,38	0,168
2	ნიადაგი+ტორფი+ფილიფსიტი (შეფარდება 50:30:20)	7,0	6,4	1,0	60,2	8,4	273	87,5	5,25	0,351	2,05	0,80	2,2	1,36	0,236
3	ნიადაგი+ტორფი+ცეოლითი (შეფარდება 50:30:20)	7,0	6,5	1,0	56,1	16	581	110	5,62	0,375	2,73	0,60	2,5	1,35	0,6
4	ნიადაგი+საპროპელი+ცეოლითი (შეფარდება 50:30:20)	7,0	6,8	1,0	20,7	9	560	130	3,96	0,392	2,68	0,60	2,5	1,35	0,6

ცხრილი 3

ბუნებრივი სასუქების გავლენა სტვეიის დაფესვიანების ხარისხზე

№	ვარიანტი	მცენარის რაოდენობა, ცალი	დაფესვიანება, ცალი	დაფესვიანების %
1	ტყის ნიადაგი	22	19	86,4
2	ტყის ნიადაგი+ცეოლითი (3:1)	21	19	90,5
3	ტყის ნიადაგი+ტორფი (2:1)	20	20	100
4	ტყის ნიადაგი+ნაკელი (2:1)	21	21	100
5	ტყის ნიადაგი+ტორფი+ცეოლითი (2:1:0,5)	26	24	92,3
6	ტყის ნიადაგი+ნაკელი+ცეოლითი (2:1:0,5)	35	34	97,1



ექსპერიმენტალურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ბუნებრივი ნარეგების გამოყენებამ (ტორფი, ნაკელი, ცეოლითი, ფილიფსატი, საპროპელი) შედარებით 50:30:20 ტყის ნიადაგთან ერთად გაიზარდა არა მარტო სტევიის ბიოპროდუქტიულობა, არამედ ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარჯზე ამალდა ნიადაგის ნაყოფიერების დონე, რაც ვლინდება, როგორც საკვები ელემენტების მოძრავი ფორმების, ასევე საერთო ჰუმუსისა და საერთო აზოტის ზრდაში.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა სხვადასხვა სუბსტრატის გავლენა სტევიის დაფესვიანების ხარისხზე. ცდის სქემა მოცემულია ცხრილი 3-ში. ნერგების გამოყვანას ვაწარმოებდით პოლიეთილენის პარკებში ზომით 15X20 სმ (1 კგ მეტრ ფართობზე თავსდება და 120 ცალი პარკი, თითოეულ პარკში ირგებოდა თითო კალამი 2 სმ სიღრმეზე).

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ (ცხრილი 3) სტევიის ნერგების დაფესვიანების საუკეთესო სუბსტრატს წარმოადგენს ტყის ნიადაგი+ნაკელი, და ტყის ნიადაგი+ტორფი (შეფარდება 2:1) ვარიანტები, სადაც მიღებულია დაფესვიანების მაღალი პროცენტი (100 %-იანი დაფესვიანება). რეკომენდაცია შეიძლება გაეწიოს აგრეთვე ტყის ნიადაგი+ნაკელი+ცეოლითი (შეფარდება 2:1:0,5) ვარიანტს, სადაც დაფესვიანება 97%-ია.

ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე ჩვენს მიერ მომზადებული იქნა ორგანულ-მინერალური სასუქის რეცეპტურები, რომელიც უზრუნველყოფს მცენარეს სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ძირითადი საკვები ელემენტებით. აღნიშნული ღონისძიება დაეხმარება ყველა ფერმერს შექმნას თავისი ბიომეურნეობა საკუთარ სახლში, რითაც შემცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამოკიდებულება მინერალურ სასუქებზე, რომლის დეფიციტი ქვეყანაში შეინიშნება.

ლიტერატურა

1. მ. ბზიავა. ორგანული სასუქები ტენიან სუბტროპიკებში. // სუბტროპიკულ კულტურები №4, 1978, 109-111 გვ.
2. ი. მამულაიშვილი, თ. მდინარაძე, თ. ხურციძე - სუბტროპიკული ზონის დაბალნაყოფიერი ნიადაგების რეკულტივაცია. რეგიონები და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2008, 401-407 გვ.
3. ფ. ჭანუყვაძე. ორგანულ-მინერალური ჰუმინური სასუქების ეფექტურობა საქართველოს წითელმიწა ნიადაგებზე გაშენებულ ფოთოლსაკრეფ ჩაის პლანტაციის ქვეშ. // სუბტროპიკული კულტურები №1, 1970, 25-36 გვ.
4. რ. ტაკიძე, ფ. ჭანუყვაძე, რ. შავიშვილი. ორგანულ-მინერალური სასუქის „ომს“-ის წარმოების ტექნოლოგია. // აგროინფო“ №10 ივლისი, 2007, 42-44 გვ.

INFLUENCE OF DIFFERENT RATIO OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS ON STEVIA PRODUCTIVITY

Mamulaishvili I., Mdinardze T.

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

Summary

Influence of organic-mineral fertilizers as on stevia productivity so on content of nutrient elements in soil and plant was established in conditions of vegetative experiment. The versio soil+manure+zeolite (50:30:20) is the best version where the plant bioproductive index exceeds the control version (soil+peat+zeolite 50:30:20) by 55,4-60%. Using of natural resources (peat, manure, sapropel, zeolite, phylliphsile) increases the movable forms of nutrient elements in soil and provides increasing of the soil fertility main index - total humus and nitrogen.

Versions forest soil+peat (ratio 2:1) and forest soil+manure (ratio 2:1) are the best substratum for rooting stevia young plants where high percentage of rooting is indicated.



სურსათის უვნებლობის ზოგადი მოთხოვნები ჯანსაღი კვების უზრუნველსაყოფად

მურადაშვილი მ., მეფარიშვილი გ., ჯაბნიძე ნ.

ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი

სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების-ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და შესაბამისად, სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს. დღეს არც ერთი ქვეყანა არაა დაზღვეული საკვებისმიერი დაავადებისგან და ეს პრობლემა აქტუალურია როგორც განვითარებული, ისე განვითარებად ქვეყნებში, რომელთა შორის საქართველო სავალალო მდგომარეობაშია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შეიქმნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის მეტ-ნაკლებად ერთიანი სისტემა თუმცა მნიშვნელოვან დარღვევებს აქვს ადგილი აღნიშნული კონტროლის ჩატარების დროს.

სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების-ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და შესაბამისად, სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს, ხოლო სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ნებისმიერი ქვეყნის, ყველა ფენის მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე.

საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე სურსათის უვნებლობა, განსაკუთრებით რთული საკითხია, რომელიც მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ მძიმე სოციალურმა ფონმა მკვეთრად გაზარდა სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკები და საქართველოში მოქმედი ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა.

დღეს არც ერთი ქვეყანა არაა დაზღვეული საკვებისმიერი დაავადებისგან და ეს პრობლემა აქტუალურია როგორც განვითარებული, ისე განვითარებად ქვეყნებში, რომელთა შორის საქართველო სავალალო მდგომარეობაშია. ერთის მხრივ, აუცილებელია სურსათთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება, მეორეს მხრივ კი, ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს ისე, რომ სიღარიბის ფონზე, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყოს ხარისხიანი და უვნებელი სურსათის ფასი, ამავე დროს განვითარდეს სურსათის გადამამუშავებელი სექტორიც.

ცნობილია სხვადასხვა ალიმენტური (საკვებით განპირობებული) დაავადება, რომლის გამომწვევი ეტიოლოგიური ფაქტორი მხოლოდ სურსათია. მაგრამ გარდა ამისა, ის შესაძლებელია წარმოადგენდეს სხვადასხვა დაავადებების განვითარების რისკ ფაქტორს. სურსათთან ასოცირებული დაავადებების ქვეშ ყველაზე უფრო ხშირად მოიხსენიება სწორედ ის დაავადებები, რომლებიც განპირობებულია სურსათის უვნებლობის განმსაზღვრელი პარამეტრების ზღვრული სიდიდეების გადაჭარბებით. ამიტომ ექსპერტიზის ჩატარებისას წარმოდგენილი ნიმუშების საბოლოო შეფასება წარმოებს მისი უვნებლობის დადგენაში სანიტარიულ ეპიდემიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური კუთხით. პროდუქტები არ უნდა უქმნიდნენ საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობას მათში ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური კონტამინანტების არსებობის, ასევე საკვები პროდუქტების გაფუჭების (ამძაღება, დაობება და სხვა) ან მათი არასწორი შენახვისა და რეალი-



ზაციის გამო. საკვებმა პროდუქტებმა უნდა დააკმაყოფილონ მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები ორგანოლეპტიკურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ-ფიზიკური მაჩვენებლების შესაბამისობაზე, ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილ მაჩვენებლებთან. უფრო კონკრეტულად, ამ მაჩვენებლებს განეკუთვნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის მქონე ქიმიური, რადიოლოგიური, ბიოლოგიური ნივთიერებებისა და მათი ნაერთების, მიკროორგანიზმების და სხვა ბიოლოგიური ორგანიზმებისათვის წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნები (წყარო: <ftp://ftp.fao.org/codex/>).

მიკროორგანიზმების უნარი, გამოიწვიოს ადამიანის, ცხოველის, მცენარის და ავადგებები, განპირობებულია მათი პათოგენურობით. სურსათის წარმოებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მარტო პათოგენური მიკროორგანიზმების, არამედ სასურსათო ნედლეულსა და სასურსათო პროდუქტებში მათი გამრავლებისათვის აუცილებელი პირობების არსებობა, გადამუშავების არასწორი რეჟიმი, ტექნოლოგიური პროცესების არასწორად მართვა, ნედლეულისა და სურსათის მექანიკური დაზიანება და სხვ. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სურსათის უვნებლობის განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს რისკის შეფასებას, რისკის შეფასება კი ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს (ქ. ლაფერაშვილი № 111).

საკვების მიერ დაავადებებზე ზედამხედველობის სისტემების არსებობის შემთხვევაშიც კი საკვებით განპირობებული დაავადებების რეალური რიცხვი შესაძლოა სწორად ვერ აისახოს სტატისტიკურ მონაცემებში. მაგალითისთვის, განვითარებული ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებში ასეთი დაავადებების მხოლოდ 10% აისახება. ეს განპირობებულია ერთის მხრივ მიმართვიანობის შემცირებით სწრაფი გამოჯანმრთელების გამო, სამედიცინო პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების არასაკმარისი დონით და ასევე იმ ფაქტით, რომ ანგარიშგებას ექვემდებარება მხოლოდ აფეთქება და არა დაავადების ცალკეული შემთხვევები (Food and health in Europe: a new basis for action/WHO regional publications. Europeanseries;No.96).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში უზრუნველყოფილი იქნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ზოგადი გარანტიები, შეიქმნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის მეტ-ნაკლებად ერთიანი სისტემა. თუმცა, მნიშვნელოვან დარღვევებს აქვს ადგილი აღნიშნული კონტროლის ჩატარების დროს, რომელიც უკავშირდება, როგორც საქონლის უშუალოდ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებას (იმპორტი, რექსპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი), ისე ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი პროდუქციის შემოწმებასა და სტანდარტიზაციას. მიუხედავად ამისა, სასურსათო სამომხმარებლო ბაზარზე დიდი ფალსიფიცირებული, უხარისხო პროდუქტების წილი.

ამრიგად, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სურსათის ხარისხის, მისი უვნებლობისა და კონტროლის სფეროში, რაც აბრკოლებს ქართული წარმოების სასურსათო პროდუქციის ექსპორტს ევროპულ ქვეყნებში და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. უზრუნველყოფა უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად და შემჭიდროებულ ვადებში დაინერგოს მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს საქართველოში



ლოს საექსპორტო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას და ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

ლიტერატურა:

1. ქეთევან დადიანი; რეზო კობახიძე; „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფა და ჯანსაღი კვება -რეალობა, საქართველოში არსებული მდგომარეობა, პერსპექტივები და რეკომენდაციები“ №115 ბიულეტენი.
2. ქეთევან ლაფერაშვილი „ სურსათის უვნებლობა - მეცნიერული საფუძვლები, თანამედროვე პრინციპები და სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებები“ №111 ბიულეტენი.
3. საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ, მუხლი27.
4. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, თავი II,მუხლი3.
5. Codex Alimentarius Commission Procedural Manual, Twentieth edition, Joint FAO/WHO Food Standards Programme, Rome, 2011 [ftp://ftp.fao.org/codex/](ftp://ftp.fao.org/codex/Publications/Proc%20Manuals/Manual_20) Publications/ Proc Manuals/Manual_ 20

GENERAL REQUIREMENT OF FOOD SAFETY FOR HEALTHY FEED

Muradashvili M., Meparishvili G., Jabnidze N.

Batumi Shota Rustaveli State University

Phytopathology and Biodiversity Institute

Summary:

In this article analyzed General requirements of the food safety. Today, no country is safe from the food-borne illness, and this is an issue to both developed and developing countries, including Georgia in poor condition. It's important that Georgia set up food / feed safety, veterinary and phytosanitary control more - or less unified system. Nevertheless, the food consumer market is huge counterfeit, substandard products.

Thus, food / feed safety, veterinary and plant protection based on the analysis of the policy and strategy documents can be concluded that in Georgia is still unsatisfactory food safety and quality control in the field.

სასუქების გავლენა შავ ფხალში ნიტრატების შემცველობაზე

ნაკაშიძე ნ., ებრალიძე ლ., კობლატაძე* ლ., ჩიქოვანი* დ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

* აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

ნაშრომში განხილულია მინერალური და ორგანული სასუქების სხვადასხვა დოზების გავლენა შავ (კეკურა) ფხალში ნიტრატების შემცველობაზე. დადგენილ იქნა, რომ წითელმიწა ნიადაგებზე მინერალური და ორგანული სასუქების გადიდებული დოზების გამოყენებისას ნიტრატების შემცველობა იზრდება როგორც ნიადაგში, ისე მასზე გაზრდილ კულტურაში. ნიადაგში ნიტრატების შემცველობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია შავ ფხალში მის შემცველობასთან ზრდა მეტად შეინიშნება ფრინველის ნაკელის გამოყენებისას, რომლის შედარებით მცირე დოზის შემთხვევაში ნიტრატების შემცველობა ზ.დ.კ.-ზე მაღალია.

სასურსათო უშიშროება განეკუთვნება ფუნდამენტალურ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას. მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რომის დეკლარაციის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს მოიხმაროს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უვნებელი სურსათი. უხვი, ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული[2]. ძნელია წარმოვიდგინოთ დღეს ადამიანის მოღვაწეობის ისეთი სფერო, რომელიც დაკავშირებული არ იყოს ორგანიზმზე ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებასთან. გარემოში მოხვედრილი



ანთროპოგენური ქიმიური ნივთიერებები თავისი თვისებებით შეიძლება იყოს ინდიფერენტული, არასასურველი და მავნე. ისინი შეაქვთ სასურსათო კულტურების გამოზრდისას-სასუქების, პესტიციდების სახით, გადამუშავებისას-დანამატებით, უვარგისი შესაფუთი მასალიდან, საკვების მომზადებისას და ა.შ. აზოტოვანი სასუქების უზომო გამოყენებისას მცენარის ზოგიერთი სახეობა დიდი რაოდენობით აგროვებს ნიტრატებს. აზოტის დაგროვება შეიძლება მოხდეს ნიადაგში გოგირდის უკმარისობის დროსაც. გოგირდშემცველი ამინომჟავების სიმცირე ზღუდავს ცილების და განსაკუთრებით, ფერმენტ ნიტრატრედუქტაზას სინთეზს[1].

თანამედროვე პირობებში ყველაზე მეტად ფართოდ გავრცელებულ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს აგროეკოსისტემებში, ნიადაგში საკვები ელემენტების ბალანსის დარღვევა, რომლის კომპენსირება ხდება მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით. ნიტრატები აზოტმჟავას მარილებია, რომლებიც მცენარისათვის აუცილებელ საკვებს წარმოადგენს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ნიტრატების მიღების დღიური ნორმა ადამიანის წონის ყოველ კილოგრამზე დასაშვებია 5მგ. ნიტრატები თავისთავად მავნე ნივთიერებებს არ წარმოადგენენ, მაგრამ კუჭ-ნაწლავში მოხვედრის შემდეგ ისინი გარდაიქმნებიან ნიტრიტებად, რაც უკვე შხამს წარმოადგენს. ნიტრიტების ტოქსიკურობა 10 ჯერ აღემატება ნიტრატების ტოქსიკურობას. ნიტრიტებს ჰემოგლობინის ორვალენტიანი რკინა გადაჰყავთ სამვალენტიანში და ამ დროს წარმოქმნილი მეტჰემოგლობინი ვერ ასრულებს ჟანგბადის გადამტანის როლს. ეს ნაერთები საშიშია იმით, რომ მათ გააჩნიათ კარცენოგენური, მუტაგენური თვისებები და შეუძლიათ გამოიწვიონ კიბოს დაავადებანი, თანდაყოლილი და მუტაგენური სიმახინჯეები. როგორც ცნობილია ნიტრატები ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა წყაროებიდან ხვდება: 20% წყლიდან, ხორცის, რძის დაკონსერვირებული პროდუქტებიდან-6%. უმეტესი ნაწილი 40-80% ადამიანის ორგანიზმში ცოცხალი ბოსტნეულიდან ხვდება, რადგან საკვებად ადამიანი იყენებს ძირითადად ვეგეტატიურ ნაწილებს. ნიტრატების გაუვნებელყოფის ყველაზე კარგი საშუალებაა პროდუქტების კულინარული დამუშავება, რომლის შედეგად ნიტრატების შემცველობა მცირდება 40-80%-ით. სხვადასხვა მცენარე სხვადასხვა რაოდენობით აგროვებს ნიტრატებს. ბოსტნეული ბევრად მეტს, ვიდრე ხილი და მარცვლეული. ბოსტნეულიდან ამ მხრივ გამოირჩევა შაქრის ჭარხალი, ისპანახი, სტაფილო, კომბოსტო, სალათები, მწვანილი და სხვა[4,5,6]. ცხადია, რომ ნიტრატების დაგროვება სასოფლო-სამეურნეო კულტურებში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ ნიადაგის განოყიერებისათვის საჭირო სასუქების სახეებზე, მათ დოზებზე, ნიადაგის ტიპზე, კულტურის თავისებურებებზე და სხვა.

ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ერთნაირ, წითელმიწა ნიადაგების პირობებში მინერალური და ორგანული სასუქების სხვადასხვა ფორმების და დოზების გავლენის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო კულტურაში-შავ ფხალში ნიტრატების შემცველობაზე. სასუქებიდან საექსპერიმენტოდ გამოიყენებოდა საქონლის ნაკელი, ფრინველის ნაკელი და კომბინირებული მინერალური სასუქი(აზოტის, ფოსფორის, კალიუმის ერთნაირი 16%-იანი შემცველობით). სასუქების დოზები აიღებოდა აგროწესებით რეკომენდებული დოზებიდან 100 და 200%-ით მეტი. ექსპერიმენტი ტარდებოდა კომბოსტოს სახეობის წარმომადგენელზე კეჟერა ანუ შავ ფხალზე, რომელიც დასავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და გამოყენებული საკვებად(პირუტყვისათვისაც). იგი ითვლება ძვირფას კულტურად, შეიცავს ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს, ხასიათდება მაღალმოსავლიანობით.


სასუქების სხვადასხვა სახეებისა და დოზების დამოკიდებულება ნიტრატების შემცვე-



ლობაზე ნიადაგში და შავ ფხალში მოცემულია გრაფიკზე №1

გრაფიკი №1

სასუქების სახეებისა და დოზების დამოკიდებულება
 ნიადაგში და შავ ფხალში ნიტრატების შემცველობაზე



მიღებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ერთნაირ წითელმიწა ნიადაგების პირობებში მინერალური და ორგანული სასუქების გადიდებული დოზების გამოყენებისას ნიტრატების შემცველობა იზრდება როგორც ნიადაგში, ისე ამ ნიადაგზე გაზრდილ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში, არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება ნიადაგსა და შავ ფხალში ნიტრატების შემცველობაზე. ზრდა მეტად შეინიშნება პირველ რიგში ორგანული სასუქის, ფრინველის ნაყელის და შემდეგ კომბინირებული მინერალური სასუქის გამოყენების დროს, რომლის შედარებით მცირე დოზების შემთხვევაში ინტენსიურად ხდება ნიტრატების ზრდა ზ.დ.კ.-ზე მაღლა. აღსანიშნავია რომ, ნიტრატების ზ.დ.კ. ნიადაგში უფრო სწრაფად მიიღწევა, ვიდრე მცენარეში, ამასთან ღეროში ნიტრატების შემცველობა 60-75%-ით აღემატება ფოთლებში მის შემცველობას. მიღებული მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მისაღებად, გარემოს ეკოლოგიური სისუფთავის შენარჩუნებისათვის, სასუქების გამოყენებისას გასათვალისწინებელია კულტურის მოთხოვნილება საკვებ ელემენტებზე, რათა არ მოხდეს ნიადაგის გაჭუჭყიანება, რომლის საშიშროებაც არსებობს ფრინველის ნაყელის გამოყენებისას. სასუქების მცირე დოზების გამოყენება დადებითად მოქმედებს გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში.

ლიტერატურა

1. მ. გორდეზიანი, გ. კვესიტაძე ეკოლოგიური ქიმიის საფუძვლები. თბილისი, 2000
2. პ. კოლუაშვილი საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004



3. ზ. ტყეშელაშვილი, გ. ცაგურიშვილი, ც. სამადაშვილი, ჯ. შენგელია, ბ. აბაშიძე, ე. მაღლაკელიძე, ნ. ჩხაიძე სოფლის მეურნეობის საფუძვლები, II ნაწილი. თბილისი, 2008
4. თ. ურუშაძე აგროეკოლოგია, თბილისი, 2001
5. ც. თურქაძე, ბ. ბუცხრიკიძე გარემოს დაცვა და ბუნებათსარგებლობის ეკოლოგია. ქუთაისი, 2008
6. www.medportal.ge

THE INFLUENCE OF FERTILIZERS ON THE CONSISTENCY OF NITRATES IN BLACK PKHALI

Nakashidze N., Ebralidze L., Koplatadze L.,* Chikovani D.*

Batumi Shota Rustaveli State University
 Agrarian and Membrane Technologies Institute*

Summary

The present work deals with the influence of different doses of mineral and organic fertilizers in the consistency of nitrates of Black (Kezhera) Pkhali. We have found out that while using increased doses of mineral and organic fertilizers on the red soil lands, the consistency of nitrates increases in the soil and in the culture grown on it. The consistency of nitrates in the soil is in direct proportion to its consistency in Black Pkhali. The growth is widely noticeable while using a bird's manure using the small dose of which is higher than limited admissible concentration

ბიომეფრინველობის წარმოება საქართველოში

ნაცვალაძე კ., ნოზაძე რ., ხუციშვილი მ., ტაბატაძე ლ., ბარკალაია რ.
 ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ადგილობრივი ქათმის პოპულაციის ორი წარმომადგენლის ელტიტეგლა და მეგრულა ქათმების, კორნიშის ჯიშის მამლებთან სამრეწველო შეჯვარებით იქმნება სატაბაკე ქართული ბროილერის მიღების შესაძლებლობა. მისი გამოზრდა შესაძლებელია საკარმიდამო ტიპის მეურნეობებში, სადაც ფრინველის შენახვის და კვება-მოვლის პირობები მიახლოებული იქნება ბუნებრივთან. კერძოდ, ფრინველი ისარგებლებს სუფთა ჰაერით, მზის სხივებით, ნიადაგიდან მწვანე მასასთან ერთად მიიღებს აუცილებელ მიკროელემენტებს და ვიტამინებს. საკვებად გამოყენებული იქნება მხოლოდ ადგილობრივი წარმოების მარცვლეული. ყოველივე ეს იძლევა ბიოპროდუქტის წარმოების საშუალებას.

მეფრინველეობა მსოფლიოში, მეცხოველეობის სხვა დარგებთან ერთად, ინტენსიურად ვითარდება. 1 სულ მოსახლეზე ფრინველის ხორცის მოხმარებით მსოფლიოში ლიდერობს აშშ, სადაც 1 მოსახლეზე ყოველწლიურად მოიხმარება 53 კგ ფრინველის ხორცი; ევროპის ქვეყნებში საშუალოდ 1 მოსახლე მოიხმარს 40 კგ ფრინველის ხორცს, ხოლო რუსეთში მოიხმარენ – 27 კგ-ს.

საქართველოში 2013 წლის მონაცემებით წარმოებულ იქნა 14 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, რაც 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით შეადგენს წელიწადში საშუალოდ 3 კგ-ს. ჩვენს ქვეყანაში მეფრინველეობის განვითარების თანამედროვე დონე ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ფრინველის ხორცით სრულად დაკმაყოფილებას, ამიტომ ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს დიდი რაოდენობით ბროილერის ხორცი. ადგილობრივ წარმოებას ჩვენი ბაზრის მხოლოდ 20% უჭირავს. მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა წელიწადში 64 ათასი ტონა ფრინველის ხორცის წარმოება, ჩვენ კი ვაწარმოებთ 14 ათას ტ-ს. ბროილერის ხორცის წარმოების დიდი რეზერვია ფერმერული და საკარმიდამო (გლეხური) მეფრინველეობის განვითარება, რადგანაც იგი ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მეორეს მხრივ, გაზრდის ფრინველის ხორცის წარმოებას. 100 მ²-ის მქონე ერთი საფრინველიდან



წლის განმავლობაში შესაძლებელია 10000 ბროილერის გამოზრდა და შესაბამისად 18000 კგ ხორცის წარმოება. თუ ამ საქმით დავაინტერესებთ 1000 ოჯახს, წელიწადში ვაწარმოებთ 18 ათას ტონა ბროილერის ხორცს, ანუ იმაზე 4 ათასი ტონით მეტს, რამდენსაც აწარმოებენ მსხვილი საწარმოები. ბროილერის ხორცის წარმოებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ბიომეურნეობების შექმნა, რომელთა პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე ყველაზე კონკურენტუნარიანია. კონკურენტუნარიანობა განპირობებულია იმით, რომ ფრინველის შენახვის და კვება-მოვლის პირობები უახლოვდება ბუნებრივს. ფრინველი მთელი დღის განმავლობაში იმყოფება სუფთა ჰაერზე, სარგებლობს მზის სხივებით, ნიადაგიდან იღებს მწვანე მასას, აუცილებელ მიკრო-, მაკროელემენტებს და ვიტამინებს. შესაბამისად მიღებული პროდუქცია ხასიათდება მაღალი საგემოვნო და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. მაგრამ აქ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საკარმიდამო პირობებს მაღალპროდუქტიული ჰიბრიდული ფრინველი ვერ ეგუება, რადგან იგი მოითხოვს იდეალურ კვება-მოვლას და განსაკუთრებულ მზრუნველობას. საკარმიდამო პირობებში ყველაზე ეფექტურია ადგილობრივი ფრინველის მოშენება, რადგან ისინი ხასიათდებიან გამძლეობით, არ მოითხოვენ კვების და შენახვის განსაკუთრებულ რეჟიმს, კარგად ეგუებიან ეზოს პირობებს და მსუბუქი ტიპის საფრინველშიც თავს კარგად გრძნობენ. ამასთან მათი პროდუქცია გამოირჩევა ხორცის საუკეთესო ხარისხით, რის გამოც, მიუხედავად მაღალი ფასისა, მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს იმპორტირებულ ფრინველის ხორცს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფრინველის ხორცის წარმოების გაზრდა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადგილობრივი ფრინველის გამოყენებით შეუძლებელია, რადგანაც მათი პროდუქტიულობა ჰიბრიდულ მაღალპროდუქტიულ ბროილერებთან შედარებით გაცილებით დაბალია. აქ გამოსავალი ერთია, გავაუმჯობესოთ ადგილობრივი ფრინველის პროდუქტიულობა მაღალპროდუქტიულ ჯიშებთან შეჯვარებით და მიღებული ნაჯვარი წიწილები გამოვიყენოთ ბროილერებად. რის შემდეგაც ასეთი ტიპის ნაჯვარი წიწილები მიეწოდება ფერმერულ, საკარმიდამო ტიპის ბიომეურნეობებს, რომლებიც გამოიზრდებიან ბუნებრივ პირობებში და მოგვცემენ ეკოლოგიურად სუფთა, ორგანულ პროდუქციას.

სელექციის შემდგომი პროგრესი შეუძლებელია გენეტიკური მრავალფეროვნების გარეშე, რადგან ახალი ჰიბრიდების გამოყვანა აუცილებლად მოითხოვს “არაეკონომიური” ფრინველის გენოფონდის სელექციაში ფართო ჩართვას. მსოფლიოს გენეტიკური მრავალფეროვნების შექმნაში თავისი წვლილის შეტანა საქართველოს მეფრინველეობასაც შეუძლია, რადგანაც იგი გამოირჩევა ადგილობრივი ფრინველის მრავალფეროვნებით. აქ გავრცელებულია ადგილობრივი ქათმის 5 პოპულაცია: ყელტიტველა, ჩაღისფერი, მეგრულა, შავი და ნაცარა ქათმები. განსაკუთრებით გამოირჩევიან იშვიათი გენების მატარებელი, საქართველოში უხსოვარი დროიდან გავრცელებული მეგრულა (B-აუტოსომური გენი) და ყელტიტველა (NA-სიცხის ამტანი გენი) ქათმები. მათი პროდუქტიულობის შესწავლამ დაგვანახა, რომ კულტურულ ჯიშებთან შედარებით ისინი დაბალპროდუქტიულები არიან, მაგრამ შედარებით უკეთესი გამძლეობით ხასიათდებიან, ადვილად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს, გამოირჩევიან საუკეთესო ხორცისა და კვერცხის ხარისხით, არ მოითხოვენ კვება-მოვლის იდეალურ პირობებს და პრიმიტიული ტიპის საფრინველშიც თავს კარგად გრძნობენ. მათი კვერცხმდებლობა წელიწადში მერყეობს 120-150 ცალის ფარგლებში, კვერცხის მასა – 58-60 გ-ია, შენარჩუნება – 85-87 %. მაგრამ ადგილობრივი ფრინველი შედარებით გვიანმწიფადია და კვერცხდება იწყებს 6-7 თვის ასაკიდან. თუმცა გაუმჯობესებული კვება-მოვლის პირობებში ისინი პროდუქტიულობას მკვეთრად ზრდიან. უკანასკნელ წლებში საქართველოში შემოყვა-



ნიღმა ჰიბრიდულმა ფრინველმა გაქრობის პირამდე მიიყვანა ეს უნიკალური პოპულაციები. მათზე შეწყვეტილია ყოველგვარი მეცნიერული მუშაობა, რომლის განახლებაც აღნიშნული ფრინველის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. ადგილობრივი ფრინველის შენარჩუნება და მოშენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფერმერული და საკარმიდამო მეურნეობების განვითარებას, ამასთან არ დაგვეკარგება ჩვენი წინაპრების მიერ შემონახული ფრინველის მდიდარი გენოფონდი, რომელიც ამჟამად გადაშენების პირასაა და თუ არ მივიღეთ სასწრაფო ზომები, მათი მომავალში აღდგენა შეუძლებელი იქნება.

გარდა პრაქტიკული მნიშვნელობისა, ადგილობრივი ფრინველის და მათი ნაჯვარების გამოყენებას გააჩნია დიდი მეცნიერული ღირებულებაც, რადგან ამჟამად მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მეფრინველეობაში არსებულ სამ ძირითად პრობლემაზე: 1. ფრინველის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე; 2. გლობალური დათბობის პირობებში ადგილობრივი პირობებისთვის სიცხის ამტანი ფრინველის და ნაკლებციხიმიანი ბროილერების გამოყვანაზე; 3. ფრინველისათვის ბუნებრივი პირობების შექმნასა და ეკოლოგიურად სუფთა ორგანული პროდუქციის მიღებაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გათვალისწინებით გადავწყვიტეთ ჩვენი ქვეყნის პირობებში მიგველო ისეთი ბროილერი, რომლის გამოზრდა შესაძლებელი იქნებოდა ფერმერული, საკარმიდამო ტიპის მეურნეობაში და მოგვეცემდა მაღალი ხარისხის, ორგანულ პროდუქციას. ჩვენს მიერ კვლევა წარიმართება სამი მიმართულებით: 1. ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად მოვახდენთ ადგილობრივი ქათმის ორი პოპულაციის (ყელტიტველა და მეგრულა) ხალასად მოშენებას; 2. მივიღებთ ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ სიცხისამტან და ნაკლებციხიმიან ქართულ ბროილერს; 3. შევქმნით ბიომეურნეობებში ბროილერისთვის გამოზრდის ბუნებრივ (კეთილდღეობის) პირობებს და ვაწარმოებთ ორგანულ პროდუქციას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი ქათმის მომრავლება, სრულყოფა და მათ შორის მეხორცულობით გამორჩეული ფრინველის სამრეწველო შეჯვარების გამოყენებით ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ქართული ბროილერების (სატაბაკე წიწილების) მიღება.

კვლევის ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ მასიური სელექციის გზით სრულყოფით ადგილობრივი ქათმის ორი პოპულაცია (ყელტიტველა და მეგრულა) და შემდგომში მავახდინოთ სამრეწველო შეჯვარება კორნიშის ჯიშის მამლებთან ბროილერების მისაღებად.

შესაჯვარებლად გამოყენებული იქნება საქართველოში შემოყვანილი კორნიშის ჯიშის ორხაზიანი მამისეული ფორმა, რომელსაც იყენებენ არსებული რეპროდუქტორები (კრწანისი, მარტყოფი) ბროილერების მისაღებად.

კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება: 1. შევინარჩუნოთ ადგილობრივი ქათმის ორი პოპულაცია (ყელტიტველა და მეგრულა); 2. ადგილობრივი ქათმის სამრეწველო შეჯვარებით კორნიშის ჯიშთან მივიღებთ სიცხის ამტან ქართულ ბროილერს; 3. ბიომეურნეობების მეურნეობებს მივაწვდით ქართული ბროილერის ერთდღიან წიწილს ან საინკუბაციო კვერცხს.

ქართული ბროილერის უპირატესობები როგორც ადგილობრივ ჯიშთან, ასევე სამრეწველო ბროილერთან შედარებით იქნება შემდეგი: 1. ქართული ბროილერი დასაკლავ მასას (1000-1200 გ) მიაღწევს 7 კვირის ასაკში, მაშინ, როდესაც ადგილობრივი ქათამი ამ მასას აღწევს საშუალოდ 16-18 კვირის ასაკში; 2. ადგილობრივ ქათამთან შედარებით ნაჯვარი ბროილერის ცოცხალი მასა გაიზრდება 50-60 %-ით; 3. ხორცში, ბროილერებ-



თან შედარებით, 3 %-ით შემცირდება ცხიმის შემცველობა; 4. გაიზრდება ხორცში პროტეინის შემცველობა 2-3 %-ით; 5. წიწილის შენარჩუნება ბროილერთან შედარებით გაიზრდება 5 %-ით და 6. მიღებული ქართული ბროილერი ადვილად გამოიზრდება საკარმიდამო, ფერმერული ტიპის მეურნეობებში.

Quality of hulless barley of the Belarus selection for a number of years is investigated. It is marked, that hullessness grains causes essential changes in accumulation of nutrients, increases synthesis of starch, thus the contents клетчатки is reduced, the level of fiber raises. Fiber of hulless barley more high-grade on the sum of irreplaceable amino acids, than filmy barley. Values of parameters of physical and chemical properties голозерного barley are influenced with a grade and climatic conditions of cultivation. The nature, volume and density a grain at hulless is higher than forms of barley, than at filmy, that assumes display of the best technological properties at hulless forms of barley during processing. Hulless barley in flour-grinding and groating manufacture alongside with filmy forms of barley can be used. The most perspective is hulless barley of a grade the Doublet.

POWER DYNAMICS AND RESISTANCE: APPLICATION OF THEORY FOR CHANGE INITIATIVES WITHIN CFH GMBH

Sesikashvili T.

Capco – The Capital Markets Company

Article examines power dynamics, resistance and the role of change management practices application during the corporate transformation process. Paper applies change delivery theories to better understand source of resistance, role of power and identify employee motivational factors to accept change. Three step change delivery theory evaluates the necessary phases and applies theoretical approaches against a real life transformational project that has been undertaken within CFH GmbH Switzerland.

Acquisition of Five medium sized Payday Loan, Leasing and Credit Card companies by one of the leading Swiss bank was followed with merging of these entities into the single Consumer Finance Holding (CFH). Soon after the CFH GmbH incorporation, the company became the major player within



Swiss consumer finance market. Merging those independent companies into the single corporation triggered large-scale change initiatives throughout the organization as standardized and consolidated business processes became necessary to have. Analysis in this paper is directed towards the key issues that were faced during the business transformation process, and covers the change process carried out throughout the Credit Control and Debt Collection department. Throughout the paper among other change agents, the role of power is also described as it has been identified as one of the most important concepts for managing resistance.

Before embarking into the analysis, identification of an adopted change approach within CFH GmbH would provide a valuable framework for viewing the power dynamics from different angles and will enable to demonstrate underpinning concepts for overcoming the resistance. Paper would attempt to see resistance in two different ways: one as disruptive and another as instrumental. *Question that will be answered with the paper could be formulated as: Was the main aim of the change process creation of a more effective and efficient, profit oriented and employee caring organization or was the new organizational structure (and other outcomes of change) meant to be a tool for enhancing the management's ability to control and thus demonstrate the power.*

Before the change initiatives the five small companies operated their own small credit control departments. Indeed, the initiated change process aimed to introduce centralized organizational structure for credit control and debt collection departments. This decision was motivated by the necessity to eliminate any duplicate activities and also introduce streamlined and IT based business processes. While the employees' job before was more manual, error prone and paper based after the change it could have become IT supported and much more efficient. CFH GmbH had a clear vision on what was necessary to achieve with clear planned activities, scheduled for a certain period of time. This is a planned change approach that's also supported by Gordon (2002) who argues that systematic process of introducing new behaviors, structures, and technologies for addressing the problems and challenges within organizations is a planned change. After change approach identification, Lewin's (Burns, 2004) 3-step model (unfreeze, movement, refreeze) could be applied as a valuable framework for analyzing change activities and identification of issues concerning power and resistance.

Out of a 3-step model what was done with a great enthusiasm was "movement" phase while less attention was devoted towards "unfreezing" stage. This could be explained through attitudes strongly prevailing within new management who assumed that employees must have been prepared for large-scale changes after acquisition took place and there was no need for further activities that could have contributed towards this stage. Partly it was true as employees themselves understood that after acquisition things could have not worked as before and such a destabilized equilibrium (also described by Lewin) facilitated unfreezing stage. Nevertheless, the lack of communication at the beginning created the sense of ambiguity contributing towards increased stress among employees.

It is also worth to note that after acquisition took place the primary goal of newly installed management was to carry out changes and implement new business processes. Felstade (1994 in Thompson and Mchugh, 2002) also notes that business formats imposed by the central company dictate precise procedures and criteria governing operations, finance, and transfer of know-how. This was the reason for strong top-down driven change initiatives imposed over acquired companies that left little room for flexibility. Argument of the new management was current inefficiency in Credit Control and Debt Collection procedures and existence of duplicate activities that were supposed to be eliminated within a new organizational structure.


Implementation of a new IT solutions facilitated much more effective control of corporate's bad debt, as it eliminated manual (error prone) processes but also cut flexibility in a working processes by introducing strict standards that had to be adhered and also introduced effective employee monitoring



tool. Thus, the credit control and debt collections department that performed various different functions before such as interpersonal relations with clients was transformed into the call center where employees were fully dependent on IT and duties they performed were only calling to in-debt clients and entering the payment information into the system. Acquiring the new skills for working with “sophisticated” IT systems were communicated as a benefit to employees, but was it a real valuable skill?

Taylor’s (Gordon, 2002) scientific management approach was developed to increase industrial efficiency and was largely used in manufacturing, but as critics argue it led to deskilling and dehumanization of employees. In our case the job required newly acquired IT skill but in fact it was so narrow that only a few days of training was sufficient for mastering it. As a result employees became easily replaceable leading to decreasing their power in negotiations with management.

Certain level of resistance was observed during the movement phase as concerned people did not feel comfortable with destabilized equilibrium. Resistance is a goal-directed behavior (Azjen, 1988 cited in King and Anderson, 1995, p. 170) and in most cases, the goal is to maintain, to as great an extent as possible, the status quo within an organization or organizational sub-unit. But it was clear that maintenance of status quo was not a feasible possibility. Classical view authors (Coch and French, 1948, Lewin 1951, Lawrence 1969, Shephard 1967, DuBrin 1974, Kotter and Schlesinger 1979) on resistance share the vision that in order to overcome inertia, resisting forces have first to be investigated and minimized (Lewin 1951). Minimization could be done through various strategies for change. Kotter and Schlesinger (1979) suggest managers to engage in a continuum, where movement from left towards right represents increasing salience or potency of each strategy.



According to this continuum the first four components are seen as less intrusive while final two encompass exertion of power over resisting groups.

At the beginning in CHF GmbH employees were reluctant to engage in a dialog with change agents (consultants and IT vendors in this case) as they also were seen on the side of management. Hence, if we go back to the opening questions of the paper it could be argued that management at this point saw the resistance as disruptive, hindering the transformation process.

This type of resistance was overcome through constructive negotiation and creation of so called “working groups”. Goodstein and Burke (cited in Mabey and Mayon-White, 1993) also indicate that in order “to heighten involvement and manage organizational change often it is necessary to set up a transitional management team composed of a various representatives of the organization”. Within CHF GmbH Working groups were arranged with the participation of employees, consultants and IT vendors. Regular meetings of a working group provided solid base for considerable level of success.

Another successful measure of the change process was development of strong organizational culture and shared values. Pfeffer (cited in Mabey and Mayon-White, 1993, p 202) also argues that “if people share a common set of goals and common perspective on what to accomplish, hierarchical authority becomes much less importance”. New organizational culture was supported by the fact of CHF GmbH being part of the strong International Banking Group, employees felt more secure, valued and confident as they became part of a bigger and stronger international financial company.

While classical school of thought views first four components of the continuum as a democratic



tools for achieving rationality, more radical views emphasize underpinning concept of power and see this parameters as a mechanism needed for establishing influence. Foucault (Thompson and Mchugh, 2002, p124) uses term 'capillary' to explain that power does not come from above, from a central source but rather it circulates throughout the whole social body. Anyway, power dynamics that were prevalent during the whole change process played an important role for the final outcome that was seen as effective by the both parties, the management and the employees.

Refreezing phase was reinforced through successful deployment of IT solution where new standards and procedures made it impossible to return to old practices. New organizational structure also enabled to oversee credit control activities throughout the CFH GmbH and IT facilitated efficient business processes replaced old error prone and ineffective procedures.

Change within CHF GmbH touched three different levels also described by Goodstein and Burke (cited in Mabey and Mayon-White, 1993, p: 165)

- Skills, values, attitudes and behaviors were changed on an individual level
- Organizational structure and systems have been also changed
- Climate and interpersonal style has been also modified.

So, if we go back to the questions formulated at the beginning of the paper we can argue that in that particular case, during initial change initiatives, management saw resistance as a disruptive and unwanted but later they (top management) realized the role of employee participation in a change process. Communication with all affected parties and their participation provided solid base for successful change outcomes. Employees' skills, values and attitudes have been changed and the reverting to old behaviors was avoided through new organization structure and new IT systems. Successful outcome of this particular change was, also played an important role in transformation of five smaller companies into Consumer Finance holding that became a dominant market player in Switzerland. Identification of a power sources and primary reasons for resistance helped managers to successfully implement change initiatives and cope with a large-scale transformation programme.

References

1. Ajzen, I., (1988) *Attitudes, Personality and Behaviour*, Buckingham: Open University Press in King, N., and Anderson, N., (1995) *Innovation and Change in Organizations*, London: Routledge.
2. Burns. B., (2004) 'Kurt Lewin and the Planned Approach to Change: A Re-Appraisal', *Journal of Management Studies*, 41(6), pp. 977 - 1002.
3. Coch, L. and French, J.R.p., (1948) 'Overcoming resistance to change', *Human Relations*, 2: pp 512-532.
4. DuBrin, A. J., (1974) *Fundamentals of Organizational Behavior: An Applied Perspective*, New York: Pergamon Press.
5. Gordon, R. J., (2002) *Organizational Behavior: A Diagnostic Approach*, New Jersey: Prentice Hall.
6. King, N., and Anderson, N., (1995) *Innovation and Change in Organizations*, London: Routledge.
7. Kotter, J. P. and Schlesinger, L.A., (1979) 'Choosing Strategies for Change', *Harvard Business Review*, March – April: pp 106 - 114.
8. Osland, J., Kolb, D. and Rubin, J., (2001) "The Organizational Behavior Reader", 7th Edition: Prentice Hall.
9. Thompson, P., and Mchugh, D., (2002), *Work Organisations*, 3rd Edition, New York: Palgrave.



საქართველოს სასურსათო წარმოება და სასურსათო უსაფრთხოება

სილაგაძე დ.

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია გლობალიზაციის პირობებში, საუბარია იმაზე, რომ გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობის და ზოგიერთ შემთხვევაში – სიცოცხლისათვის საშიში სასურსათო პროდუქტებისაგან. არასაიმედო, ფალსიფიცირებული, გენეტიკურად მოდიფიცირებული და სხვა საკები პროდუქტის მზარდი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს გარემოზე, ეკონომიკის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები და მათი რეგულირება, რადგანაც საქართველოს სასურსათო წარმოება და, შესაბამისად სასურსათო უსაფრთხოება უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს აგრარული სფეროს განვითარებას, აგრარული სფერო უნდა გახდეს პრიორიტეტული და უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა.

სასურსათო უსაფრთხოების და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევა თანამედროვე მოსფლიოს ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრშია. იგი განსაკუთრებით ინტერესს იწვევს და შესასწავლია საქართველოში, სადაც საბაზრო ეკონომიკის ადაპტირება ხდება და მიმდინარეობს რადიკალური აგრესიული გარდაქმნები. ამ პრობლემას აძლიერებს თანამედროვე მოსფლიოს სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები და სურსათზე ფასების ზრდის ტენდენცია, აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის შემცირების მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული აგრარული ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებთან ადაპტირების, აგრარული სექტორის ინტენსიური, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გარეშე.

გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და ზოგიერთ შემთხვევაში – სიცოცხლისათვის საშიში სასურსათო პროდუქტებისაგან. არასაიმედო, ფალსიფიცირებული, გენეტიკურად მოდიფიცირებული და სხვა საკები პროდუქტის მზარდი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს გარემოზე, ეკონომიკის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე.

თუ კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორების მარინა ჩავლეიშვილის, გულნაზ ერქომაიშვილის და რუსუდან სეთურიძის კვლევის მასალებს გამოვიყენებთ, ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველოში დაბალია მოსახლეობის ადგილობრივი სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი. მომხმარებელი უკმაყოფილებას გამოხატავს სურსათზე არასტაბილური, მაღალი ფასისა და პროდუქტთა უვნებლობის გამო. პრობლემის რეგულირებისთვის მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობამ. არადა, ამ დარგის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 9,3%-ია.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, ქვეყნის სურსათის დეფიციტის შევსება ძირითადად იმპორტირებული პროდუქტების ხარჯზე ხდება. 2012 წლის მონაცემებით, ქვეყნის მთლიანმა იმპორტმა 7842,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის სურსათის იმპორტი 1050,0 მილიონ აშშ დოლარია, ე.ი. სურსათის წილი მთლიან იმპორტში დაახლოებით 13,4%-ია.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების მიღწეული მასშტაბე-



ბით, სასურსათო ბაზარი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული პურითა და პურ-პროდუქტებით, ღვინით, ლუდით, ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით. სამამულო ნაწარმის სასურსათო ბაზარზე რეალიზებული მანქანების ასეთია: ხილის დაახლოებით – 45-48%, ყურძნის – 40-45%, ბოსტნეულის – 75-80%, საქონლის ხორცის – 25-27%, რძის პროდუქტების 38-42%.

საქართველოს აგრარული სფეროში არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ჩანს, რომ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მეცხოველეობისა და მემცენარეობის ხვედრითი წონა გათანაბრდა და 48-48%-ია. მემცენარეობის პროდუქციის 95% საოჯახო მეურნეობებში იწარმოება, თუმცა, წინა წლებთან შედარებით, წარმოების მაჩვენებელი გაუარესებულია.

იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადება, უნდა მოხდეს სასურსათო უსაფრთხოების ფიტოსანიტარული და სანიტარულ სფეროებში მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მათ შორის აუცილებელია ფიტოსანიტარულ და სანიტარულ სისტემებთან და ამ სფეროში პოლიტიკისა და კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა.

2005 წელს საქართველოს მთავრობამ სურსათის უვნებლობის სფეროში აღებული ვალდებულების განხორციელების მიზნით, მიიღო კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" – რაშიც განისაზღვრა სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაში არის ევროკავშირის კანონმდებლობასთან 2007 წელს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა იგი დააშორა ევროკავშირის მოთხოვნებს, რაც დაუყოვნებლივ უნდა გასწორდეს. აქედან გამომდინარე აუცილებელია მისი სრულყოფა და სახელმწიფო მხრიდან რეალურად ქმედითუნარიანობისა და მონიტორინგის ამაღლება. 2010 წლის 28 დეკემბრის №1756 განკარგულებით კი საქართველოს მთავრობამ მიიღო ყოვლისმომცველი სტრატეგია სურსათის უვნებლობის სფეროში.

საქართველოს მიერ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადება ითვალისწინებს გაუმჯობესდეს სასურსათო უსაფრთხოების და ფიტოსანიტარულ და სანიტარულ სფეროში პოლიტიკისა და კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიზნით ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვან ტექნიკური პოტენციალის გაზრდაზე მიმართული დახმარებას უწევდა და დღესაც უწევს სხვადასხვა ინიციატივების საშუალებით.

ევროკავშირის მიერ 1,8 მილიონი ევროთი დაფინანსებულმა პროექტმა უნიკალური შესაძლებლობა მისცა საქართველოს შემოსავლების სამსახურს და დანიის, იტალიისა და ესტონეთის საბაჟო და ვეტერინალური კონტროლის ადმინისტრაციებს ერთად ემუშავათ საქართველოში სასაზღვრო კონტროლის გასაძლიერებლად. პროექტი ორიენტირებული იყო საზღვრებზე სურსათის უვნებლობისა, ვეტერინალურ და ფიტოსანიტარულ კონტროლზე. ეს პროექტი გააძლიერებს იმპორტირებული სურსათის უვნებლობის კონტროლს საქართველოში. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იყო 2013 წლის აპრილში წარმოდგენილი "საბაჟო და სანიტარულ-ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლის სისტემის გაძლიერება საქართველოში" პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები.

მიუხედავად ამისა, კვლევის ავტორთა აზრით, საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უზრუნველყოფის მიმართულებით კვლავ არასახარბიელი მდგომარეობაა. " სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში" კვლევამ მეცნიერებს მისცა შემდეგი დასკვნის საფუძველი: ბაზარზე დეფიციტურია სამამულო სასურსათო პროდუქტები, არასრულყოფილად არის გამოყენებული ადგილობრივი საწარმოო რესურსები, რაც განაპირობებს



აგროსასურსათო წარმოების დაბალ დონეს. დაბალია წარმოების ტექნოლოგიის, კვალიფიცირებული კადრებისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დონე. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების რეგულირებას არ გააჩნია სრულყოფილი ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზა, დაბალია სასურსათო პროდუქტების ექსპორტის ხელშეწყობა, ქვეყანაში მაღალია სიღარიბის დონე, მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში განსაკუთრებით მაღალია სურსათზე გაწეული დანახარჯები. ნელი ტემპით მიმდინარეობს მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობის ფორმირება და ხელშეწყობა, არასრულყოფილია სურსათის უვნებლობის სისტემა.

დასკვნის საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებმა მარინა ჩაფლეიშვილმა, გულნაზ ერქომაიშვილმა და რუსუდან სეთურიძემ შემდეგი რეკომენდაციები მისცეს ქვეყნის ხელისუფლებას და ყველა დაინტერესებულ პირს:

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს აგრარული სფეროს განვითარებას. კერძოდ:

- აგრარული სფერო უნდა გახდეს პრიორიტეტული და უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა.
- კონკურენტუნარიანობის გაზრდა არა იმპორტზე ბარიერების დაწესებით, არამედ ადგილობრივი წარმოების პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებით.
- უნდა შემუშავდეს ეროვნული სტრატეგია სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ.
- საქართველოს სასურსათო წარმოება და, შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოება ევროკავშირის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.
- სამომავლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტი უნდა გახდეს ბიოწარმოება, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებას და მნიშვნელოვანია ქვეყნის პოპულარიზაციისათვის.

ლიტერატურა:

1. ბიზნესი და კანონმდებლობა 2010 №21 – ზ. ბერიძე "სასურსათო უსაფრთხოების და მოსახლეობის სურსათის უზრუნველყოფის პერსპექტივა".
2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 6 მარტი 2014. ახალი ამბები, განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი თსუ მედიაში, გალერეა, მულტიმედია. "სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში".
3. ინტერნეტ მასალები. ვიკიპედია – თავისუფალი ენციკლოპედია.

FOOD INDUSTRY AND SAFETY IN GEORGIA

Silagadze D.

Akaki Tsereteli State University

Summary

In the article there is discussed strategy of food safety in Georgia under globalization condition. There is talked about globalization condition under which protection of citizens from bad and dangerous food products for health and life is more actual. Increased number of unreliable, falsified, genetically modified and other food has a negative effect on environment, development of economics and health.

Our aim was to study problems of food safety and their regulation as food industry of Georgia and food safety shall comply with requirements of European Union.

Georgian food safety strategy shall base on development of agrarian field, it shall become preferential and supported from the government.

There shall be elaborated national strategy for ensuring food safety and quality in the country.



დიოქსინების შემცველობა კვების პროდუქტებში და არსებული რეგულაციები

სირბილაძე ქ., სირბილაძე თ., თურქაძე ც.
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია გარემოს ერთ-ერთი ძლიერ დამაბინძურებლებს- დიოქსინების წარმოქმნის და გარემოდან ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის გზების შესახებ. აღნიშნულია, რომ დიოქსინების გავრცელებას გარემოში აქვს გლობალური ხასიათი და მათი ნახევრად დაშლის დიდი პერიოდის (60-100 წელი) გამო ისინი დიდ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. მრავალ ქვეყანაში მკაცრად კონტროლდება საკვებ პროდუქტებში დიოქსინების რაოდენობა და შემუშავებულია ნორმატიული დოკუმენტაცია საკვებში დიოქსინების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციებისა და მათი რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდების შესახებ. დასაბუთებულია საქართველოში ანალიტიკური ლაბორატორიული ბაზისა და ნორმატივების შექმნის აუცილებლობა.

დიოქსინები წარმოადგენენ გარემოში არსებულ მდგრად სუპერტოქსიკანტებს, რომლებიც აბინძურებენ ნიადაგს, წყალს, ჰაერს და მათი გავლით ხვდებიან კვების პროდუქტებში. აღნიშნული ქსენობიოტიკები გროვდება ნიადაგსა და დანალექებში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებენ რეზისტენტობას (2,3,7,8-ტქდ ნახევრად დაშლის პერიოდი 103 წელია, ხოლო 2,3,7,8-ტქდფ - 63 წელი). ეს ქსენობიოტიკები ნიადაგიდან და დანალექებიდან გროვდება მცენარეებში, წყალმცენარეებში, ხოლო დაბინძურებული საკვებიდან თევზების, ფრინველებისა და ცხოველების ორგანიზმში. ადამიანის ორგანიზმში დიოქსინების 98% ხვდება ძირითადად კვების ჯაჭვით. მიუხედავად დიოქსინების ლოკალური წარმოქმნისა, მათ გავრცელებას გარემოში აქვს გლობალური ხასიათი. დიოქსინები შეიძლება აღმოჩენილი იქნას მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში და პრაქტიკულად ნებისმიერ გარემოში.

დიოქსინების წარმოქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს ანთროპოგენური პროცესები: სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, საშიში ნარჩენების დაწვა; საწვავის სახით მახუთისა და ნახშირის გამოყენება; შიგა წვის ძრავების მუშაობა; ხანძრები პოლიმერული მასალების წვით; შავი და ფერადი მეტალურგია, განსაკუთრებით კი ჯართის გადაღობა, რომელიც დაბინძურებულია პოლიმერული მასალებით; ქლორშემცველი მათეთრებლების გამოყენება; პესტიციდების წარმოება, განსაკუთრებით პენტაქლოროფენოლის, 2,4,5-ტრიქლოროფენოქსიმარმჟავას და 2,4-დიქლოროფენოქსიმარმჟავას გამოყენებით.

პოლიქლორირებული დიბენზოდიოქსინები ხასიათდებიან სუპერტოქსიკანტებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებებით:

- მწვავე ტოქსიკურობა ძალზე მცირე კონცენტრაციების დროს- $1 \cdot 10^{-9}$ - $1 \cdot 10^{-15}$ გ/გ;
- გავრცელება გარემო არის ობიექტებში და საკვებ პროდუქტებში;
- მდგრადობა გარე ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებისას (დაჟანგვა, ჰიდროლიზი და სხვა);
- ცხიმში ხსნადობა, ცხოველების და ადამიანის ცხიმოვან ქსოვილებში კუმულაცია და კვებითი ჯაჭვით მიგრაცია.

ადამიანის ორგანიზმზე და გარემოზე დიოქსინების ზემოქმედება განპირობებულია მათი ზეკუმულაციური მოქმედებით და მცირე დოზებით ქრონიკული მოწამვლის შორეული შედეგებით. მცირე დოზით დიოქსინებით კუმულაციური მოწამვლები უმეტესად გამოწვეულია დაბინძურებული კვების პროდუქტების მოხმარებით.

სხვადასხვა ქვეყნებში კვების პროდუქტების კვლევისას დიოქსინებით დაბინძურების



არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. ტოქსიკურ ექვივალენტებში გამოსახული დიოქსინების დღე-ღამის დოზა საკვებთან ერთად შეადგენს 90-100 პგ ადამიანზე (დამოკიდებულია რაციონზე), ამ რაოდენობის 25% მოდის ტეტრაქლორდიბენზოდიოქსინზე და მისი დოზა ადამიანის მასაზე გადაანგარიშებით შეადგენს 1,3-5 პგ/კგ. საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით დიოქსინების დღე-ღამის მიღების უსაფრთხო სიდიდე შეადგენს 4 პგ/კგ დღე-ღამეში. ამ სიდიდის გადამეტების შემთხვევაში, ზედმეტი ბიოაკუმულაციის გამო, ჩნდება დიოქსინებით ინტოქსიკაციის განვითარების პოტენციური რისკი. ისეთი კვების პროდუქტები, როგორცაა ცხიმოვანი საქონლის და ღორის ხორცი, ბეკონი, ძეხვი, რძე, კარაქი, არაჟანი, ცხიმოვანი ყველი და ცხიმოვანი თევზი (ორაგული, ვირთევზა, ფარგა და სხვა) წარმოადგენენ ადამიანის ორგანიზმში დიოქსინების შეღწევის ძირითად წყაროებს. ამავე დროს დიოქსინების შედარებით მცირე რაოდენობას შეიცავს ბატკნის ფილე (0,03ppt), უცხიმო ცხვრის ხორცი (0,04 ppt), უცხიმო ყველის ნაირსახეობები (0,03 ppt) და მარგარინები (0,03 ppt), ხოლო ხილი, ბოსტნეული, მარცვლოვანი კულტურების პროდუქტები დიოქსინებს შეიცავენ ძალიან მცირე კონცენტრაციებით და მათი დიდი რაოდენობით გამოყენება არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მოცემული სუპერტოქსიკანტების შეღწევაზე ორგანიზმში.

საკვებ პროდუქტებში დიოქსინების დონის შესამცირებლად დიდი ყურადღება ენიჭება მომზადების ტექნოლოგიას. მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ შემწვარი თევზი, ხორცი, შებოლილი და შემწვარი ძეხვი, სწრაფი მომზადების პროდუქტები შეიცავენ დიოქსინების მაღალ დონეს იმის გამო, რომ მათში მაღალია ცხიმების შემცველობა. დიოქსინის რისკის შესამცირებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საკვების მომზადების ტექნოლოგიის ოპტიმიზაციას და კვების კულტურის ამაღლებას. კანის მოცილება თევზზე, ხორცზე, ხილზე, ბოსტნეულზე ამცირებს აღნიშნული სუპერტოქსიკანტების შემცველობას 25-50%. დიოქსინების შემცირება თევზისა და ხორცის ხარშვის შემდეგ მცირდება 50%-ით. სამწუხაროდ დიოქსინები არ იშლება საკვების მომზადების პროცესში და ხარშვისას გადადიან ნახარშში და შეწვის დროს კი ცხიმში. ცხიმის მრავალჯერადი გამოყენება არა მარტო ხელს უწყობს მათ დაგროვებას, არამედ ცხიმში მათ წარმოქმნასაც. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ზეთების წარმოების ტექნოლოგია.

მრავალი ქვეყანა ახდენს კონტროლს დიოქსინების შემცველობაზე როგორც იმპორტირებულ კვების პროდუქტებში, ასევე ადგილობრივ პროდუქტებში, საქართველოში კი ასეთი კონტროლი არ ხორციელდება. დღესდღეობით, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებისა და ყოვლისმომცველი და ღრმა სავაჭრო შეთანხმების დადება მნიშვნელოვან მოთხოვნებს აყენებს საკვები პროდუქტების უსაფრთხოების მხრივ და შესაბამისად, დღის წესრიგში დადება დიოქსინების კონტროლის საჭიროება.

კვების პროდუქტებში დიოქსინების შემცველობის რეგულირებაზე ევროკავშირის ქვეყნებში დიდი სამუშაო იქნა ჩატარებული. იმის გამო, რომ დიოქსინები აღმოაჩინეს კვების პროდუქტებში და შინაური ცხოველების საკვებში (1990-2010 წ). ევროკავშირის ქვეყნებში (სტოკჰოლმის კონვენციის რეალიზაციასთან დაკავშირებით) დადგენილი იქნა დიოქსინის და მისი მსგავსი პოლიქლორბენზოლების დასაშვები დონეები კვების პროდუქტებსა და შინაური ცხოველების საკვებში.

კვების პროდუქტების საექსპერტო კომისიამ ევროკომისის დაგეგმვით მოამზადა მოხსენება საკვებ პროდუქტებში დიოქსინების მაქსიმალურ დასაშვებ დოზებზე. მათი აზრით, დიოქსინების შეღწევის დონე მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის აღემატება დასაშვებ დღე-ღამის დოზას, რომელიც რეკომენდირებულია საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. ევროკავშირის ქვეყნებში დიოქსინების დღე-ღამის შეღწევა შეად-



გენს 1,2-3 პიკოგრამს სხეულის წონის 1კგ-ზე (პკგ/კგ). აგრეთვე დადგენილია კვირის დასაშვები დოზა 7 პკგ/კგ დონეზე. 2001 წლის მაისში საექსპერტო კომისია შემოვიდა წინადადებით კვირის დოზა გაეზარდათ 14 პკგ/კგ.

ევროკავშირის დადგენილების მიხედვით გათვალისწინებული უნდა იქნას რომელ პროდუქტებზე გავრცელდება ევროკავშირის რეგულაციები. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ბოსტნეული, ხილი, ნანადირევი, ზღვის პროდუქტები, კვერცხი და ა.შ. საექსპერტო კომისიის აზრით, თუ დაუშვებთ დიოქსინების შემცველობას საკვებ პროდუქტებში არა უმეტეს 2 პკგ/გ, მაშინ ბაზარზე დარჩება კვერცხის 95%, ხორცპროდუქტების 95% და დაახლოებით რძის პროდუქტების 95%. რაც შეეხება თევზის პროდუქტებს, გაყიდვისათვის ნებადართული იქნება მხოლოდ მათი მცირე ნაწილი. ცხრილ 1-ში მოცემულია დიოქსინების მაქსიმალური დასაშვები დონე ევროკავშირის ქვეყნების კვების პროდუქტებში.

ცხრილი 1

დიოქსინების მაქსიმალური დასაშვები დონე ევროკავშირის ქვეყნების კვების პროდუქტებში

ღორისა და ცხვრის ხორცი	ლიპიდური წარმოშობის 3 პკგ/გ
ქათმის ხორცი	ლიპიდური წარმოშობის 2 პკგ/გ
ღორის ხორცი	ლიპიდური წარმოშობის 1 პკგ/გ
ღვიძლი და მისგან დამზადებული პროდუქტები	ლიპიდური წარმოშობის 6 პკგ/გ
თევზის კუნთოვანი ქსოვილი და თევზპროდუქტები	ნედლი წონის 4 პკგ/გ
რძე და რძის პროდუქტები	ლიპიდური წარმოშობის 3 პკგ/გ
ქათმის კვერცხი და პროდუქტი კვერცხისგან	ლიპიდური წარმოშობის 3 პკგ/გ
კარაქი და ქონი (სხვადასხვა წარმოშობის)	ლიპიდური წარმოშობის 0,75-3 პკგ/გ

2007 წლისათვის დაგეგმილი იყო ხელახლა განეხილათ მაქსიმალური დასაშვები დონეები, მათი რაოდენობის შესამცირებლად. გადაწყვეტილი იქნა თევზის სხვადასხვა სახეობებისათვის ეს დონე არ უნდა აღემატებოდეს 3 პკგ/გ-მდე. ამის შემდეგ გაყიდვიდან ამოღებული იქნას შემდეგი სახეობის თევზები:

ცხრილი 2

თევზის სახე და მისი დამჭერი ქვეყანა	ნედლი წონის პკგ ტ/გ
ქაშაყი (ნორვეგია)	3,5
ქაშაყი (ლა-მანში)	3,3-3,9
ჭრელი ზღვის მამალი	3
ორაგული	3,2
ფარგა	3,7
ხმალთევზა (იტალია)	3,1

დიოქსინების დიდი რაოდენობა აღმოჩენილი იქნა კვების სხვა სახეობის პროდუქტთა 8%-ში. European Food Safety Authority (EFSA) მონაცემებით დიოქსინების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა საქონლის ღვიძლში. ანგარიში შედგენილი იყო 7 ათასი ნიმუშის ტესტირების შედეგად 1999-დან 2008 წლამდე ევროპის 21 ქვეყანაში.

ევროპის სუპერმარკეტებში (2011 წელს) ამოღებული იქნა კვების პროდუქტები, რომელიც გამოშვებული იყო გერმანიაში. წარმოებებში ჩატარებულმა ტესტირების შედეგებმა აჩვენეს, რომ დიოქსინების დონე რამოდენიმეჯერ აღემატება დასაშვებ დონეს, ხოლო ერთ ქარხანაში დონე აღემატებოდა 77-ჯერ. ცხიმები, რომელსაც უშვებს საწარმოები, გამოიყენება სხვადასხვა სამრეწველო პროცესებში, მაგალითად, ქაღალდის წარმოების დროს. ამავე დროს ეს პროდუქტი გამოიყენება ერთ-ერთ ინგრადიენტად ცხოველებისათვის საკვების დამზადებისას. შედეგად დახურული იქნა 558 ფერმერული მეურნეობა.

“ევროკომისია განწყობილია აღარ დაუშვას საკვები პროდუქტების დაბინძურება ევროკავშირის ქვეყნებში” – განაცხადა 2011 წლის იანვარში ბრუსელში ევროკომისიის



ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფრედერიკ ვენსანმა. მან აღნიშნა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ევროკავშირში მოხდა 4 ინცენდენტი დიოქსინების მოხვედრისა კვების პროდუქტებში: ორი – გერმანიაში, და თითო-თითო ბელგიაში და ირლანდიაში. ევროკავშირში არსებული რეგლამენტების საფუძველზე, რომლებიც იცავს პროდუქციის ხარისხს, შესაძლებელი გახდა ამ დარღვევების აღმოჩენა. ბრიუსელში ყურადღება მიიპყრო ბელგიური დელეგაციის წინადადებას მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ იმ ცხიმების გაყოფაზე, რომლებიც გამოიყენება სამრეწველო საწარმოებსა და კვების პროდუქტების დანამატების სახით. ეს საკითხი განიხილებოდა უნგრეთში ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრების საბჭოს სხდომაზე 2011 წელს.

საჭიროა, რომ საქართველოშიც განხორციელდეს ყველა ჯგუფის კვების პროდუქტებში დიოქსინების ნორმირება, არ უნდა იქნას დაშვებული დიოქსინების შემცველობა იმ პროდუქტებში, რომლებიც განკუთვნილია ბავშვებისათვის. განხორციელდეს კონტროლი იმ საწარმოებზე, რომლებიც წარმოადგენენ უშუალოდ დიოქსინების წყაროს. აუცილებელია მოსახლეობისათვის მისაწვდომი გახდეს ინფორმაცია იმ ნარჩენების წვაზე, რომელიც მიმდინარეობს ღია მოედნებზე. იმისათვის რომ შემცირდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე კვების ჯაჭვით დიოქსინების არასასურველი ზემოქმედების რისკი გატარებული უნდა იქნეს პრევენციული ზომები სახელმწიფო, რეგიონალურ და ინდივიდუალურ დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც მონიტორინგს მოახდენდა დიოქსინების შემცველობაზე კვების პროდუქტებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არ არსებობს სერტიფიცირებული ლაბორატორიული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს დიოქსინების სრულ კონტროლს. ამიტომ სასურველი იქნებოდა შემოღებულ იქნას მოთხოვნები იმ დოკუმენტაციისადმი, რომელიც თან ახლავს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილ პროდუქტებს. ცნობილია, რომ პროდუქტები, რომლებიც ექსპორტირდება განვითარებად ქვეყნებში ხშირად ძალზე იაფია და რეალიზაციას არ ექვემდებარება მწრმოებელი ქვეყნის ბაზარზე. ეს პროდუქტები უმეტესად მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ლიტერატურა

1. მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები. ეროვნული სამოქმედო გეგმა. 2007-2022 წწ. თბილისი. 2006. გვ. 90
2. საქართველოს ქიმიური პროფილი, 2009. გვ. 171
3. Эколого-аналитический мониторинг стойких органических загрязнителей. В.Н.Майстренко, Н.А. Ключев - М.: Бинном. 2004. -323с
4. Reducing and Eliminating the use of Persistent Organic Pesticides. Guidance on alternative strategies for sustainable pest and vector management. Johan Murner, Robert Bos and Marjon Fredrix. Geneva, 2002. p.91
5. PERSISTENT ORGANIC POLLUTANTS. L. Ritter, K.R. Solomon, J. Forget. Canadian Network of Toxicology Centres. Canada
6. Persistent Organic Pollutants. United States Environmental Protection Agency. Washington, DC 20460. EPA160-F-02-001.

DIOXINS CONTENT IN FOOD AND EXISTING REGULATION

Sirbiladze K., Sirbiladze T.,Turkadze Ts

Akaki Tsereteli State University

Summary

Modern conception, a basic principle of forming of potential risk of development of intoxication by dioxins during the use of food products is presented. A level of contaminations of basic food products by indicated toxicants in different countries is given. Influence of processes of products processing, technology of preparation of meal and packing is considered on the changes of content of dioxins



წყალი - სიცოცხლის უსაფრთხოების უაქტორი

სირბილაძე ქ., გამყრელიძე ე., სირბილაძე თ.
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წყალი – ერთადერთი ნივთიერებაა, რომლის გარეშე ცოცხალი ორგანიზმების არსებობა შეუძლებელია. წყალი – საკვების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამიტომ წყლის ხარისხს საკვების მომზადებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ რადონი კარგად იხსნება წყალში და წყალთან ერთად ხვდება საჭმლის მომხელეებელ სისტემაში. ადამიანი ჩაისუნთქავს წყლიდან გამოყოფილ რადონს. ინჰალაციური გზა ადამიანის ორგანიზმისათვის ძალზე საშიშია..

კაცობრიობის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად ითვლება სასმელი წყლის ხარისხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ჯანმრთელობასთან, საკვები პროდუქტების ეკოლოგიურ სისუფთავესთან, სამედიცინო და სოციალური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტასთან. ეკოლოგიური მდგომარეობის მუდმივად გაუარესების და ატმოსფეროს დაბინძურების გამო მიმდინარეიოს წყლის ხარისხის გაუარესება. დღესდღეობით ხდება სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება. ამის ერთერთ მიზეზად ითვლება ეკოლოგიურად დაბინძურებული, სიცოცხლისათვის საშიში წყალი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში უკვე 80 ქვეყანა დგას სასმელი წყლის უკმარისობის წინაშე, ხოლო 31 ქვეყანა - წყლის კრიზისის საშიშროების წინაშე. ეს რაც შეეხება სასმელ წყალს, თუ არ ვიტყვით მისი ხარისხის შესახებ. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით პლანეტის თითქმის 3 მილიარდი მოსახლეობისა გამოიყენებს უხარისხო სასმელ წყალს და ამ მიზეზის გამო პლანეტის ყოველი მეათე მაცხოვრებელი ავადაა, 4 მლნ. ბავშვი და 18 მლნ ზრდასრული ადამიანი იღუპება. დაავადებების 85% გადაეცემა წყლით. განვითარებად ქვეყნებში ყველა დაავადების 80% გამოწვეულია სუფთა წყლის უკმარისობით.

დღესდღეობით შესაძლებელია წყალში აღმოვაჩინოდ: ტყვია, ქლორი, სპილენძი, ნიკელი, დარიშხანი. ეს მანვე ნივთიერებები გროვდება ძვლებში, იწვევს ცვლილებებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, სისხლში, კუჭნაწლავში და აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის დარღვევას. ამცირებენ ფერმენტებისა და ჰორმონების გამომუშავებას. ისინი ახდენენ ნერვული და იმუნური სისტემების პარალიზებას. განსაკუთრებით დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენენ ბავშვის ორგანიზმზე.

ქლორის ნაერთებს (ქლოროფორმი, ქლოროფენოლი, ქლორიდები, ნარჩენი ქლორი და ა.შ.) აქვთ კანცეროგენული და მუტაგენური მოქმედება, გავლენას ახდენენ ადამიანის გენეტიკურ აპარატზე. სასმელ წყალში სპილენძის კონცენტრაციის მომატება იწვევს ღვიძლისა და თირკმლების ღორწოვანი გარსის დაზიანებას, ნიკელის კონცენტრაციის მომატება აზიანებს კანს, ცინკის-თირკმელების, დარიშხნის კი - ცენტრალურ ნერვულ სისტემის.

კვლევებმა გვიჩვენა რომ ქლორისა და მძიმე ლითონების გარდა სასმელ წყალში შეიძლება არსებობდეს ნიტრატები, პესტიციდები, ნავთობპროდუქტები. ხოლო წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემების ცუდი მდგომარეობის გამო სასმელ წყალში შეიძლება იმყოფებოდეს ბაქტერიები - ნაწლავური ჩხირები, პათოგენური მიკროორგანიზმების, ქოლერის ვიბრიონი და სხვ.

წყლის მიღების დაცვეთის გამო, მათი რაოდენობის 50% დაკარგა ჰერმეტიკულობა. მიღების შიგა ზედაპირზე ცხოვრობენ და მრავლდებიან სხვადასხვა ბაქტერიები. იცავენ რა თავს წყლის ქიმიური შემადგენლობის ცვლილებისაგან, შეუძლიათ აწარმოონ ანტიბიოტიკების მიკროდოზები. ჩვენ ვსარგებლობთ ასეთი წყლით და ვკლავთ ნაწლავებში ნაწლავურ მიკროფლორას. ამის გარდა წყალი გაივლის რა დაუანგულ მიღებში ხდება



გაჯერებული რკინის იონებით (მათი დიდი რაოდენობა წარმოადგენს საშიშროებას ადამიანის ჯანმრთელობისათვის).

წყაროების ანალიზისას აღმოჩნდა მათში სელენის,ნიტრატების, და კადმიუმის (ანგრევის დნმ-ის სტრუქტურას, აზიანებს თირკმელებს და ძვლებს), ნავთობპროდუქტების, აზოტის ნაერთების და სხვა მანე ელემენტების მაღალი შემცველობა, რაც ხდის წყაროს წყალს უვარგისად დასაღვეად. ამ წყლების წყაროს წარმოადგენს ატმოსფერული ნალექები და ტექნოგენური წარმოშობის წყლები. წყალი არტეზიული ჭებიდან გაჯერებულია მანე არაორგანული ელემენტებით, მძიმე ლითონების მარილებით, რომელთა კონცენტრაცია მით უფრო მეტია, რაც უფრო ღრმაა ჭაბურღილი.

სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალმომარაგების სისტემები შეიცავენ ბუნებრივ რადონს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანში შეინიშნება რადონის შემცველობის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც აღემატება მის დასაშვებ მაჩვენებლებს. რადონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება იმ წყლებში, რომლებიც შემორეცხავენ დიდი ბზარების შემცველ ქანებს, აგრეთვე იმ კვიშებში,სადაც მოხდა რადიუმის დალექვა კრისტალური ქანებიდან.

თითქმის ყველა მთის ქანი შეიცავს რადიუმს. რადიუმის ბუნებრივი დაშლა იძლევა - რადონს.მთის ქანების სისქეს გააჩნია უნარი გამოასხივოს აირი. ემანაციის კოეფიციენტი მით უფრო მაღალია ,რაც მეტია ქანების ბზარიანობა. რადონის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილიც, რომელიც აკუმულირდება მთის ქანებში,გადადის წყალში. რადონის რაოდენობა წყალში განისაზღვრება რადიუმის რაოდენობით და ემანაციის კოეფიციენტით. მიწისქვეშა წყალი აგროვებს რადონს გეოლოგიური ქანების უდიდესი მასივებიდან. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ რადონის რაოდენობა წყალში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია რადიუმის რაოდენობაზე,ხშირად ათეულ და ასეულჯერ.

სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის არტეზიული ჭაბურღილების წყლების მოხმარების შემთხვევაში ან ჭაბურღილების და სხვა წყაროების წყლების რეალიზაციისას სავაჭრო ქსელის მეშვეობით, აუცილებელია წყლის ყველა წყაროს ან ჭაბურღილს ქონდეს წყლის რადიაციული ხარისხის პასპორტი. წყლის ნიმუშის ანალიზისათვის (1ლ მოცულობით) აღებული უნდა იქნას ჰერმეტიული ჭურჭელი. ანალიზი ტარდება რამდენიმე დღის განმავლობაში აღების მომენტიდან. წყლის ხარისხის შემოწმება უნდა ხდებოდეს არა ნაკლებ 5 წელიწადში ერთხელ. მართალია ამაზე მიუთითებს სტანდარტი,მაგრამ სასურველია ეს მოხდეს წელიწადში ერთხელ.

სახიფათოა თუ არა ^{222}Rn შემცველობა სასმელ წყალში ადამიანის ჯანმრთელობისათვის? როგორც ცნობილია რადონის ზემოქმედება მიღებული წყლიდან ორგანიზმზე განისაზღვრება მისი ინჰალაციური გზით შეღწევით და ფილტვების დასხივებით. დადგენილია, რომ რადონის გადასვლის კოეფიციენტი სასმელი წყლიდან შენობის ჰაერში შეადგენს $(0,5 \cdot 1,0) \cdot 10^{-4}$. თუ რადონის რაოდენობა წყალში შეადგენს ნორმატივების მიხედვით 100 ბკ ლ^{-1} , ეს იძლევა რადონის დამატებით რაოდენობას შენობების ჰაერში, რომელიც ტოლია 10 ბკ მ^3 , რაც რადონის ფონური შემცველობის ტოლია საცხოვრებელ შენობებში.

მხოლოდ რადონის არსებული ნორმატივების უმნიშვნელო გადამეტების დროს წყალში მისი წვლილი დასხივების დოზაში შეიძლება შედარებული იქნას რადონის იმ რაოდენობასთან, რომელიც ამოდის ნიადაგიდან ან სამშენებლო მასალებიდან.

შესაძლებელია თუ არა სასმელ წყალში რადონის შემცველობის შემცირება? წყალმომარაგების ნებისმიერი სისტემისათვის, რომელშიც რადონის შემცველობა დასაშვებზე მაღალია, უნდა იქნას შერჩეული პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც მოიცავენ წყლის კომბინირებულ გამოყენებას ერთზე მეტ წყაროდან (ჭაბურღილიდან), წყლის ახალი წყაროს გამოყენებას, რადონის მოცილებას წყლის აერაციით. წყლის აე-



რაცია იძლევა დაახლოებით 90% ეფექტს. რადონისაგან წყლის გაწმენდის მეორე მეთოდს წარმოადგენს ფილტრების გამოყენება გააქტივირებული ნახშირის საფუძველზე (აღსორბცია). ეს უფრო ძვირად ღირებული მეთოდია. ის გამოიყენება წყლის მომარაგების ერთეული სისტემებისათვის ან შეზღუდული წარმადობის წყალმომარაგების შემთხვევაში. ჩვეულებრივ წყლების რადონისაგან გაწმენდის ეფექტურობა შეადგენს 95-99%. ამ მეთოდს თან ახლავს მთელი რიგი პრობლემები, რაც დაკავშირებულია ფილტრების მოხმარებასთან მაღალაქტიურ წყლებში. მუშაობის დროს წარმოიქმნება γ-გამოსხივება (აუცილებელია რადიაციული უსაფრთხოების გათვალისწინება), რაც საჭიროებს ფილტრების დამონტაჟებას ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანების ყოფნის ალბათობა შეზღუდულია, ხოლო გამოყენებული ფილტრი საჭიროებს უტილიზაციას, ისევე, როგორც რადიაციული, რადგან ფილტრი აღსორბირებს ^{226}Rn და ურანს.

წყლის ფილტრაცია უფრო ქმედითია რადონის მიმართ-რადგან ის ჰაერში გამოედინება. ფილტრაციის შემთხვევაში, ფილტრი აკუმულირებს რადონს, გროვდება მისი შვილეული პროდუქტები, რომლებიც გამა გამოსხივების წყაროს წარმოადგენენ. აერატორის არსებობა წყლის გაწმენდის სისტემაში აუმჯობესებს წყლის გაწმენდის სისტემის მუშაობის ეფექტურობას სხვა მაჩვენებლებითაც - რკინის მიმართ და ურანის მიმართ.

როგორც აღინიშნა, რადონი მიწის წიაღში ურანის დაშლის შედეგად წარმოიქმნება, რომელიც თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ პრაქტიკულად ყველა სახის გრუნტისა და მთის ქანების შემადგენლობაში შედის. დაშლის შედეგად ურანი გარდაიქმნება ^{226}Rn , რომლისგანაც თავის მხრივ წარმოიქმნება ^{222}Rn . ამიტომ კერძო წყალმომარაგების შემთხვევაში ჭაბურღილებს არ უნდა ბურღავდენ იმ გეოლოგიური ჰორიზონტების სიღრმეზე, რომლებიც დიდი რაოდენობით რადიუმს შეიცავენ. რადონი გარკვეული რაოდენობით შეიძლება აღმოჩნდეს ჭებში და საშუალო სიღრმის ჭაბურღილებში, რაც მიუთითებს გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობაზე. განსაკუთრებით მაღალია ურანის შემცველობა (2 მგ/ლ) გრანიტის შემცველ ქანებში. შესაბამისად იმ რაიონებში, სადაც ქანების წარმომქმნელი ელემენტი გრანიტია, მოსალოდნელია რადონის მომატებული შემცველობა, რაც წყლისათვის შეიძლება საკმაო საფრთხესაც კი წარმოადგენდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც სახლის წყალმომარაგებისათვის გამოყენებულია ჭაბურღილები, რადონი სახლში ხვდება წყალთან ერთად და შესაძლებელია მისი დაგროვება მნიშვნელოვანი რაოდენობით სამზარეულოში და აბაზანაში. საქმე იმაშია, რომ რადონი კარგად იხსნება წყალში და მიწისქვეშა წყლების რადონთან კონტაქტისას ხდება მათი სწრაფი გაჯერება რადონით.

პრობლემა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ აირმიმოცვლა არ არის საკმარისი, მაგალითად სახლებში, ან სხვადასხვა შენობებში. ასეთ შემთხვევაში რადონის შემცველობამ ჩაკეტილ შენობაში შეიძლება მიაღწიოს საშიშ კონცენტრაციას. რადგან რადონი შენობაში მიწიდან ხვდება, დასავლეთში შენობების საძირკველის მშენებლობისას რადონსაშიშ რაიონებში ფართოდ არის გამოყენებული სპეციალური დამცველი მემბრანები, რომლებიც ხელს უშლიან რადონის შეღწევას შენობაში. თუმცა ასეთი მემბრანების გამოყენებაც კი არ იძლევა 100% დაცვას რადონისაგან.

აშშ-ში გრუნტის წყლებში რადონის შემცველობა მერყეობს 10-დან 100 ბკ/ლ-მდე, ცალკეულ რაიონებში 100-ზე მეტია, ათასამდეც კი (ბკ/ლ). წყალში გახსნილი რადონი მოქმედებს ორგანოდ. ერთის მხრივ ის წყალთან ერთად ხვდება საჭმლის მომწელებელ სისტემაში, მეორეს მხრივ ადამიანები ჩაისუნთქავენ წყლიდან გამოყოფილ რადონს წყლის მოხმარებისას. იმ მომენტში, როდესაც წყალი ონკანიდან გადმოედინება მისგან გამოიყოფა რადონი, რის შედეგადაც სამზარეულოში ან აბაზანაში რადონის კონცენტრაცია 30-40-ჯერ აღემატება მის დონეს ბინის სხვა ოთახებთან შედარებით. რადონის ინჰალაციური ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე უფრო სახიფათოა მისი ჯან-



მრთელობისათვის.

წყალში რადონთან ბრძოლის საიმედო და შედეგიან მეთოდს წარმოადგენს წყლის გაჰაერება, როდესაც რადონის სრულად გადის წყლიდან. ისინი, ვინც სარგებლობენ მუნიციპალური წყალმომარაგებით რადონის საშიშროება არ ემუქრება, რადგან წყლის გაჰაერება გათვალისწინებული არის ქალაქის წყალგამწმენდ სადგურებში. რაც შეეხება ჭაბურღილების ინდივიდუალური მოხმარებისას საკმარისია გააქტივებული ნახშირის საფუძველზე დამზადებული ფილტრების გამოყენება, რომელსაც შეუძლია წყლისგან 99,7% რადონის მოცილება (თუმცა დროთა განმავლობაში ეს მაჩვენებელი 79% ეცემა. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში სასურველია მუნიციპალური წყალმომარაგების პირობებში ონკანებზე გამოყენებული იქნას სპეციალური ფილტრები გააქტივებული ნახშირის ან სხვა სორბენტის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და რადონის რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას. რა თქმა უნდა სასურველია, რომ აღნიშნული ფილტრები ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის ყველა ფენისათვის, რადგან ისინი დროთა განმავლობაში საჭიროებენ გამოცვლას.

ლიტერატურა

1. Уткин, В.И. Радонвая проблема в экологии [Электронный ресурс] / В.И. Уткин Уральский государственный профессионально-педагогический университет, 2000. Режим доступа: <http://209.85.129.132/search?q=cache:zprKCPOwKBcJ:www.pereplet.ru/nauka/Soros/pdf>
2. G.K. Gillmore, P. Phillips, A. Denman, M Sperrin and G. Pearse. Radon, water and abandoned metalliferous mines in the UK: Environmental and Human Health implications Ecotoxicology and Environmental Safety, 2001, 49, 281
3. Гамкრелидзе Е.А., Сирбиладзе Т.В. Радон в окружающей нас среде. Международная научно-практическая конференция “Инновационные технологии и современные материалы”. Кутаиси, 2013.

WATER IS A FACTOR OF SAFETY OF LIFE

Sirbiladze K., Gamkrelidze L., Sirbiladze T.

A.Tsereteli State University

Summary

Water is the main substance without which the person can't live . Water is the most important component of food. Therefore the huge attention has to be paid to quality of water. It is established that radon is well dissolved in water and gets to the gastrointestinal highway. The person inhales the radon. This way is most dangerous to the person.

BENEFITS OF ZINC SUPPLEMENTATION IN VEGETARIANS

Tukvadze Sh., Kverenchkhiladze R., Kvanchakhadze R., Lomsianidze I.*

Tbilisi State Medical University

*Akaki Tsereteli State University

თუთიით ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტის როლი ვეგეტერიანელთა კვებით რაციონში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2004 წლის მონაცემებით პლანეტის მოსახლეობის თითქმის 20% განიცდის თუთიის მოხმარების დეფიციტს. მიკროლემენტ თუთიის მაღალი შემცველობით ხასიათდება, ძირითადად, ხორცპროდუქტები და თევზი. განვითარებადი



ქვეყნები, სადაც ყოველდღიურ კვების რაციონს შეადგენს მცენარეული და, ნაკლებად – ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ მხრივ ასევე ფრიად საყურადღებოა ისეთი სპეციფიური კონტიგენტი, როგორც არიან ვეგეტერიანელები, რომელთა ძირითად კვებით რაციონს შეადგენს მცენარეული პროდუქტები. რადაბალანსებული კვება ქმნის თუთიადეფიციტური, რკინადეფიციტური და იოდდეფიციტური მდგომარეობების განვითარების რისკს. არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიზანს შეადგენს რეკომენდაცია გაეუწიოთ ფორტიფიცირებულ პროდუქტებს, კერძოდ კი თუთიით გამდიდრებული ჩაის, როგორც თუთია-დეფიციტური მდგომარეობის პროფილაქტიკისა და პრევენციისათვის საკმაოდ ეფექტურ პროდუქტს.

Zinc deficiency is more common than previously thought. In fact, you may be experiencing some zinc deficiency symptoms yourself ☹....

The problem has been known for 40 years and a solution is still outstanding. Despite all the evidence practically no attention has been given to the problem of zinc deficiency by the world's organizations. Growth retardation, increased susceptibility to infectious and cognitive impairment are common in developing countries where nutritional deficiency of zinc is also prevalent(1.,2). Thus a correction of zinc deficiency is likely to have a great impact on the health of a large population in the developing world and it is imperative that the World Health Organization must include this problem on its top priorities!

ღვინოში ნახშირწყლებისა და ორგანული მჟავების შემდეგ საპატიო ადგილს ფენოლური ნაერთები იკავებენ და სწორედ ისინი განაპირობებენ ღვინომასალების ისეთი ტიპობრივი მახვენებლების ჩამოყალიბებას, როგორცაა: - ფერი, გემო, თანგემო, თაიგული, გამჭირვალობა და სტაბილურობა.


ფენოლური ნივთიერებებით მდიდარი ღვინო-სპირტიანი ექსტრაქტების დამატება მართალია მნიშვნელოვნად ზრდის სადესერტო, შემაგრებული და ლიქიორული ტიპის ღვინოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს, მაგრამ პარალელურად იწვევს მათ დაჟანგვასა და შებურვას. თუ ღვინომასალები შეიცავენ 370...375 მგ/დმ³-ზე მეტ საერთო ფენოლებს და 19...20 მგ/დმ³-ზე მეტ ლეიკოანტოციანებს მაშინ ისინი მომეტებული ჟანგვითი პოტენციალით გამოირჩევიან. ანუ ფენოლების მომეტებული რაოდენობა ღვინომასალებში ხასიათდება დადებითი და უარყოფითი ასპექტებით. კერძოდ ფენოლური ნაერთების მომეტებული რაოდენობა თუ ევროპული წესით დამზადებული სუფრის ღვინოებისათვის უარყოფითი მახვენებელია, ლიქიორული ტიპის შემაგრებული ანუ სპეციალური ღვინოებისათვის იგი დადებითი მახვენებელია [4,5].

ფერადი კლონებისა და ჰიბრიდების ყურძნის ნედლეული ფენოლური ნაერთების მომეტებული შემცველობით ხასიათდება და ისინი ყურძნის კანსა და წიპწაში ძირითადად ფენოლმჟავებისა და ფლავონოიდების (P-ვიტამინური აქტივობის ფენოლების) სახითაა წარმოდგენილი [1,2,3, 5].

წიპწისა და კანის ბიოფლავანოიდებს და მათ შორის რესვერატროლს ძლიერი ანტიოქსიდანტური აქტივობა გააჩნია, რითაც იგი დაახლოებით 50-ჯერ აჭარბებს ისეთ ძლიერ ანტიოქსიდანტს, როგორც E - ვიტამინი და დაახლოებით 20-ჯერ კი C - ვიტამინს. გარდა ამისა ბიოფლავანოიდებს შესწევთ უნარი დაიცვან ყველა ვიტამინი თავისუფალი რადიკალების დამანგრეველი მოქმედებიდან, მაგრამ ეს სრულებით არ



ნიშნავს იმას, რომ ბიოფლავანოიდებს შესწევთ უნარი შეცვალონ ვიტამინები. პირიქით ბიოფლავანოიდები სელენტან, ცინკთან და ვიტამინებთან ერთად ჯერადობით ზრდიან ლიქიორული ღვინოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ ეფექტსა და პოტენციალს.



	SampleName	Acq Method Set	Injection Volume	Channel Description	ColumnType
2	wibwis eqstraqti	flavonoidi 280360 06	10.00	W2489 ChB 360nm	C 18
2		40			

სურ.1. „ოჯალემის კლონის“ წიაჭის ექსტრაქტის ფლავანოიდების ქრომატოგრამა.


ყურძნის წიაჭის ექსტრაქტების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული სასმელების სისტემატიური მიღება იცავს ადამიანებს მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან, აუმჯობესებს მხედველობას, ხსნის ქრონიკული დაღლილობის სინდრომს და ხელს უწყობს მოძრაობის სიმსუბუქეს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ამცირებს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქანგვას და შესაბამისად გულსისხლძარღვთა და სიმსივნური დაავადებების ჩამოყალიბების რისკს (მათ შორის ლეიკემიას).

ჩვენი კვლევის ობიექტს ბაღდადის რეგიონში კულტივირებული ვაზის წითელი, უწამლი კლონების „ჯვარისას“, „ღირბულას“, „იზაბელასა“ და „ოჯალემის“ ყურძნის ნედლეული წარმოადგენდა. კონტროლისათვის კი ავიღეთ ლიქიორული ტიპის სადესერტო წითელი ღვინო „სალხინო“.

კვლევის მიზანს შეადგენდა:

- ა) უწამლი კლონების წიაჭიდან და კანიდან ფლავონოიდების ექსტრაქციის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა.
- ბ) ასკილიდან ასკორბინმჟავას სპირტიანი ექსტრაქტების მიღება.
- გ) წიაჭისა და ასკორბინმჟავას ექსტრაქტების გამოყენებით ლიქიორული ტიპის წითელი ღვინის ინოვაციური ტექნოლოგიის დამუშავება.
- დ) ლიქიორული ღვინის წიაჭზე დავარგების მეთოდის შემუშავება.
- ე) ენსორული მაჩვენებლების ამოღება.

ჩვენს მიერ შერჩეული ფერადი ყურძნის უწამლი კლონების ყურძნის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები, კულტივაციის ადგილისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით ლიტერატურაში არ არსებობს, ამიტომ საჭირო იყო მათი შესწავლა.



სურ.2. ლიქიორული ტიპის წითელი ბიოღვინის დამზადების ტექნოლოგიური სქემა

ლიქიორული ტიპის ბიო-ღვინის სამკურნალო-პროფილაქტიკური პოტენციალის ამაღლებას განაპირობებს-წითელი ყურძნის უწყამლი კლონების ნედლეულის გამოყენე-



ბა, რომელთა შეწამლისათვის ვეგეტაციის პერიოდში არ გამოიყენება არანაირი შხამქიმიკატები; ყურძნის ტკბილის დაწდომა-გასუფთავებისათვის არ ვიყენებთ SO₂-სა და სხვა ფლუკოლიანტებს (დაწდომა-გასუფთავება უმჯობესია მოვახდინოთ ცენტროფუგირებითა და სიცივით); წიპწის ღვინო-სპირტიანი ექსტრაქტებით ვამდიდრებთ ლიქიორული ღვინის ფენოლურ კომპლექსს: დაძველების პროცესში, საწყის ეტაპზე ღვინომასალებს ვამატებთ გამშრალ წიპწას; ასკილის ღვინო-სპირტიანი ექსტრაქტებით ვზრდით ლიქიორულ ღვინოში C-ვიტამინის შემცველობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ლიქიორული ღვინის ფენოლური კომპლექსის დაუანგვის პოტენციალს.

ჩატარებული კვლევების ანალიზმა გვაჩვენა, რომ გასუფთავებული და გამშრალი წიპწისა და ასკილის ღვინო-სპირტიანი ექსტრაქტები უმჯობესია მიღებული იქნას დაქუცმაცების გარეშე, რადგანაც რიგი მეცნიერების კვლევებით დასტურდება, რომ დაქუცმაცებული წიპწიდან მიღებული ექსტრაქტები ნაკლებად ფლობს სამკურნალო-პროფილაქტიკურ პოტენციალს [4,5].

უწამლი კლონებიდან მიღებული ლიქიორული ბიო-ღვინის ანალიზიდან ჩანს (იხ.ცხრ. 1), რომ მასში ფენოლური კომპლექსის ჯამური რაოდენობა მკვეთრად მეტია საკონტროლო ნიმუშთან შედარებით. შედარებითი ანალიზიდან ირკვევა მნიშვნელოვანი სხვაობა ფლავონოიდების, ფენოლკარბომჟაეების და კატექინების შემცველობებს შორის ჩვენი ტექნოლოგიით დამზადებულ სადესერტო-ლიქიორულ ღვინო „ნიკალასა“ და საკონტროლო ნიმუშის ანალიზიურ მაჩვენებლებს შორის.

ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მატება საცდელ ნიმუშებში მნიშვნელოვნად ამაღლებს არა მარტო ლიქიორული ბიო-ღვინის სამკურნალო-პროფილაქტიკურ პოტენციალს, არამედ ზრდის მის ანტიოქსიდანტურ აქტივობას, მასში შედარებით გამოხატულია ჯუშური არომატი, ღვინის ტიპისათვის დამახასიათებელი თვისებები და სენსორიკა.

ცხრილი 1.

ფენოლური ნაერთების შემცველობა საკონტროლო და საცდელ ნიმუშებში

ფენოლური ნაერთების შემცველობა, მგ/დმ ³	შემაგრებული სადესერტო ღვინო, საკონტროლო	სადესერტო-ლიქიორული ტიპის წითელი ბიო-ღვინო „ნიკალასა“
საერთო ფენოლები	2 740	3056
ანტოციანები	355	521
ფენოლკარბომჟაეები	265	478
კატექინები	264	491
ფლავონოიდები	11,9	24
ვანილინი	1,63	2,11
(+) - კატექინი	51,9	81,2
(-) - ეპიკატექინი	122,1	139,7
ხლოროგენის მჟავა	1,18	1.71
ვანილის მჟავა	0,39	2.11
სინაპის მჟავა	213,1	326,1
t-დარიინის მჟავა	5,94	7,82

საცდელ ნიმუშებში ფენოლური კომპლექსის რაოდენობრივი მატება განპირობებულია ლიქიორული ღვინის წიპწაზე დაძველებითა და ფენოლური ნაერთებით გამდიდრებული წიპწის ღვინოსპირტიანი ექსტრაქტების გამოყენებით. ამასთან ასკილის ღვინოსპირტიანი ექსტრაქტი ასკორბინმჟავას მაღალი შემცველობის გამო ამცირებს ფენო-



ლური ნაერთების დაუნგვას შენახვა-დაძველების პროცესში. ზემოთ დასახელებლი მოვლენები ზრდიან საცდელი ბიო-ღვინის ანტიოქსიდანტურ ეფექტს და აუმჯობესებს მის საგემოვნო მახასიათებლებს. შესაბამისად საცდელი ნიმუში შედარებით მუქი შეფერილობითა და უკეთ გამოხატული თაიგულითა და ჯიშური არომატით ხასიათდება. შესაბამისად მისი სადგეუსტაციო შეფასება საკონტროლოსთან შედარებით მაღალია.

ჩატარებული სამუშაოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების წარმოება მეტად აქტუალურია და მნიშვნელოვანია.

ლიტერატურა

1. ნ. ბაღათურია, ნ. ბეგიაშვილი - ღვინის ექსპერტიზა. თბილისი. ტექ. უნივერსიტეტი. 2013.
2. Интернет-журнал «коммерческая биотехнология» -Cbio.ru.Bio.
3. ნებელაშვილი, მ.გულიაშვილი, თ.ასაშვილი, ნ.მელანაშვილი სხვადასხვა ტექნოლოგიით დამზადებული სუფრის მშრალი წითელი ღვინოების პოლიფენოლები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი. 2010. გვ 30...31.
4. დურმიშიძე ც., ხაჩიძე ო. ვაზის ბიოქიმია „მეცნიერება“. თბილისი 1985.
5. Шатиришвили И.Ш. Хроматография грузинских вин. Тбилиси, Ганатлеба, 1988, 170 с.

THE PRODUCTION OF LIQUER-TYPE BIO-WINE PRODUCTION

Gvinianidze T., Botera D.*, Mamrikhishvili L.

Akaki Tsereteli State University

*State university of Haifa

Summary

The production of liqueur-type bio-wine production is manufactured and studied at food Technology Department at Akaki Tsereteli State University. We have ascertained the physical and chemical characteristics and best qualities of coloured clones of ~Dirbula”, ~Jvarisa”, ~Ojaleshi” and ~Isabela” in Imereti wine _growing.

We have also ascertained the extract of grape-stone and sweetbrier and the usage of liqueur-type wine in technology. liqueur type Wines of technology in the gradual application of the methods and the wines are mixed in oak barrels on aging recommendations.

ОПРЕДЕЛЕНИЕ ЛАКТОЗЫ В ГИДРОЛИЗОВАННЫХ МОЛОЧНЫХ СМЕСЯХ ЙОДОМЕТРИЧЕСКИМ МЕТОДОМ

Шуляк Т. Л., Глушаков М. А.

Могилевский государственный университет продовольствия

Разработаны формулы расчета массовой доли остаточной лактозы и степени гидролиза лактозы в молочных смесях, в том числе с повышенным содержанием сухого обезжиренного молочного остатка (СОМО), применительно к йодометрическому методу. Полученные формулы являются универсальными, поскольку позволяют рассчитать эти показатели в низколактозных молочных смесях с любым содержанием сухого обезжиренного молочного остатка и лактозы в любой контролируемый промежуток времени.

Молочные продукты являются привычной и важной частью питания каждого человека на протяжении всей его жизни. Наиболее ценным углеводом молока является лактоза. Она полезна и способствует всасыванию в кишечнике кальция и других минеральных веществ, а также развитию благоприятных для организма молочнокислых бактерий. Но для того чтобы лактоза приносила пользу, необходимо, чтобы она полностью усваивалась. Этому способствует содержащийся в организме человека фермент лактаза (β-галактозидаза). С его помощью лактоза расщепляется на



простые сахара – глюкозу и галактозу, и в таком виде легко усваивается. Однако многие люди страдают непереносимостью лактозы, это связано с пониженным образованием фермента лактазы в кишечнике или недостаточной его активностью. При этом у человека возникают острые желудочно-кишечные расстройства. В результате человек вынужден сократить употребление или совсем исключить из своего рациона молоко и молочные продукты, что неприемлемо, так как эти продукты являются естественными и наиболее полноценными /1/.

В связи с этим в настоящее время одним из актуальных вопросов молочной промышленности является разработка низколактозных молочных продуктов для людей, страдающих непереносимостью лактозы. Создание и внедрение технологий низколактозных продуктов требует разработки эффективных методов контроля уровня лактозы в этих продуктах на любом этапе технологического процесса.

Арбитражным методом определения массовой доли лактозы в молоке и молочных продуктах является йодометрический метод. Этот метод не требует дорогостоящих реактивов и оборудования, достаточно прост в исполнении. В связи с этим целью работы явилась разработка формулы расчета массовой доли остаточной лактозы в молочных смесях после проведения процесса гидролиза лактозы ферментом β -галактозидазой применительно к йодометрическому методу. Опубликованная ранее формула расчета остаточной лактозы противоречива и не дает положительный результат /2/.

Йодометрический метод основан на способности альдоз окисляться щелочным раствором йода, который с избытком вносится в реакционную смесь. По разнице объемов тиосульфата натрия, пошедшего на титрование избытка йода в контрольной пробе (водный раствор, не содержащий лактозу) и опытной пробе, рассчитывают массовую долю лактозы в исследуемой молочной смеси.

Если принять, что при полном гидролизе лактозы в молочной смеси количество альдегидных групп увеличивается вдвое, то вдвое увеличивается и разность между объемами тиосульфата натрия в контрольной и опытной пробах.

На основании этого нами была разработана формула, которая позволяет определять массовую долю остаточной лактозы в гидролизованной молочной смеси в любой контролируемый промежуток времени:

$$L_{ост} = L \times \left(1 - \frac{V_1 - V_0}{V_{хол} - V_1}\right),$$

где $L_{ост}$ – массовая доля остаточной лактозы в гидролизованной молочной смеси, %;

V_1 - объём раствора тиосульфата натрия, пошедший на титрование избытка йода в пробе с фильтратом исходной молочной смеси, см³;

V_0 - объём раствора тиосульфата натрия, пошедший на титрование избытка йода в пробе с фильтратом молочной смеси, гидролизованной в течение контролируемого времени, см³;

$V_{хол}$ - объём раствора тиосульфата, пошедший на титрование избытка йода в контрольной пробе (вода), см³;

L - массовая доля лактозы в исходной молочной смеси, %.

Степень гидролиза лактозы можно рассчитать по следующей формуле:

$$C = \frac{L - L_{ост}}{L} \times 100,$$

где C – степень гидролиза лактозы, %;



L – массовая доля лактозы в исходной молочной смеси, %

$L_{ост}$ – массовая доля остаточной лактозы в гидролизованной молочной смеси, %;

Для проверки возможности использования йодометрического метода в определении остаточной лактозы провели серию опытов по гидролизу лактозы в молочных смесях с различным содержанием сухого обезжиренного молочного остатка (СОМО). Такие смеси используются в производстве йогуртов. Смеси для проведения опытов готовили следующим образом. Обезжиренное молоко подогревали до температуры 40°C, восстанавливали в нем сухое обезжиренное молоко (СОМ) в концентрациях от 5 до 10%, тщательно перемешивали и выдерживали в течение 30 мин. Затем смеси фильтровали, пастеризовали при температуре 90±2°C с выдержкой 20с, затем охлаждали. Для гидролиза лактозы использовали ферментный препарат Maxilact L2000 в количестве 0,4%, ферментацию осуществляли при температуре 40°C с выдержкой 2 и 4 ч. По окончании выдержки в образцах молока определяли массовую долю лактозы и рассчитывали степень её гидролиза. Полученные данные представлены в таблице 1.

Таблица 1

Степень гидролиза лактозы в исследуемых молочных смесях

Концентрация СОМ, добавляемого в ОБМ, %	Массовая доля СОМО в исходной смеси, %	Массовая доля лактозы в исходной смеси, %	Массовая доля остаточной лактозы в гидролизованной смеси, %		Степень гидролиза лактозы, %	
			через 2 ч	через 4 ч	через 2 ч	через 4 ч
5	12,3	6,91	2,93	2,48	65,1	67,5
6	13,1	7,35	2,84	2,36	66,0	69,0
7	14,0	7,73	2,73	2,29	67,1	69,4
8	14,8	8,43	2,58	2,17	67,8	69,8
10	16,6	9,20	2,02	1,86	68,3	71,4

Как видно из таблицы 1, полученные формулы для расчета степени гидролиза лактозы и массовой доли остаточной лактозы являются универсальными, поскольку позволяют рассчитать эти показатели в низколактозных молочных смесях с любым содержанием СОМО и лактозы в любой контролируемый промежуток времени (этап процесса гидролиза).

Для проверки результатов, полученных йодометрическим методом, в гидролизованных молочных смесях определяли массовую долю остаточной лактозы также методом ВЭЖХ. Получены сходимые результаты, что подтверждает достоверность выполнения измерений йодометрическим методом.

Литература

- 1 Ферментная обработка молока или еще раз о лактозе [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.milkbranch.ru>.
- 2 Охрименко О.В. Определение лактозы в молочных смесях / О.В. Охрименко, В.И. Носкова, И.М. Бурькина // Молочная промышленность. – 2006. – №8. – С.56.

THE DETERMINATION OF LACTOSE IN HYDROLYZED MILK FORMULAE BY IODOMETRIC METHOD

Shulyak T., Glushakov M.
Mogilev State University of Food
Summary

As applied to the iodometric method, there have been developed the formulae for calculating the weight fraction of residual lactose and the degree of hydrolysis of lactose in milk formulae, including in the high milk solids non-fat (MSNF).

The derived formulae are universal since they allow to calculate these figures in the low-lactose milk formulae with any content of lactose and non-fat milk solids at any controlled time period.



ოთახის ლიმონის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

ჩიკაშუა ქ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

საოჯახო კულტურისათვის, ციტრუსოვნებიდან, ბიოლოგიური თავისებურების გამო, უფრო მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ საკუთარფესვიანი ლიმონი, რადგან მათი ვარჯი და ფესვები თანაბარ მოთხოვნილებას უყენებს გარემო პირობებს.

მცენარის განვითარებისათვის, გამოსავლიანობის გადიდებისათვის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის, მეტად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ორგანული სასუქით კვება, რომელიც შეიცავს მცენარისათვის შესათვისებელი ფორმის თითქმის ყველა საჭირო საკვებ ნივთიერებას.

ციტრუსებს, როგორც მარადმწვანე და ლამაზი ვარჯის მქონე მცენარეს, უძველესი დროიდან იყენებდნენ დეკორაციული დანიშნულებისათვის, ამასთან შესაძლებელია მივიღოთ დიეტური და სამკურნალო მნიშვნელობის ხილი.

საოთახო კულტურისათვის ციტრუსოვნებიდან, ბიოლოგიურ თავისებურებათა გამო, უფრო მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ ლიმონი. ოთახის ლიმონის უპირატესობა ის არის, რომ იგი ამტანია, აქვს მარადმწვანე ფოთლები, სასიამოვნო სუნი, გამოყოფს ეთერზეთებს, რაც ხელს უწყობს ატმოსფეროს გაჯანსაღებას.

თემის აქტუალობა: გაუმჯობესებული ნიშან-თვისების მქონე მცენარის მისაღებად, ახალი ხერხებისა და მეთოდების ძიება, ფორმათა წარმოქმნის ღრმა აგრობიოლოგიურ თავისებურებათა გამოვლენა: ჰაერის მშრალი პირობებისადმი გამძლე და მზის სხივების ნაკლები მომთხოვნი ლიმონის მცენარის მიღება, რომელიც ხასიათდება კარგი შეფოთილი ვარჯით და ნაკლები ეკლიანობით დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის აქტუალური საკითხია

კვლევის მიზანი და ამოცანები: მცენარის კარგად განვითარებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის მეტად მოსახერხებელ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ორგანული სასუქებით კვება, რომელიც შეიცავს მცენარისათვის შესათვისებელი ფორმის თითქმის ყველა საჭირო საკვებ ნივთიერებას.

კვლევის შედეგები: ოთახის პირობებში საუკეთესო შედეგები მოგვცა დაკალმებული საკუთარფესვიანმა ლიმონმა. მათი ვარჯი და ფესვები გარემო პირობების თანაბარ მოთხოვნილებას უყენებენ. ასეთი ცენარეები ადრე იწყებენ ვეგეტაციას, თბილ ოთახში, სადაც ჰაერის ტემპერატურა +12⁰-ზე მაღალია. ნორმალურად ვითარდებიან, ინარჩუნებენ ფოთლებს, ყვავილაბსა და ნასკვებს.

ავვისტოს თვეში შევარჩიეთ ლ.მეიერის სადედე მცენარეები, დასაკალმებლად ოთხ-ხუთ კვირტიანი კალმები გამოვიყენეთ 10-12სმ სიგრძის. დაკალმება ჩავატარეთ სპეციალურად მოწყობილ რკინის კარკასის ქვეშ, დასაკალმებლად, ქოთნებად გამოვიყენეთ პოლიეთილენის ბოთლების გადანაჭერი, სათანადო დრენაჟის მოწყობით. მოვამზადეთ სუბსტრატის 3 ვარიანტი. კალმებს ვამუშავებთ სხვადასხვა კონცენტრატის ხსნარში.

1. – შაქრიანი წყალი.
2. – KMnO₄ ხსნარი
3. – ჩვეულებრივი წყალი.

თითოეულ ხსნარში კალმებს ვაჩერებდით 12 საათის განმავლობაში.

დახურულ სივრცეში ნიადაგის სუბსტრატის ტემპერატურე მერყეობდა 22-26⁰-ფარ-



გლებში, ჰაერის ტემპერატურა 28-30⁰ შეფარდებითი ტენიანობა 80-90%. დაკალმებული 300 ლიმონის კალმიდან დაილუპა 42 ცალი. დაკალმებიდან 45-50 დღის შემდეგ კალმების ქვედა გადანაჭერზე განუვითარდათ კალუსი, ხოლო ერთეულ კალმებზე შეინიშნებოდა ერთეული ფესვების წარმოქმნა. პოლიეთილენის ქვეშ ტემპერატურა +10⁰ ქვემოთ არ დაცემულა. მცენარის ნერგები არ დაღუპულა. 15 აპრილიდან დარგვა დავიწყეთ შესაფერის ქოთნებში. ქოთნებში მიწის ნახავი ასეთია: ნეშომპალა + წითელი მიწა + გადამწვარი ნაკელი, 5 : 5 : 3 შენცველობით. დარგვის შემდეგ ვაწარმოებთ და ქოთნებს ვდგამთ თბილ და დაჩრდილულ ადგილას.

ლიმონის მიწა სწრაფად იფიტება, მცენარეები საჭიროებენ ხელოვნურ კვებას. მეტად უნივერსალურ სასუქს ნაკელწყალი წარმოადგენს, რომელიც შეიცავს მცენარისათვის შესათვისებელი ფორმის თითქმის ყველა საჭირო საკვებ ნივთიერებებს. ნაკელწყალს ვამზადებთ თავდია ჭურჭელში, ვერით ჭურჭლის ნახევარზე პირუტყვის ახალ ნაკელს, ვავსებთ წყლით და ვდგამთ თბილ ადგილას დაღულების მიზნით. ყოველდღე ვურევთ. დუდილის დამთავრების შემდეგ 7-10 დღეს ვასუფთავებთ და ვდგამთ თბილ ადგილზე. ვამზადებთ 10% - იან ხსნარს. აკელწყალის შეტანამდე ქოთნის ნიადაგი წინასწარ მორწყული უნდა იყოს. ხსნარით მორწყვას ვეგეტაციის დაწყების შემდეგ ვაწარმოებთ ადრე გაზაფხულზე.

დასკვნა: კვლევის შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოთახის პირობებში საუკეთესო შედეგი მოგვცა დაკალმებულმა საკუთარფესვიანმა ლიმონმა. დაფესვიანების მაღალი პროცენტი აღინიშნა, შაქრიანი წყლით დამუშავებულ ლიმონის კალამზე, რომლის სუბსტრაქტი პირველ ვარიანტში იყო მოთავსებული: ბალის წითელი მიწა + გადამწვარი ნაკელი + მდინარის სილა.

ორგანული სასუქების გამოყენება მეტად ეფექტურია, მხოლოდ კვირაში ერთხელ. შასუქების შეტანას ვწყვეტთ სექტემბერში.

სასუქების, როგორც სიჭარბემ ასევე ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მცენარის დაკნინება.

ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1975წ
2. ი.ლეკვეიშვილი. ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული ხეხილი. თბილისი 1960წ
3. მ.მჭედლიძე. ლიმონის კულტურა კასრში. თბილისი. განათლება 1970წ
4. ო.ონიანი. აგროქიმი. თბილისი. განათლება 1983წ.

TECHNOLOGY OF CARE-ALIGNING OF THE ROOM'S LIMON

Chikashua Q.

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

Summary

For the room crop from the citricplants, for their biological originality, advisability, used ownrooted lemon, because their roots are adaptation environment conditions.

For the development of plant, production of the acological product, is very good to feed with the origanical fertilization, wich components are good for the plants.



ბალზამ „გრალის“ შემადგენელი მცენარეული ნაკრების ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრა და მისი ცვლილება შენახვის პროცესში

ცქიფურიშვილი თ, მელქაძე რ, ცაგარეიშვილი დ.
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განსაზღვრულია ბალზამ „გრალის“ შემადგენელი მცენარეული კომპონენტების ქიმიური შემადგენლობა, შესწავლილია მისი ცვლილება შენახვის პროცესში. აგრეთვე შემუშავებულია ფლავონოიდების რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდიკა და მოყვანილია მისი მეტროლოგიური მახასიათებლები.

კვებისა მრეწველობის წინაშე მდგარ ამოცანათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვანს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების უფრო სრული, რაციონალური გამოყენება და წარმოებული სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოება.

ველური ფლორის მცენარეები დიდ როლს თამაშობს ადამიანის მცენარეულ პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობასა და მედიცინაში. საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება ისეთ მრავალკომპონენტიან და რთული სუბსტანციების შემუშავებას, როგორცაა ბალზამები.

როგორც ცნობილია, ბალზამები წარმოადგენენ სხვადასხვა საკვებ – სამკურნალო მცენარეების გამონაწვლილს რიგი კვებითი კომპონენტების დანამატებით და გარკვეულად განეკუთვნებიან, როგორც საკვებ, ასევე საკვებ – სამკურნალო დანიშნულების პროდუქტებს. ცხადია, რომ მათი ბიოლოგიური მოქმედების სპექტრის შეფასებისათვის და სასურსათო უსაფრთხოებისათვის აუცილებელია შემადგენელი კომპონენტების და მზა პროდუქციის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრისა და კონტროლის მაღალეფექტური და საიმედო მეთოდების შემუშავება.

კვლევები ვაწარმოეთ საკვებ-სამკურნალო ბალზამ „გრალის“ მაგალითზე.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ბალზამების მცენარეული კომპონენტებისა და მზა პროდუქციის ძირითად მოქმედ ნივთიერებათა განსაზღვრის და კონტროლის მაღალეფექტური მეთოდების შემუშავება, ბალზამების სუბსტანციების გამოკვლევა, მოქმედ ნივთიერებათა განსაზღვრის მეთოდების შემუშავება, ქიმიური ნივთიერებების შემცველობის დინამიკის შესწავლა შენახვის პროცესში და საკონტროლო მაჩვენებლების ნორმების დადგენა.

ბალზამ „გრალის“ შემადგენელი კომპონენტები განეკუთვნება არატოქსიკურ საკვებ – სამკურნალო მცენარეებს. ისინი წარმოადგენენ ორგანული და არაორგანული წარმოშობის ათასობით ნივთიერებების წყაროს ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების ფართო დიაპაზონით.

ბალზამი „გრალის“ შედგება „რთული ნაყენისა“ და „მცენარეული ნედლეულის ნაკრებისაგან“.

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ მცენარეული ნაკრების აქტიური ნივთიერებების ძირითად ჯგუფად გვევლინება ფენოლური ნაერთების კომპლექსი: ფლავონოიდები, არბუთინი, სალიდროზიდი, კუმარინები, ლიგნინები, ტრიტერპენული საპონინები და ა.შ. (ცხრ.1)

განსაზღვრულია მცენარეული ნაკრების ქიმიური შემადგენლობის ცვლილება შენახვის პროცესში. (ცხრ.2).



ცხრილი 1

ბალზამ „გრაალის“ მცენარეული ნაკრები კომპონენტების ქიმიური შემადგენლობა.

მცენარეული ნაკრების დასახელება	ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები	
	ძირითადი	თანამდევნი
ბერძნული კაკლის ფოთლები	ოქსინაფტოქინონი, იუგლონი, ტანი-ნები-4-5%	ფლავონოიდები, ტერპენოიდები, ინოზიტი
კავკასიური დეკას ფოთლები	ტანიინები 5-14%, ფლავონოიდები.	ორგანული მჟავები, ვიტამინი C
ხურმის ფოთლები	შემკვრელი ნივ-ბი 1,5-4,3% ალფატიურონიები, პოლიფენოლების კომპლექსი	ტერპენოიდები, ორგანული მჟავები
ლელვის ფოთლები	კუმარინები, ეთერზეთები, ფლავონოიდები, მათ შორის რუთინი	ტრიტერპენოიდები, შემკვრელი ნივთიერებები 2 %-მდე
ორთოსიფონის ფოთლები	ტრიტერპენული საპონინები	ორგანული მჟავები, სტეროიდები, შემკვრელი ნივთიერებები 5-6 %-მდე
პოლ-პალას ბალახები	ფლავონოიდები - კემპფეროლის წარმოებული	პოლისაქარიდები, მჟავები
მწვანე ჩაი	შემკვრელი ნივთიერებები 28%-მდე, კატექინები, კოფეინი 5%-მდე	ეთერზეთები, ვიტ. C, ნიკოტინის და სხვა მჟავები
მუხის ქერქი	ტრიტერპენული საპონინები	ნახშირწყლები, სტერინები, ვიტამინები
ვენშენის ფოთლები	ტრიტერპენული საპონინები	ფლავონოიდები, ტრიტერპენოიდები, სტეროიდები
ელეუტეროკოკის ფესურები	სტეროიდები, ლიგნინები	იზოკუმარინები, ეთერზეთები, მჟავები
ფეიხოსას ნაყოფი	ორგანულად შეკავშირებული იოდი	პექტინები, ეთერზეთები, ორგანული მჟავები

ცხრილი 2

ბალზამ „გრაალის“ მცენარეული ნაკრების ქიმიური მაჩვენებლები და მათი ცვალებადობა შენახვის პროცესში (5 სერიის საშუალო)

სერიის №	მაჩვენებლების დასახელება						
	ფლავონოიდები%	არბუთინი%	ექსტრაქტიული ნივთიერებები %	ტენიანობა %	საერთო ნაცარი %	უხსნადი ნაცარი %	შენახვის ხანგრძლივობა თვე
	0,73	0,21	29,69	10,40	11,82	2,96	-
1	0,71	0,22	29,92	9,92	12,0	3,06	6
2	0,72	0,21	29,74	9,91	12,0	2,98	12
3	0,71	0,22	29,68	9,86	11,96	3,02	18
4	0,70	0,21	29,94	9,58	12,04	3,02	24
5	0,71	0,22	29,71	9,54	12,02	3,0	30

მცენარეული ნედლეულის ნაკრების შენახვის ოპტიმალურ ვადად დადგენილია 3 წელი.

ჩაგატარეთ გამოკვლევა ფლავონოიდების შემცველობაზე. შემუშავებულია ფლავონოიდების რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც დამყარებულია ალუმინქლორთან კომპლექსწარმოქმნის რეაქციის შემდგომ გადაანგარიშებისა რუთინზე [1, 2].



შემუშავებული მეთოდის მეტროლოგიური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 3–ში.

ცხრილი 3

ბალზამ „გრაალის“ მცენარეულ ნაკრებში ფლავონოიდების რაოდენობრივი განსაზღვრის მეტროლოგიური მახასიათებლები

ცდის №	მონა-ცემები	f	\bar{X}	p,%	t _(p,n)	s	ε
1	0,93	0	0,89	95	2,57	0,02915	3,764
2	0,87	1					
3	0,87	2					
4	0,90	3					
5	0,86	4					

ამრიგად, შესწავლილია ბალზამი „გრაალის“ მცენარეული ნაკრების ქიმიური შეადგენლობა და მისი ცვლილების დინამიკა შენახვის პროცესში. შემუშავებულია ფლავონოიდების განსაზღვრის მეთოდი და ნაჩვენებია მისი მაღალი მეტროლოგიური საიმედოობა, გაზომვის ცდომილების არაუმეტეს 3,76 % სიდიდით.

ლიტერატურა

1. Tinctura composita pro balsamo „Graal“. ΦC490/00 Грузии-2000.
2. Species pro balsamo „Graal“. ΦC489/00 Грузии-2000.

DETERMINATION OF CHEMICAL COMPOSITION OF VEGETABLE COMPONENTS OF THE BALM “GRAAL” AND ITS CHANGE DURING STORAGE

Tskipurishvili T., Melkadze R., Tsagareishvili D.

Akaki Tsereteli State University

Summary

The paper dwells on studies of chemical composition of vegetable components of the balm “Graal”, as well as its changing dynamics during storage. The period of three years is established as an optimal storage period. There are also considered the metrological characteristics of determination of the amount of flavonoids. There is shown high metrological reliability, and the measurement error does not exceed 3,76%.

მშრალი (ხილის) უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგია

ძნელაძე გ., ხუციძე მ.*

შპს “გეოპლანტი”, *შპს „გეო-ფლაუერი“

შესწავლილი იქნა ზოგიერთი სახის ადგილობრივი ველური წარმოშობის მცენარეული ნედლეულის ბაზაზე მშრალი სასმელების მიღების შესაძლებლობა. ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეული, რომლებიც მალფუჭებადია, მისგან ტექნოლოგიური გადამუშავებით შესაძლებელი ხდება მიღებული იქნას ხანგრძლივი შენახვის პროდუქტები, რომლებშიც მაქსიმალურადაა შენარჩუნებული ნედლეულში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. ამასთან დაკავშირებით დამუშავდა სასმელის მიღების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს: ნედლეულის დამზადებას, ნედლეულის დამუშავებას შრობისათვის, ნედლეულის შრობას და ნახევარფაბრიკატის დაფასობას.

საქართველო, თავისი გეოგრაფიული, ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების წყალობით, ოდითგანვე ცნობილია ველური წარმოშობის საკვებ-სამკურნალო ნედლეულის მრავალფეროვნებით, რომლებიც უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა, როგორც სა-



სურსათო პროდუქტებად, ასევე სხვადასხვა სახის დაავადებათა სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებისათვის. აღსანიშნავია ის, რომ ბოლო წლებში მსოფლიო ჯანდაცვის სპეციალისტთა მიერ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ისეთი ყოველდღიური კვების პროდუქტების ტექნოლოგიების შექმნა-დამუშავებაზე, რომელთა საწარმოებში ბაზად გამოყენებული იქნება, როგორც კულტურული, ასევე ისტორიულად ცნობილი ველური წარმოშობის საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეული (1, 2). მოცემული ნაშრომი ეძღვნება აღნიშნული მიმართულებით კვლევითი მუშაობის ჩატარებას და ის აქტუალურია ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, ქვეყანა, რომელსაც უდიდესი რეზერვი გააჩნია აუთვისებელი ველური წარმოშობის საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის სახით.

კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდიკა: კვლევის მიზანია ადგილობრივი ველური საკვებ-სამკურნალო მცენარეების (ფურისულა, ანწლი, მოცვი, ასკილი, გარეული ვაშლი და მსხალი) ბაზაზე მშრალი უაღკოპოლო სასმელების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება და სასმელების სამომხმარებლო-საგემოვნო თვისებების გამოკვლევა. ექსპერიმენტი ტარდებოდა ამბროლაურში არსებულ შპს „გეო-ფლაურის“ საწარმოში, საკვლევი ნედლეული მზადდებოდა რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე. კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად ვსარგებლობდით ლაბორატორიული ხელსაწყოებითა და არსებული მანქანა დანადგარებით. ნედლეული, ნახევარფაბრიკატი და მზა პროდუქტი ისწავლებოდა ორგანო-ლექტიკური და ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით (3).

ექსპერიმენტის შედეგები: ყოველი სახის მცენარეული ნედლეული ტექნოლოგიური გადამამუშავებისათვის საჭიროებს დამზადების პროცესში ზოგიერთი წესების დამუშავება-დაცვას. მოცემულ შემთხვევაში შესწავლილი და დაზუსტებული იქნა საკითხები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საკვლევი ხარისხიანი პროდუქტის მისაღები ნედლეულის დამზადებასთან. მაგალითად: ცნობილია, რომ მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ფურისულას სამკურნალოდ იყენებენ მცენარის ყველა (ფესვი, ძირი, ფოთლი, ყვავილი) ნაწილს, მაშინ, როცა ჩვენი კვლევის ობიექტია მცენარის ფოთლები და ყვავილები. ამასთან დაკავშირებით მცენარის ყვავილობის პერიოდის გამო ნედლეულის დამზადება ხდება ივნის-ივლისის თვეებში. დამზადებული ნედლეულის ტრანსპორტირება კი ხის ყუთებით. ყუთში მოთავსებული მასა არ უნდა დაიტკეპნოს და მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 15 კგ-ს; ანწლის, მოცვის და ასკილის ნაყოფების კრეფისას საჭიროა მშრალი ამინდი, კრეფის პერიოდია აგვისტო-ოქტომბერი. ნაყოფების გადასახიდად გამოყენებული უნდა იქნას ისეთი ტარა, რომელიც ტრანსპორტირების პროცესში დამზადებულ ნაყოფებს დაიცავს წვენი დაღვრისაგან. ტარაში ნაყოფის წონა არ უნდა აღემატებოდეს 30 კგ-ს. მოცვის მცენარიდან გარდა ნაყოფებისა მზადდება მოცვის ფოთლი, რომლის კრეფა უნდა განხორციელდეს მაის-ივნისის თვეში. ფოთლის ტრანსპორტირება მოხდება მსგავსად ფურისულას ფოთლებისა; გარეული ვაშლისა და მსხლის ნაყოფები მზადდება სექტემბერ-ოქტომბერში. დამზადებული ნაყოფების ტრანსპორტირება შესაძლებელია, როგორც ხის ყუთებით აღჭურვილი ავტომანქანით, ასევე უტარო გადაზიდვის (სპეციალური ძარის მქონე) მანქანით. წინასწარ ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დადგინდა იქნა, რომ დამზადებული საკვლევი ნედლეულიდან ფურისულას ფოთლები, ასკილის, მოცვის და ანწლის ნაყოფები პირდაპირ მიდის შრობაზე, ხოლო მოცვის ფოთლები, გარეული ვაშლისა და მსხლის ნაყოფები შრობამდე საჭიროებს წინასწარ დამუშავებას. აღმოჩნდა, რომ შრობის პროცესის დაჩქარების, გაადვილებისა და ნახევარფაბრიკატის კარგი სასაქონლო სახის მიღების მიზნით ყველაზე კარგი შედეგი მიიღება მაშინ როცა ვაშლისა და მსხლის ნაყოფები იჭრება თანაბარი ზომის თხელ ფირფიტებად. დამუშავდა მოცვის ფოთლის გადამამუშავების ტექნოლოგია, რომე-



ლიც ითვალისწინებს ფოთლის ბუნებრივ ღნობას 65-66% ტენშემცველობამდე, მომღნარი ფოთლის დაჭრას (ჩაის მჭრელზე), დაჭრილი მასის ფერმენტაციას 1-1,5 სათის ხანგრძლიობით, ფერმენტირებული ფოთლის შრობას ხელოვნური შრობის მანქანაზე.

შესწავლილი და დადგენილი იქნა ყველა სახის საკვლევი ნედლეულის შრობის ოპტიმალური ტემპერატურა და გამშრალი ნახევარფაბრიკატის ტენშემცველობა. კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

ნედლეულის შრობის ტემპერატურა და ნახევარფაბრიკატის ტენშემცველობა

ნედლეულის დასახელება	შრობის ტემპერატურა გრადუსი	ნახევარფაბრიკატის ტენშემცველობა, %
1.ფურისუღას ფოთოლი	80-85	არა უმეტესი 8,0
2.ანწლის ნაყოფი	70-75	არა უმეტესი-15,0
3.მოცვის ნაყოფი	70-75	არა უმეტესი-15,0
4. ასკილის ნაყოფი	70-75	არა უმეტესი-14,0
5. მოცვის ფოთოლი	80-85	არა უმეტესი-8,0
6. გარეული ვაშლი	70-75	არა უმეტესი 14,0
7. გარეული მსხალი	70-75	არა უმეტესი-14,0

პირველი ცხრილის მონაცემებით დასტურდება, რომ შპს „გეო-ფლაუერის“ საწარმოში არსებული ხელოვნური საშრობი მანქანით გამშრალი ყველა ნახევარფაბრიკატი ტენშემცველობის მიხედვით ტექნოლოგიურ ნორმაშია, რაც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მშრალი ხილის ხანგრძლივი შენახვის დროს.

დამუშავებული ნახევარფაბრიკატები გამოიყენება უალკოჰოლო სასმელების მისაღებად, რომელიც მომხმარებელს მიეწოდება დაფასოებული სახით. მომხმარებელი მას მოიხმარს ისე, როგორც ბაიხის ჩაის პროდუქციას. ეტიკეტზე სხვა მანვენებლებთან ერთად მითითებული ინება მოხმარების წესი, რომელიც დამუშავებულია შპს „გეო-ფლაუერის“ სპეციალისტთა მიერ.

დასკვნა: 1. დამუშავდა ადგილობრივი ველური მცენარეული ნედლეულის ბაზაზე მშრალი უალკოჰოლო სასმელების მიღების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ნედლეულის დამზადება-ტრანსპორტირებას, ნედლეულის დამუშავებას, ნედლეულის შრობას და დაფასობას. ტექნოლოგია უზრუნველყოფს მიღებული იქნას ხანგრძლივი შენახვის ნახევარფაბრიკატი, რომელიც მოიხმარება უალკოჰოლო სასმელის მისაღებად მსგავსად ბაიხის ჩაების პროდუქციისა.

2. სანედლეულო ბაზა და კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა საქართველოში განხორციელდეს ახალი სახის სასურსათო პროდუქტების წარმოება, სადაც გამოყენებული იქნება ადგილობრივი საკვებ-სამკურნალო, როგორც კულტურული, ასევე ველური მცენარეული ნედლეული.

ლიტერატურა:

1. ს. ა. ჩაგელიშვილი, მ. კ. გოგორიშვილი. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1991 წ. გვ.146.
2. ლია ნოეს ასული კოპალიანი. საქართველოს სამკურნალო მცენარეები. უძველესი და თანამედროვე ფიტოთერაპია. მეორე გამოცემა. საგამომცემლო ცენტრი, ქ. ქუთაისი, 2002წ. გვ.379.
3. ჯინჯოლია რ. გულუა კ. ჩიქოვანი ნ. ჩაის ქიმიის პრაქტიკუმი. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი. 1983 წ. გვ. 159.

TECHNOLOGY OF PRODUCTION DRIED (FRUITS) SOFT DRINKS

Dzneladze G., Khutsidze M.*

Agrarian University of Georgia, * Ltd Geoflower
Summary



Developed technology of dried soft drinks production, where the base of raw materials is local wild food-herbal plants. It was found that the result of research and the base of raw materials enables to be created production unit in Georgia where will be implemented production of food products on the base of herbal raw materials.

მატონიზირებელი, ფუნქციონალური სასმელის წარმოების ტექნოლოგია

ძნელაძე ზ., გობრონიძე ე., ძნელაძე გ.

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

შერჩეულია მატონიზირებელი სასმელის მისაღები ნედლეული [მწვანე ჩაი, ანწლის და მოცვის ნაყოფები], რომლის ბაზაზე დამუშავდა სასმელის მიღების ტექნოლოგიური რეგლამენტები. აღმოჩნდა, რომ სასმელში საკვლევი ნედლეულის გამოყენება ხდება მათგან მიღებული სპირტული და წყლიანი ექსტრაქტის სახით. კვლევის საფუძველზე შესწავლილია სასმელის ორგანო-ლეპტიკური და ფიზიკო-ქიმიური მახვენებლები, რომლებიც პასუხობებს ვოსტ28188 მოთვინებს .სასმელი, მასში შემავალი [მწვანე ჩაი, ანწლი, მოცვი] ნედლეულის ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის წყალობით ხასიათდება ფუნქციონალური თვისებებით(1)

უალკოჰოლო სასმელების ასორტიმენტში საკვებ-სამკურნალო მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული სასმელი მთელი რიგი უპირატესობით სარგებლობს, უპირატესობა აიხსნება იმით, რომ მათ საკვებ გამაგრებელ ,საგემოვნო და სხვა თვისებებთან ერთად გააჩნიათ ამა თუ იმ დაავადებათა სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები (1) აღსანიშნავია ის, რომ ამ ტიპის სასმელების შექმნას პირველად საფუძველი ჩაეყარა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში .კვლევებით დადასტურდა აღნიშნული მიმართულებით საკითხის, როგორც მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, ასევე ქვეყნისთვის მისი სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობა(2). აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა კულტურული და ველური საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის რესურსით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სახის უალკოჰოლო მატონიზირებელი სასმელების მისაღებად(1) წინამდებარე შრომა ითვალისწინებს ჩაისთან ერთად საქართველოში ფართოდ გავრცელებული ველურად მზარდი ანწლისა და მოცვის ნაყოფების გამოყენებას.

კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდიკა: კვლევის მიზანია ადგილობრივი საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ბაზაზე მატონიზირებელი, ფუნქციონალური თვისებების მქონე უალკოჰოლო სასმელის მიღების ტექნოლოგიური რეგლამენტების შესწავლა-დამუშავება; კვლევის ობიექტს წარმოადგენს: მწვანე ჩაი, ანწლის და მოცვის ნაყოფები, ეთილის 96%-იანი სპირტი, სასმელი წყალი, სპირტული და წყლიანი ექსტრაქტები, სახაროზა, შაქრის სიროპი, კოლერი და ბუნებრივი მცენარეული არომატიზატორები; ნედლეულის ექსტრაქცია ხდება ორჯერადად დიფუზიური წესით. პირველი-ეთილის 96%-იანი სპირტით, მეორე-სასმელი წყლით. ექსტრაქციამდე ნედლეული მუშავდება წყლით სრულ გაჯირჯვებამდე. ექსპერიმენტალური და ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული ნიმუშები ისწავლება სტანდარტული მეთოდების გამოყენებით(3).

შესწავლილი იქნა საექსტრაქციო ნედლეულის ექსტრაქციის ხანგრძლიობა, ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა. აღმოჩნდა, რომ სპირტული ექსტრაქციის შემთხვევაში ექსტრაქციის ხანგრძლიობა უნდა იყოს არა ნაკლები 10 დღისა, ხოლო თანაფარდობა ნედლეულისა და სპირტის: ჩაის შემთხვევაში-1:1,5; მოცის-1:1თან და ანწლის 1:1თან; წყლით ექსტრაქციის ხანგრძლიობა არა უმეტესი 24 საათისა, ხოლო თანაფარ-



დობა ნედლეულისა და წყლის სამივე სახის ნედლეულის შემთხვევაში 1:1,5-თან გაფილტრული სპირტული ექსტრაქტი გამოიყენება ინგრედიენტთა კუპაჟის დროს, ხოლო წყლიან ექსტრაქტზე მზადდება კოლერის და ლიმონმჟავას ნარევის ხსნარი, რომელიც გამოიყენება კუპაჟში. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ 100დალი სასმელის მისაღებად ნარევი (ჩაის ექსტრაქტი, კოლერი, ლიმონის მჟავა) კომპონენტების ოპტიმალური წონითი (კგ-ში) თანაფარდობაა 4:3:1-თან. სასმელის მისაღები ნედლეულის (ანწლი, მოცვი) საგემოვნო და არომატული თვისებების შერწყმასთან დაკავშირებით ყველაზე კარგი შედეგი მიღებული იქნა ჟოლოს ბუნებრივი არომატის გამოყენების შემთხვევაში. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დამუშავდა სასმელის მისაღები რაციპტურა (შაქარი, სპირტული ექსტრაქტი, წყლიანი ექსტრაქტი, კოლერის და ლიმონმჟავას ხსნარი, ჟოლოს არომატიზატორი, ნატრიუმის ბენზოატი, ნახშირორჟანგის გაზი და წყალი), რომლის ბაზაზე მიღებული იქნა ლაბორატორიული ნიმუშები. ნიმუშების კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილ 1-ში.

ცხრილის მონაცემებით ახალი სასმელი ყველა მაჩვენებელით შეესაბამება მცენარეულ ნედლეულზე დამზადებულ მატონიზირებელი, გაზირებული, გამაგრილებელი სასმელის ჯგუფს და პასუხობს საერთაშორისო სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს მწვანე ჩაის, ანწლის და მოცვის ნაყოფების ბაზაზე დამუშავდა

ახალი სახის მატონიზირებელი, გაზირებული, გამაგრილებელი სასმელის მიღების ტექნოლოგია. სასმელის ორგანოლექტიკური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები პასუხობს გოსტ 28188-ას მოთხოვნებს და კვებით ღირებულებასთან ერთად გააჩნია ფუნქციონალური თვისებაბი.

ცხრილი 1.

მატონიზირებელი სასმელის ორგანოლექტიკური და ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების დახასიათება

ორგანოლექტიკური მახასიათებლები	ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები
1. ფერი-ღია შინდის ფერიდან მუქი შინდის ფერამდე	1.მშ.რალი ნივთიერების მასური წილი%(რეფრაქტომეტრით) 11,8±0,2
2. გემო-მოტკბო სასიამოვნო ანწლისა და ჩაისის	2. მჟავიანობა, ნატრიუმის ჰიდროჟანგის ხსნარი სმ ³ -ში, კონცენტრაციით 1მოლი/დმ ³ -ში (100სმ ³) სასმელზე -1,2±0,3
3.არომატი-გამოხატული ანწლის	3. ნახშირორჟანგის გაზის მასური წილი არა ნაკლები-1,4
4. გარეგანი სახე-გამჭვირვალე უნაღვეო სითხე, უცხო მინარეგების გარშე	4. მდგრადობა, დღე-ღამე, არანაკლები-90

ლიტერატურა:

1. ს. ჩაგელიშვილი; მ. გოგორიშვილი. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. გამომცემლობა "მეცნიერება" თბილისი. 1991.
2. ზ. ძნელაძე. ჩაის ახალი სახის პროდუქტების ბიოქიმია, ტექნოლოგია. გამომცემლობა "მერიდიანი" თბილისი 2009.
3. რ. ჯინჯოლოა, კ. გულუა, ნ. ჩიქოვანი. ჩაის ქიმიის პრაქტიკუმი. თბილისი "განათლება" 1983.

TECHNOLOGY OF SOFT AND FUNCTIONAL DRINK
Dzneladze Z., Gobronidze E., Dzneladze G.

Summary

Selected raw material of the soft drink (green tea, elder and bilberry). Which base worked out the technology of receiving drink.

On the base of the research, study and worked out organic and physical-chemical indicators of o drink. The drink with his raw material cheracted with the functional qualities.



სექცია

SECTION

СЕКЦИЯ

3

კვების წარმოების თანამედროვე

პროცესები და მოწყობილობები

MODERN PROCESSES AND EQUIPMENT OF FOOD
 PRODUCTION

СОВРЕМЕННЫЕ ПРОЦЕССЫ И ОБОРУДОВАНИЕ
 ПИЩЕВЫХ ПРОИЗВОДСТВ

**ბაზრქვევის დისკუსიულობა ჰაერის ადიაბატურ დატენიანებაში
 და მარტივი კონსტრუქციის ჰაერდამტენიანებელი**

ანდლულაძე ზ., დოლიძე ბ., ჯაყელი ე., ნიკოლაიშვილი ლ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის
 მრეწველობის ინსტიტუტი

როგორც პრაქტიკამ აჩვენა მნიშვნელოვანი უპირატესობით ხასიათდება მბრუნავ გაფრქვევითი დამტენიანებლები, რომლებიც სხვადასხვა მუშაობის პრინციპით და კონსტრუქციით მზადდება. მათი პრაქტიკული გამოყენების ანალიზი ადასტურებს, რომ წყლის დისპერსიულობის დონის მანევრებლებით უმეტესობას სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია.

ჩვენს დამუშავებულ ჰაერდამტენიანებელს გააჩნია მონოდისპერსიულობის მაღალი დონე, განსხვავდება კონსტრუქციული სიმარტივით და მუშაობაში საიმედოობით, აქვს, როგორც ხელით, ისე ავტომატურ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობა. ტექნიკური მახასიათებლებით ჰაერდამტენიანებელს გააჩნია გამოყენების ფართო არეალი.

სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ხშირად გვხვდება ისეთი საწარმოო პროცესები, რომლებიც ტექნოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროებს მიკროკლიმატის შექმნას, რაც ძირითადად ჰაერის ტენიანობის გარკვეულ დონეზე დამყარებას გულისხმობს. ჩაის, თამბაქოს, ტყავის, აბრეშუმის და სხვა საწარმოებში, ასევე სანერგე და სასათბურე მეურნეობებში, ფართოდ იყენებენ ადგილობრივ და ცენტრალიზირებულ დატენიანების დანადგარებს და სისტემებს.

ჰაერის იზოთერმული და ადიაბატური დატენიანების სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერჯის მაღალი მოხმარების გამო (0.7 კვტ 1კვ ტენი სთ-ში), კონსტრუქციის სიმარტივით, უხმაურობით და ჰიგიენური თვალსაზრისით, ორთქლის დამტენიანებლები ბევრად ჩამორჩება გაფრქვევის პრინციპზე მომუშავე დამტენიანებლებს. გარდა ამისა ტენის აორთქლებასთან ერთად მიმდინარეობს ჰაერის ადიაბატური გაგრილება, რაც ცალკეული შემთხვევებისთვის საშუალებას იძლევა, ხელოვნური სიცივის გამოყენების გარეშე, დატენიანებასთან ერთად განხორციელდეს ჭარბი სითბოს ასიმილაცია.


თანამედროვე გაფრქვევის აპარატებში, რომლებიც ძირითადად ჰიდრავლიკური ფარსუნკებისა და მბრუნავი დისკების სახით მზადდება, წარმოქმნილი წვეთის ზომა 10–50



მკნ-ის ფარგლებშია და მათი უმეტესი რაოდენობა (90%-მდე) დატენიანების ობიექტის მოცულობით ზღვრებში ორთქლდება.

ჰიდრაულიკური მფრქვევანები ძირითადად მაღალ წნევაზე მუშაობენ. მასში წვეთ-წარმოქმნის მექანიზმი ეფუძნება წყლის აკის არარეგულარულ რღვევას, რომელიც ფორმირდება 0,15–0,20 მმ დიამეტრის მქონე საქშენიდან გამოსვლისას. ამ დროს ყალიბდება წვეთების დისპერსიული სისტემა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს მსხვილ ფრაქციებსაც (ნახ.1). დამტენიანებელი დანადგარის მწარმოებლობის რეგულირება მიიღწევა თანამონაცვლეობით ჩართული მფრქვევანები რაოდენობის ცვლილებით, რაც დამატებით ითხოვს მართვის ბლოკს და შესაბამის ხარჯებს.

როგორც ნახაზიდან ვხედავთ, მფრქვევანიდან გამოსვლისას წყლის ჩირაღდანს აქვს კონუსის ფორმა. რამდენიმე გამფრქვევის ერთად მუშაობისას ხდება ჩირაღდნების კვეთა და წვეთების ურთიერთ დაჯახება, რის შედეგად უფრო მცირდება გაფრქვევის ინტენსიულობა და ყალიბდება არაერთგვაროვანი დატენიანების ზონები. ყოველ უფრო ართულებს დატენიანების რეგულირებას და ამცირებს მის



ნახ.1 წყლის აკის რღვევა ფარსუნკიდან გამოსვლისას და წყლის ჩირაღდნების ურთიერთკვეთის ზონების ფორმირება დატენიანების ობიექტზე მაღალი წნევის მფრქვევანების და მასში წყლის შემავალი სისტემის ღირებულება მაღალია. მიუხედავად იმისა, აღნიშნული სისტემა ითხოვს მაღალი სიმტკიცის მასალებს, მფრქვევანებს და სხვადასხვა ტიპის ელემენტებს (კლაპანები, ვენტილები და ა.შ.), ისინი ხშირად ცვთება და ექსპლოატაციის პროცესში ითხოვს გამოცვლას. სათადარიგო ნაწილების შექმნა და გამოცვლა კი საკმაოდ ძვირია.

მონოდისპერსიულობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს დისკურ მბრუნავ გამფრქვევებს, წლის ხარჯისა და ბრუნთა რიცხვის სხვადასხვა თანაფარდობისა, წვეთ-წარმოქმნისა და მონოდისპერსიულობის ხარისხი მათ განსხვავებული აქვთ.

წყლის მცირე ხარჯის დროს (0.1 ლ/სთ) და ბრუნვის დაბალ სიჩქარეზე (1000 ბრ/წთ-მდე) დისკის ნაწიბურებიდან გაფრქვევა ხდება მსხვილი მონოწვეთების სახით. დაბალი მწარმოებლობის გამო აღნიშნული რეჟიმის გამოყენებას პრაქტიკულად არ მიმართავენ. ბრუნვის სიჩქარის 3000ბრ/წთ –მდე გაზრდით დისკის ნაწიბურებიდან წნევით გამოძავალი ჭავლი იშლება უფრო მცირე, ე.წ. „მეორადი“ (დაახლოებით ერ-




თნაირი) ზომის წვეთებით.

ჭავლიანი რეჟიმი უფრო მწარმოებლურია (2 ლ/სთ-მდე) ,მაგრამ არამდგრადი და არა რეგულირებადი.

დინამიური ბალანსის გაუარესების დროს, დისკის ზედაპირზე წყლის მიწოდების უწყვეტობის დარღვევისას, ასევე წარმოქმნილი ჰაერის ნაკადის ზემოქმედებით და ა.შ. ხდება წყლის დაშლა აპკის სახით და ყოველივე აღნიშნულით ირღვევა წვეთწარმოქმნის ხელშემწყობი სისტემა.

ცნობილია, ასევე ფოროვანი მბრუნავი გამფრქვევები. აქ წვეთწარმოქმნის პრინციპულად სულ სხვა მექანიზმია. ასეთი გამფრქვევის სქემა მოცემულია ნახ.2-ზე.

ეს არის ელექტროძრავის ღერძზე დასმული ფოროვანი ცილინდრი, რომელიც შედგება მარცვლოვანი მასალისაგან. მის შიგა ზედაპირს თანაბრად (ლამინარული რეჟიმით) მიეწოდება სითხე. ცენტრიდანული ძალების ზემოქმედებით, სითხე იფილტრება ცილინდრის კაპილარულ-ფოროვანი კედლის გავლით და წვრილწვეთოვანი ჭავლის სახით გამოიფრქვევა ცილინდრის ზედაპირიდან.



ფოროვანი ცილინდრი

ნახ.2. წვეთწარმოქმნა ფოროვან მბრუნავ გამფრქვევში

მუშაობის პროცესში, ცენტრიდანული ძალისა და დისკებს შორის წარმოქმნილი ჰაერის ნაკადის ერთობლივი ზემოქმედებით, ჰაერდამტენიანებელი მოწყობილობის გარშემო 3-5 მ რადიუსში იქმნება ბუნებრივი ნისლის იმიტაცია.

მოწყობილობა კონსტრუქციულად მარტივია და მისი დამზადება შესაძლებელია მცირე მექანიკურ სახელოსნოებშიც. იგი ექსპლოატაციის დროს ავლენს მაღალ ტექნოლოგიურ შემსრულებლობას და ტექნიკურ საიმედობას. შესაძლებელია მისი მუშაობა, როგორც ხელით მართვის, ისე ავტომატურ რეჟიმში.


ჩვენს მიერ დამუშავებულია მოწყობილობის ავტომატურ რეჟიმში მუშაობის სქემა (ამ ნაშრომში არაა განხილული), რომელიც უზრუნველყოფს შენობაში ფარდობითი ტენიანობის განსაზღვრულ ზღვრებში დამყარებას და შენარჩუნებას. ზოგადად იგი ემყარება შემდეგს: ავტომატური მართვის ელექტრულ სქემაში ჩართულია ტენიანობის მზომი ხელსაწყო ისე, რომ როცა შენობაში ფარდობითი ტენიანობა მიაღწევს ზედა ზღვრულ დონეს ჰაერდამტენიანებელი.

გათიშება და არ ჩაირთვება მანამ, სანამ ფარდობითი ტენიანობა არ დაიწევს წინასწარ განსაზღვრულ ქვედა დონემდე. შენობაში ტენიანობის ქვედა და ზედა ზღვრებს შორის დიაპაზონი შერჩეულია ისე, რომ ძრავის ჩართვა-გამორთვის სისშირე არ იყოს დასაშვებზე მეტი. (მაგ.20-30 წუთი)

შენობაში მოწყობილობა ყენდება ძირიდან მაღლა ისე, რომ გამოფრქვეული წყლის ჩირაღდანი მოიცავდეს შესაძლებლად მეტ მოცულობით სივრცეს. იგი შეიძლება დაყენდეს და მუშაობდეს, როგორც უძრავად, ისე მოძრავ რეჟიმში.



ჰაერდამტენიანებელი მოწყობილობა (იხ.ნახ 3) შედგება ორი, პარალელურად განლაგებული დისკისაგან, რომლებიც მთელ წრიულ პერიმეტრზე ქმნიან გამომავალ ყელს. მათგან ერთი დისკი (6) დასმულია მბრუნავ ღერძზე და აღჭურვილია ფრთებით, ხოლო მეორე (1) უძრავადაა დამაგრებული ძრავის (7) კორპუსზე. დისკებს შორის, ძრავის ღერძზე დაყენებულია წრიული ფორმის ჯაგრისი (3), რომელსაც გაფრქვევისათვის წყალი მიეწოდება შემომავალი შტუცერიდან (8). თავის მხრივ ჯაგრისი წარმოადგენს 0,5–0.8 მმ დიამეტრის მქონე, მყიფე უქანვი ლითონის, ან პოლიმერული მასალის წნელოვან ანაწყოებს, რომელიც მუშაობის პროცესში ქმნის წრიული ფოროვანი სიბრტვის იმიტაციას.



ნახ.3.მარტივი კონსტრუქციის ჰაერდამტენიანებელი

მოწყობილობის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: წყალი შტუცერის (8) გავლით მიეწოდება ჯაგრისს (3), რომელიც ქმნის რა წყალთან შეხების საკმარის დიდ სიბრტყეს, ინტენსიურად შლის მას უწვრილეს ნაწილაკებად და დისკებს შორის არსებული ყელის (4) გავლით, მთელ პერიმეტრზე გამოიფრქვევა გარეთ. დარჩენილი მსხვილი წვეთების დაშლას ხელს უწყობს მათი მეორადი მოხვედრა მრუნავ დისკზე (1) დატანებულ ფრთებთან (2).

ლიტერატურა:

1. В.П. Посохин; Р.Г. Сафиулин – Увлажнители воздуха на основе вращающегося распилиателя.
2. А.Г.Центерадзе; З. М. Андгуладзе; Н.В. Чеишвили- Воздухоувлажнитель- Бюлетень №34 ВНИИЧП 1982 г.
3. Е.П. Вишне夫斯基- Кондиционирование воздуха-увлажнитель; С.О.К. -2003 №1

ROTARY SPRAYING HUMIDIFICATION AND AIR HUMIDIFIER OF SIMPLE CONSTRUCTION

Andguladze Z., Dolidze B., Jakeli E., Nikolashvili L.

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

Summary

There are many such manufacturing processes in various fields of agriculture and industry which need to create microclimate, that means creation and maintenance of air humidity at a certain level. Equipments and systems of local and stationaty humidification are widely used in tea, tobacco, leather, silk other enterprises as well as in greenhouses.

Practice has shown that spraying humidifiers are characterized with considerable advantages. They are made by different working principle and construction. Analyse of their practical usage confirms that most of them have serious disadvantages according to the index dispersity level.

The airhumidifier worked out bu us has high level of monodispersity, differs with simple construction sa-



fety in work. it works as manually so in an automatic regime. because of its technical indices airconditioner has wide area of usage.

შრობის პროცესის სტატიკური რეჟიმის მათემატიკური მოდელი

ბარდაველიძე ა., ბარდაველიძე ნ.*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში წარმოდგენილია შრობის პროცესის სტატიკური რეჟიმის მათემატიკური აღწერა გვირაბული საშრობის მაგალითზე. ანალიზის საფუძველზე, გამოსაშრობი მასალის, შრობის აგენტის ტემპერატურის და ტენშემცველობის დამყარებული განაწილება აღწერილია ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით. ვანუსახლვრელი კოეფიციენტები შეფასებულია იდენტიფიკაციის შედეგად და დაიყვანება ხარისხის შეფასების კრიტერიუმის მინიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტაზე. ანგარიშის შედეგად განსახლვრულია კურკიანი გარგარის ჩირის შრობის პროცესის თბოცვლის კოეფიციენტები. მოდელის შეცდომის შეფასება მოცემულია იდენტიფიკაციის საანგარიშო და ექსპერიმენტული მრუდებით. ანგარიში ჩატარებულია MatLab პროგრამის გამოყენებით.

შრობის პროცესის სტატიკური რეჟიმის მათემატიკური აღწერა განვიხილოთ გვირაბული საშრობის მაგალითზე. გვირაბული საშრობის ხსენებული სტაციონალური რეჟიმი ხასიათდება მასალის და შრობის აგენტის პარამეტრების დამყარებული განაწილებით, საშრობ კამერაში მათი გადაადგილების ტრაექტორიის გასწვრივ. საშრობის შესასვლელზე დაუშუშავებელ მასალიანი ვაგონეტის მისვლისას ეს რეჟიმი შეშფოთდება, თუმცა ეს შეშფოთება შედარებით მცირეა, სისტემის ინერციულობის გამო. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში ამოცანას წარმოადგენს სივრცითი განტოლების დროითი გასაშუალების აღწერა და არა მათი პერიოდული შეშფოთება [1].

ამ დროს საწყისი, შემოთავაზებული გამოსაშრობი მასალისა და შრობის აგენტის ტემპერატურისა და ტენშემცველობის დამყარებული განაწილება შეიძლება აღიწეროს, როგორც შემდეგი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის ამონახსნი:

$$g \frac{dw}{dl} = -\varphi_1 N(w, T_M, y, T_a), \quad g_a \frac{dy}{dl} = \varphi_1 N(w, T_M, y, T_a),$$

$$g C_m \frac{dT}{dl} = K \varphi_2 (T_a - T_M) - \Delta H \varphi_1 N(w, T_M, y, T_a), \quad g_a C_a \frac{dT_a}{dl} = K \varphi_2 (T_M - T_a),$$

საწყისი პირობებით:

$$w(0) = w_0, \quad y(0) = y_0, \quad T_M(0) = T_{M0}, \quad T_a(0) = T_{a0},$$

სადაც l - საშრობი კამერის წრფივი კოორდინატაა – მანძილი საშრობი კამერის შესასვლელიდან მიმდინარე წერტილამდე, მ;

w, y - შესაბამისად მასალისა და შრობის აგენტის საშუალო (დროით) ტენშემცველობაა, რომელიც განიხილება როგორც l კოორდინატის ფუნქცია, %;

T_M, T_a - შესაბამისად, მასალისა და შრობის აგენტის საშუალო ტემპერატურაა წერტილში, l კოორდინატით, $^{\circ}C$;

g - საშრობ კამერაში მასალის გადაადგილების საშუალო მასური სიჩქარეა (გადაანგარიშებული მშრალ მასალაზე), მ/წმ;

g_a - ერთეული მასის ჰაერის გადაადგილების საშუალო სიჩქარეა, რომელიც გადაანგარიშებულია აბსოლუტურად მშრალ ჰაერზე, მ/წმ;



